Совнарком

ს. ს. ს. რ. საქ. [illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24
მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. [illegible]—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. [illegible] მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი [illegible]—80

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

კვირა, 7 ივნისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 129 (1284)

დ ღ ი უ რ ი

— აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე თეთრგვარდიელების დათხოვნა.

— იტალიის პარლამენტში საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულებას მხარი დაუჭირა 259 კაცმა, 8 წინააღმდეგი იყო.

— ინგლისელი შეთანხმებლები ილაშქრებენ ინგლისის მუშების გაერთიანების წინააღმდეგ.

წინედ და ეხლა

(სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების 5 წლის თავის გამო)

ხუთი წლის წინედ, 1920 წ. 8 ივნისს, სამხრეთ ოსეთში გამოცხადებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება. ეს იყო მენშევიკების ბატონობის ხანა. უკანასკნელებმა, ძალა უფლების ხელში ჩაგდების და საქართველოს „დამოუკიდებლობის“ გამოცხადების შემდეგ, სავსებით გამოაამშკარავეს თავისი ნამდვილი სახე. გლეხობა და მუშები პირზე ჩალა გამოვლებული დასტოვეს. მენშევიკების წყალობით მათ არ უგრძვნიათ რევოლიუციის ცხოველ-მყოფელი შედეგები. [illegible] აღსანიშნავია, რომ ამ, პატარა ქვეყნის განაციონალისტებულმა მენშევიკებმა უსაზღვრო იმპერიალისტური მადა გამოიჩინეს.—საქართველო მარტო ქართველებისათვის,—აი რა წააწერეს მათ თავის დროშაზე. მათ ფეხქვეშ გათელეს ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა უფლებები და მოიწადინეს მათი ფიზიკური განადგურებაც კი. სომხები, ოსები, აფხაზები, რუსები და სხ. თითქმის კანონგარეშე იყვნენ გამოცხადებული. მენშევიკებმა ერთმანეთს გადაჰკიდეს ქართველი ხალხი და სხვა მოძმე ერები, დათესეს მათ შორის სიძულვილი და მტრობა.

მენშევიკების ნაციონალისტური პოლიტიკის სისაძაგლე ყველაზე მკაფიოდ ოსებისადმი დამოკიდებულებაში გამოაშკარავდა. თუ ქართველი მშრომელი მოსახლეობა განიცდიდა კლასობრივ ჩაგვრას და მენშევიკური დერჟიმორდების სუსხს, ნაციონალურ უმცირესობათა მიმართ ამას კიდევ ეროვნული ჩაგვრა ემატებოდა.

თუ ქართველი გლეხობა უკმაყოფილო იყო და მუდმივ აჯანყებებს აწყობდა მენშევიკების წინააღმდეგ, მცირე ერებს მეტი საბუთი ჰქონდა აღშფოთებისა და აჯანყებისათვის. კერძოდ ოსმა ხალხმა განსაკუთრებით იგემა მენშევიკური რეჟიმის მთელი „მშვენიერება“ გაუგონარი თვითნებობა, ოს გლეხების აბუჩად აგდება, თვითგამორკვევის მომთხოვნი ოს ხალხის სასტიკი დევნა—აი, რა გამეფეს მენშევიკებმა სამხრეთ ოსეთში.

რევოლიუციისაგან ოსი ხალხი (როგორც სხვა ხალხებიც) მოელოდა კლასობრივ და ეროვნულ განთავისუფლებას. იგი ვერ ურიგდებოდა მენშევიკების ბატონობას და იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რომელსაც მოჰქონდა მისთვის ჭეშმარიტი თავისუფლება. მენშევიკებმა თავისი ნაციონალისტური პოლიტიკით გამოიწვიეს საქართველოში მოსახლე ერების ლტოლვა ჩვენი ქვეყნიდან ჩამოშორებისაკენ, რაკი ვერ ხერხდებოდა ჩვენში მუშურ-გლეხური წყობილების დამყარება.

შევიწროებული ოსი ხალხი არა ერთხელ აჯანყებულა თავისი უფლებების დასაცავად. მაგრამ მენშევიკები მათ სისხლში ახრჩობდენ თავისი „სახალხო“ გვარდიის საშუალებით. მენშევიკების სატრაპები [illegible] ავლებდენ ამხედრებულ ოს ხალხს (როგორც დანარჩენ მოსახლეობასაც), არ ინდობდენ არავის. ცეცხლს აძლევდენ გლეხკაცობის სახლკარს, სარჩო-საბადებელს. ხუთი წლის წინად მეოთხეჯერ მოხდა ოსების აჯანყება, რომელმაც მეტად სერიოზული და საყოველთაო ხასიათი მიიღო. ცხინვალში კიდეც დამყარებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება.

მაგრამ დიდ ხანს არ გაგრძელებულა განთავისუფლებულ ოსეთის ზეიმი. მენშევიკებმა უკანასკნელად მოიკრიფეს ძალღონე, შესიენ ამ პატარა მხარეს და ცეცხლში გახვიეს იგი, ნაცარ-ტუტად აქციეს. მოსახლეობის დიდი ნაწილი აჰყარეს თავის კერიდან და ცალიერი ხელებით „გაისტუმრეს“ ჩრდილოეთისაკენ.

მხოლოდ 1921 წ. 25 თებერვლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან, ოსებმაც ამოისუნთქეს თავისუფლად.

რას ვხედავთ დღეს ოსეთში? საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში (როგორც მთელ საბჭოთა კავშირში) ნამდვილად გადაჭრა ნაციონალური საკითხი, აქ მოსახლე ერთა შორის აღმოფხვრა წინედ დათესილი შუღლი და უნდობლობა, დაამყარა მათ შორის ძმური თანამშრომლობა. ყოველ ერს მიანიჭა თავისუფალი არსებობის და განვითარების საშუალება. თუ წინად, მენშევიკების დროს, ეროვნული მცირესობანი სცდილობდენ საქართველოდან ჩამოშორებას, დღეს, პირიქით, საქართველო მათი ნამდვილი სამშობლო გახდა; კიდევ მეტი: ჩრდილო-ოსეთი აყენებს საკითხს სამხრეთ-ოსეთთან გაერთიანების და ჩვენს რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლის შესახებ.

სამხრეთ-ოსეთი შემდგარია აღორძინების მკვიდრ გზაზე. შექმნილია პირობები მისი სამეურნეო და კულტურული დაწინაურებისათვის. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება საქართველოს ცენტრალურ მთავრობასთან ერთად არაფერს ზოგავს,—რათა სავსებით მოაშუშოს ოს ხალხისათვის ძველი რეჟიმის მიერ მაყენებული ჭრილობები და გამოიყვანოს ეს პატარა მხარე სიბეჩავის, სიღარიბისა და სიბნელისაგან.

მხურვალე სალამი ოსეთის ხალხს! გაუმარჯოს ხალხთა ძმურ კავშირს! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

ჩვენი ეკონომიური ამოცანები

IV

ზ ო მ ე ბ ი

მეურნეობის დარგები, რომლებითაც დღემდე ჩვენი ხალხი არსებობდა, დაცემულია. ასეთი მდგომარეობა აყენებს შემდეგ დებულებას: დღეს ჩვენი ზრუნვის უმთავრესი საგანი უნდა იყოს მეურნეობის ამ დარგების მოვლა და დუხჭირი მდგომარეობიდან მათი გამოყვანა.

აი ჩვენი მთავარი მოვალეობა. ამ მოვალეობის შესრულება დიდ ელასტიობას მოითხოვს, რომ სოციალისტური დოქტრინიორობა თავიდან ავიცილოთ და სოციალისტური პრინციპები არ შევლახოთ. ეკონომიური და მისგან გამომდინარე სოციალური ევოლიუცია ვიცით, მეტად რთული მოვლენაა, ის ზიგზაგით მიიკლაკნება და ამიტომ პრიმიტიული საზომით ცხოვრების ვითარებას ჩვენ ვერ მივუდგებით. სოციალისტური აღმშენებლობა ობიექტიურ ცხოვრების ევოლიუციის პირობებს ეყრდნობა და ემორჩილება. ამაშია სოციალიზმის ძალა და სიმტკიცე. ჩვენ მარქსისტები დიალექტიკები ვართ. ჩვენ ვიცით, რომ დადებით დებულებას მუდამ უპირდაპირდება უარყოფითი და მათი ურთიერთობა ბადებს მესამე დებულებას, რომელიც ყოველთვის განსხვავდება პირველი და მეორე დებულებებისაგან. ეს მოვლენა აუცილებელია და ასეთ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა იმ მიზნით, რომ ეს მესამე მოვლენა არ გაჩნდეს და პირველი დებულება უცვლელად დარჩეს, ასეთი ბრძოლა იქნება ნამდვილი დონკიხოტობა და უმეცრების მაჩვენებელი. მაგრამ ამ ცვალებადობაში, ევოლიუციაში შეგნებული სოციალისტების მიზანშეწონილი მოქმედება განსხვავდება არა სოციალისტთა მოქმედებისაგან იმით, რომ ჩვენ შეგნებულად ხელს ვუწყობთ,—თუ საჭიროება მოითხოვს, შესაფერისი სახით ვიბრძოლებთ,—ცხოვრების ისეთ მხარეების განვითარებასა და გაძლიერებას, რომელნიც ეროვნულ სიმდიდრეს და შრომის ხვედრს ამ სიმდიდრეში მეტის სიწრაფით ადიდებს. შეგნებული სოციალისტი უსათუოდ ამ გზით ივლის დღევანდელი კლასობრივი და მომავალი სოციალიზმის ინტერესების დასაცავად.

ამ გზით სვლა და ასეთი მიზნის განხორციელება მოითხოვს ჩვენგან მეურნეობის იმ დარგების მოვლა-აღორძინებას, რომლებითაც ომის წინ არსებობდა ჩვენი ხალხი. ეს დარგები ჩვენ უკვე აღვნუსხეთ.

რაში გამოიხატება ჩვენი მეურნეობის აღნიშნულ დარგების მძიმე მდგომარეობა?

მათი მძიმე მდგომარეობა გამოიხატება: 1) წარმოების ნაყოფიერების დაცემაში, 2) კრედიტის სიმცირეში და 3) ბაზრის სივიწროვეში. ეს სამი მომენტია მთავარი; რაც შეეხება გამოუცდელობას და აპარატების მოუწყობლობას—ეს ორი მომენტი მეორეხარისხოვანია და შედარებით მცირე მნიშვნელობის. მაშასადამე მთელი ჩვენი ძალღონე ეკონომიურ სფეროში კონცენტრიულად უნდა იყოს მიმართული მეურნეობის აღნიშნულ დარგების აღდგენისა და მათი გაძლიერებისაკენ.

როგორ უნდა ვიმოქმედოთ ამ მიზნის მისაღწევათ?

ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ ბევრი ჩვენი ბუნების სიმდიდრეზე დამყარებულ ახალ სამრეწველო წამოწყებებზე, შევკუმშოთ ჩვენი სურვილების ფრთები და ჩავჭიდოთ ხელი მხოლოდ იმ დარგებს, რომლებიც იყო და კიდევ დიდი ხანი იქნება ჩვენი ხალხის არსებობის წყარო. ეს წყაროები ([illegible] გამოკლებით) იყო და არის სოფლის მეურნეობა. დაქსაქსული სავენახეები, ბაღები, უკიდურესად დაავადმყოფებულია სხვა დარგებიც, გაფუჭებულია გზები, და მოსახლეობა მოკლებულია საშუალებას აღადგინოს თავისი მეურნეობა.

დაქსაქსული მეურნეობები უსათუოდ უნდა გამთლიანდეს და შეიქმნას ისეთი პირობები, როდესაც ამ მეურნეობათა მოვლა ყოველმხრივ იმ დონეზე მაინც იქნება აყვანილი, რომელზედაც ის რევოლიუციამდე იყო. ამას კატეგორიულად მოითხოვს სოციალიზმი და ის დებულება, რომ სოციალიზმი იმდენად უფრო ადრე განხორციელდება, რამდენად უფრო სწრაფად განვითარდება საწარმოვო ტეხნიკა და გაიზრდება ნაციონალური სიმდიდრე. ნაციონალური სიღატაკე სოციალიზმს ვერ შექმნის; ის, პირიქით, სოციალიზმს გვაშორებს. ასე გვასწავლიდა მარქსი.

მეურნეობებს უნდა გამთლიანება და შესაფერისი მოვლა, მაგრამ შესაფერისი მოვლა მოითხოვს დღეს დიდ ხარჯს, ჩვენი ფინანსიური შესაძლებლობა კი მცირეა.

ეს უკანასკნელი გარემოება ჩვენ გვავალებს უარი ვსთქვათ ახალი წამოწყებებზე და მით უმეტეს ახალ დიდ საქმეებზე. ყოველი ათი და ასი ათასი მან ჩვენ ჩვენი სოფლის მეურნეობას უნდა მოვახმაროთ; სხვა დარგების მოსაწყობი თანხა ჩვენ არა გვაქვს; მათთვის საჭირო თანხები სხვა დროს და სხვა პირობებში უნდა ვეძიოთ; დღეს კი თავდაჭერილობა, ვიწრო ფარგლებში მუშაობა გვმართებს. ამას მოითხოვს სალი ეკონონომიური პოლიტიკა.

ასეთია ჩვენი მოვალეობა წარმოების და კრედიტის სფეროში. მაგრამ არის მესამე საკითხი—ბაზრის ამოცანები.

ნაწარმოებს, პროდუქტს უნდა ჰქონდეს რეალიზაციის ისეთი პირობები, როდესაც მწარმოებელს დაუბრუნდება გაყიდულ საქონლის სამაგიეროდ იმდენი ფული, რომელიც მას შეაძლებინებს წარმოების წარმატებით წაყვანას. სახელმწიფომ თავის მეურნეობის ძირითად დარგებს უნდა შეუქმნას ისეთი პირობები მაშინაც, როდესაც ამ დარგების მდგომარეობა ასეთ პირობების შექმნას ხელს უშლის. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია,—და ჩვენც, რასაკვირველია, ამაზე უარს ვერ ვიტყვით,—მფარველობით სისტემის სახით დაეხმაროს თავის მეურნეობის ძირითად დარგებს. ასეთია სახელმწიფოს მოვალეობა და მით უფრო წარმოუდგენელია, რომ სახელმწიფომ თავისი ეკონომიური პოლიტიკით ხელი შეუწყოს ისეთი პირობების შექმნას, რომელნიც შეუძლებელ ჰყოფენ, რომ მწარმოებელმა მიიღოს თავის პროდუქციის ნორმალური ეკვივალენტი. ასეთ ანორმალურ მდგომარეობას თუ აქვს ადგილი რომელიმე დარგში, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული ზომები, რომ ეს მდგომარეობა გამოსწორდეს.

ასეთ არანორმალურ მდგომარეობას შეიძლება ექნეს ალაგი სამ შემთხვევაში: როდესაც გადასახადები და სატრანსპორტო ხარჯები მეურნეობის ამა თუ იმ დარგის მდგომარეობასთან და ბაზრის პირობებთან არ არის შეფარდებული.

გადასახადები, ბაჟები ჯერ განუწყვეტელ ცვალებადობას განიცდიან, მაგრამ ამავე დროს წარმოების მდგომარეობაც ჯერ ვერაა გამოკვლეული, და ამნაირად დღესაც გადასახადების სიმძიმე არაა შესაფერად შეწონილი წარმოების შესაძლებლობასთან. მათ ურთიერთობას შესწავლა უნდა.

სატრანსპორტო ხარჯებიც მძიმე ტვირთად აწევს ჩვენს სუსტ მეურნეობას.

ტრანსპორტის და წარმოების ინტერესები უნდა დაემორჩილოს ერის სიმდიდრის გაძლიერების პირობათა მოთხოვნილებას.

გადასახადის და ტრანსპორტის კითხვები ფინანსიურ ნიადაგზე წყდება; ბაზრის ამოცანა უფრო რთულია. საქართველოში არის ისეთი გასატანი საქონელი, რომლის ბუნებრივი ბაზარი დღეს რუსეთია, მაგრამ არის ისეთი საქონელი, რომელსაც რუსეთში გასავალი არა აქვს. აი ამ უკანასკნელი საქონლისათვის სარქველი უნდა გაიხსნას და ის გაიდეს იქ, სადაც მწარმოებელი თავის ნაწარმოებში შესაფერ ეკვივალენტს მიიღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოება უკან წავა და დამბლის გზას დაადგება.

მაგრამ ასეთ საქონლის გასვლისათვის სარქველის აწევა არ კმარა. ვსთქვათ, მწარმოებელმა სარქველის აწევით მოახერხა ბაზარზე ფულის სახით ნორმალურ ეკვივალენტის აღება. განა ეს მას დააკმაყოფილებს, თუ მას ამ ფულით ნორმალურ ფასებში მისი მეურნეობისათვის და თავისი საცხოვრებლად აუცილებლად საჭირო საქონლის შეძენა არ შეუძლია? რასაკვირველია, არა. თუ მან თავისი საქონელი ნორმალურ ფასებში გაყიდა და მისთვის საჭირო საქონელი აწეულ ფასებში შეიძინა, ის მაშინ თავის მეურნეობის მოთხოვნილებას მაინც ვერ დააკმაყოფილებს, და, ბოლოს, მისი მეურნეობა ვერ იხეირებს. ამიტომ საჭიროა მეურნეს მიეცეს საშუალება: 1) თავის საქონელი გაასაღოს ნორმალურ პირობებში, რომ ნორმალური ეკვივალენტი მიიღოს და 2) აღებული ფულით ნორმალურ ფასებში შეიძინოს მისთვის საჭირო საქონელი.

ასეთია მოკლედ ჩვენი ეკონომიური ამოცანების მიერ წამოყენებული საჭირო ზომები. მაგრამ ზოგადათ აქ ნაჩვენებ ზომებს უნდა დაკვირვებულად შესწავლა; ეს არც ისე ძნელია. ჩვენ ბევრი კომისიები გვყავს და კომისიებზე ლაპარაკი ცოტათი საჩოთიროა, მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვით: საჭიროა კიდევ მთავრობის ერთი კომისია (არა მრავალრიცხოვანი) რომელშიაც მოწვეულნი იქნებიან აგრეთვე საქმის მცოდნე კერძო პირებიც; ეს კომისია ძალიან მოკლე ხანში ჩვენი ეკონომიურ ამოცანების შესახებ აქ წამოყენებულ კონკრეტულ კითხვებზე დასაბუთებულ პასუხს მისცემს.

თოფურიძე.

ჩინეთის ერი აღსდგა იმპერიალისტების წინააღმდეგ

იმპერიალისტების თავხედური პასუხი ჩინეთის მთავრობის საპროტესტო ნოტაზე

შეტაკებები გაფიცულ მუშებსა და იმპერიალისტების ჯარებს შორის შანხაიში

მოძრაობა იმპერიალისტების წინააღმდეგ მთელს ჩინეთს მოედო

ჩინეთის მთავრობამ ახალი საპროტესტო ნოტა გაუგზავნა იმპერიალისტურ სახელმწიფოების ელჩებს.—იაპონიამ ფლოტი და ქვეითა ჯარი გაგზავნა შანხაიში.—შეიარაღებული ამერიკელები ნადირობენ ჩინელებზე შანხაიში.—უკანასკნელ დღეებში შანხაიში მოკლეს 32 ჩინელი და დასჭრეს 85.—შანხაიში გაფიცული არიან ყველა ჩინელი მუშები, ჩინელების სავაჭროები დაიხურა.—ჩინელი სტუდენტები სტოვებენ უცხოელთა უნივერსიტეტებს.—იმპერიალისტების იერიშები საბჭოთა საკონსულოს წინააღმდეგ შანხაიში.

მთელი ჩინეთი იმპერიალისტების წინააღმდეგ

პეკინი, 5 ივნისი. მთელ ჩინეთში ფართოვდება მოძრაობა იმპერიალისტების წინააღმდეგ. ნანკინში, ხანკოუში და სხვა ქალაქებში განუწყვეტლივ იმართება დემონსტრაციები, პეკინის ქუჩებში მიტინგები იმართება; მოსალოდნელია მუშების, სტუდენტების და ვაჭრების დემონსტრაციის გაერთიანება. ნაციონალურ უნივერსიტეტის პროფესორებმა პეკინში გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიაც ბრალს სდებენ მთავრობას სისუსტეში და მოითხოვენ ინგლისის და იაპონიის ელჩების გაწვევას, უცხოეთის პოლიციის დასჯას, შანხაის ამბების მსხვერპლთა ოჯახებისათვის ზარალის ანაზღაურებას, უცხოელთა ხელისუფლების მიერ ბოდიშის მოხდას, ჩინეთის სრული სუვერენიტეტის აღდგენას უცხოელთა კონცესიების ტერიტორიაზე.

„მკვლელი კი არა, მოკლული არის დამნაშავე“

პეკინი. 5 ივნისი. უცხოეთის დიპლომატების პასუხი, რომელიც ჩინეთის მთავრობას გადაეცა 4 ივნისს, ამართლებს შანხაიში მომხდარ დახვრეტას, და აცხადებს, რომ პასუხისმგებლობა დემონსტრანტებს ეკისრებათ და არა უცხოელთა ხელისუფლებას.

ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა მაშინვე გაუგზავნა უცხო სახელმწიფოების ელჩებს უფრო გაბედული საპროტესტო ნოტა.

შანხაის წინააღმდეგ

ტოკიო, 5 ივნისი. იაპონიის კრეისერმა „ცაცუტამ“ მიიღო ბრძანება გაემგზავროს შანხაიში. ხანკოუდან შანხაიში გაიგზავნ სამხედრო გემი „ატაკა“. ეს ორი გემი გადასხამს დესანტს, 360 კაცს.

ტყვიისმფრქვეველები და იარაღები გაფიც[illegible] წინააღმდეგ

პეკინი. 6 ივნისი. შანხაის ამბები მწვავე ხასიათს იღებენ. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება. ამერიკელებმა მოაწყვეს განსაკუთრებული მებრძოლი რაზმები, რომლებიც შეიარაღებული არიან რევოლვერებით და სანადირო თოფებით; მოხალისეები ქუჩებში ნადირობენ ჩინელებზე.

წარმოებათა ადმინისტრატორები იარაღს მიმართავენ გაფიცულთა წინააღმდეგ. 3 ივნისს დახოცეს დიდძალი მუშები. იაპონელთა და ამერიკელთა რაზმმა სროლა აუტეხა მუშებს იანცკეპუს უბანში; მოკლულია 5 მუშა, დაჭრილია მრავალი. უკანასკნელ დღეებში მოკლულთა საერთო რიცხვი აღწევს 32 კაცს, მძიმედ დაჭრილთა რიცხვი—85-ს. უცხოელთა უბნის საზღვარზე დადგმულია ტყვიისმფრქვეველები.

ჩინეთის პოლიციამ დააპატიმრა ქალაქის ჩინეთის ნაწილში მოხალისე. შეგროვდა აუარებელი ხალხი, რომელიც მოითხოვდა, რომ დაპატიმრებული გადაეცათ მათთვის გასასამართლებლად. ხალხის დამშვიდება შესაძლებელი გახდა მხოლოდ სტუდენტების და მუშების ჩარევის შემდეგ.

დიდი გაფიცვები შანხაიში

პეკინი, 5 ივნისი. ჩინეთის მუშათა და ვაჭართა საგაფიცვო მოძრაობა ფართოვდება. ჩინეთის ბანკები და დასახურდავებელი დუქნები დაკეტილია. გაიფიცენ უცხოელთა ბანკების ჩინელი მოსამსახურეები; ქალაქის ელექტრონის სადგურის 800 მუშამ, რომელთაც ძალით ამუშავებდენ, მოახერხეს გაქცევა. სადგური განაგრძობს მუშაობას მოხალისეების საშუალებით. **ნავთსადგურის მუშათა გაფიცვა—თითქმის საყოველთაოა. ნავთსადგურში მუშაობა შესწყდა. მოსული გემები გადმოუტვირთავი რჩებიან. შანხაიში გაფიცულ მუშათა რიცხვი 125.000 კაცს აღემატება. რამდენიმე ასეული ათასი ჩინელი, რომელიც უცხოელთა კვარტალში სცხოვრობენ, გადასახლდა იქიდან.**

გაფიცვა მუკდენში

ხარბინი, 5 ივნისი. მუკდენში ძლიერდება საფეიქრო ფაბრიკების მუშათა გაფიცვა, რომელსაც შეუერთდენ შაქრის ქარხნებიც. განწყობილება მტკიცეა. ფაბრიკების რაიონებში ვრცელდება აუარებელი პროკლამაციები, რომლებშიაც მუშები მოითხოვენ შრომის პირობების გაუმჯობესებას და სამუშაო ხელფასის გადიდებას.

მრავალრიცხოვანი მიტინგი

პეკინი, 5 ივნისი. 1918 წლის ანტო-იაპონურ გაფიცვის 7 წლისთავის გამო შანხაიში გაიმართა მიტინგი, **რომელსაც დაესწრო 30,000-ზე მეტი მუშა და სტუდენტი.**

მიღებულია რეზოლიუცია მთელ მსოფლიოს ხალხებისათვის მოწოდების გაგზავნის შესახებ; გაეგზავნა დეპეშები ინგლისის კომპარტიას და მუშათა პარტიას. მუშები და სტუდენტები პროტესტს აცხადებენ, რომ შანხაის სავაჭრო პალატა სცდილობს მიითვისოს ხელმძღვანელი როლი უცხოეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაში და მას განზრახული აქვს მოაწყოს გაერთიანებული კომიტეტი ამ მოლაპარაკების საწარმოებლად.

კამპანია საბჭოთა საელჩოს წინააღმდეგ

პეკინი, 5 ივნისი. უცხოეთის რეაქციონური გაზეთები, რომლებიც შანხაიში გამოდიან, განაგრძობენ გააფთრებულ კამპანიას შანხაიში საბჭოთა საელჩოს წინ აღმდეგ, რომელსაც ბრალს სდებენ შანხაიში მოძრაობის ხელმძღვანელობას. რეაქციონური პრესა მოითხოვს უცხოეთის კვარტალიდან საელჩოს გაძევებას.

სტუდენტებმა დახურეს ამერიკული უნივერსიტეტი

პეკინი, 5 ივნისი. უნივერსიტეტში, რომელიც ამერიკელებს ეკუთვნის, სტუდენტებმა დაადგინეს გამოაცხადონ გაფიცვა. დირექტორი დაემუქრა მათ, რომ იხმარს შეიარაღებულ ძალას. **მაშინ სტუდენტებმა მოაწყვეს მიტინგი, ჩამოხსნეს ამერიკული ფლაგები და აღმართეს ჩინეთის დროშა. მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციამ საბოლოოდ უარი სთქვა სტუდენტების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, უკანასკნელებმა—1.000 კაცამდე, დასტოვეს უნივერსიტეტი და დასდვეს ფიცი, რომ არასოდეს იქ აღარ დაბრუნდებიან. უნივერსიტეტი დაიხურა.**

იტალია და საბჭოთა კავშირი

იტალიის მთელმა პარლამენტმა დაუჭირა მხარი ხელშეკრულებას

რომი, 6 ივნისი. „სტეფანის“ სააგენტო იტყობინება, რომ კენჭის ყრის დროს პარლამენტში იტალია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას ხმა მისცა 259 დეპუტატმა. წინააღმდეგ—8 დეპუტატმა.

მოკავშირეები და გერმანია

ელჩთა კონფერენციის ნოტა

პარიზი, 5 ივნისი. „ჰავასის“ სააგენტო იუწყება: ელჩთა კონფერენციის ნოტაში, რომელიც გერმანიის მთავრობას გადაეცა, აღნიშნულია, რომ გერმანიის მიერ თავის ვალდებულებათა აუსრულებლობა წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის. მოკავშირეები დარწმუნებული არიან იმაში, რომ შენიშნულ დეფექტების გამოსწორება დამოკიდებულია გერმანიის ხელისუფლების სურვილზე.

მოკავშირეები მზად არიან დასცალონ კელნის ზონა აღნიშნულ შეცდომების გამოსწორებისთანავე, მიუხედავათ ხელშეკრულების სხვა პუნქტების შეუსრულებლობისა. მოკავშირეები ხაზს უსვამენ, რომ ისინი მოქმედებენ ვერსალის ხელშეკრულების მე-429 მუხლის თანახმად.

ნოტასთან დართულ მემორანდუმი შეიცავს: 1) მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება გერმანიის მიერ ვალდებულებათა შესრულება სამხედრო ნაწილში, 2) ვალდებულებათა დარღვევა განიარაღების დარგში, 3) იმ ვალდებულებათა დარღვევათა აღნუსხვა, რომელიც გერმანიამ უნდა გამოასწოროს, რათა ვერსალის ხელშეკრულების მუხლები სამხედრო დარგში დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს, 4) იმ დათმობათა აღნუსხვა, რომელზედაც მოკავშირეები წავიდენ გერმანიის მიერ

ყვითლებმა აქაც უღალატეს მუშებს

ლონდონი 5 ივნ. მაღაროს მუშათა ბელადის სმიტის თავმჯდომარეობით, შესდგა იმ კომისიის თათბირი, რომელმაც უნდა განიხილოს ინგლისის სამრეწველო დარგების მუშათა ახალი კავშირის პროექტი. თათბირზე მაღაროს მუშათა ფედერაციის მდივანმა კუკმა დაიცვა ახალი კავშირის შექმნის იდეა. რკინისგზელების ბელადმა ტომასმა გააკრიტიკა ეს იდეა და აღნიშნა, რომ რკინისგზელები დაკავშირებული არიან მწარმოებლებთან შეთანხმებით, რომელიც საფრთხეში ჩავარდება, თუ შეიქნა საერთო საგაფიცვო კავშირი. ეს შეთანხმება კი სავსებით დამაკმაყოფილებელია. ტომასი ჰგმობდა ახალ პროექტს, როგორც პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობისაგან წარმოდგენილს. სხვა დელეგატები ხაზგასმით აღნიშნავდენ, რომ ახალი კავშირის შექმნის შემთხვევაში წამოიჭრება საკითხი ამ ახალი კავშირის და ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს ურთიერთობის შესახებ, ამიტომ განსაკუთრებული კავშირი არ არის საჭირო.

ბურჟუაზიული პრესა ზეიმობს გამარჯვებას თათბირის შედეგების გამო და აღნიშნავს, რომ კუკი დამარცხეს მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლებმა.

გერმანიის მთავრობა მფარველობს პროვოკატორებს

(დრუჟელოვსკის დაპატიმრების გამო)

ვენა, 6 ივნისი. ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, დრუჟელოვსკიმ, რომელიც დაპატიმრებული იყო საბჭოთა კავშირის და კომინტერნის დაწესებულებათა ყალბი ბლანკების, ბეჭდების და დოკუმენტების დამზადებისათვის, აღიარა, რომ ის მართლაც ამზადებდა ყალბ დოკუმენტებს და აწოდებდა მათ ბულგარეთის და პოლონეთის მთავრობებს.

ექსპერტიზამ დაამტკიცა, რომ ყალბი დოკუმენტები დრუჟელოვსკის ხელს ეკუთვნის.

გერმანიის ხელისუფლება ხელს უშლის პრესას გამოაქვეყნოს ცნობები ამ საქმის შესახებ, ვინაიდან მასში წილი უდევს **პოლიციის გამოჩენილ მოხელე ზიბერტს და გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელე როტს.**

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე

ჩინეთის მთავრობამ დააკმაყოფილა საბჭოთა მთავრობის ყველა მოთხოვნილებები

რკინისგზაზე დათხოვნილი იქნება 424 თეთრგვარდიელი.

დაიწყო რკინისგზის ყოფილი მმართველის ოსტროუმოვის გასამართლება.

თეთრგვარდიელები დათხოვნილი იქნებიან

ხარბინი, 5 ივნისი. 4 ივნისს საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა გრანტმა და ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს კომისარმა ცაიმ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, **რომლის ძალით დათხოვნილი უნდა იქნეს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ყველა ის მოსამსახურეები, რომლებიც არ არიან არც საბჭოთა კავშირის და არც ჩინეთის მოქალაქეები.** გზის 13,347 მუშა-მოსამსახურისაგან დასათხოვნი აღმოჩნდა მხოლოთ 424 კაცი.

ეხლა თვით ჩინეთის წარმომადგენლებმაც ნათლად გაიგეს მთელი მნიშვნელობა იმ აყალ-მაყალის, რომელიც ასტეხეს ჩინეთის და საბჭოთა კავშირის მეგობრობის მტრებმა თეთრგვარდიელების დათხოვნის გარშემო.

ჩუმჩუმად თავისას განაგრძობენ

ხარბინი, 5 ივნისი. საბჭოთა მოქალაქეების დევნა ჩინეთის პოლიციის მიერ კვლავ გრძელდება. მაგალითად, ციციკარში დაკეტეს საუბნო კომიტეტი, დააპატიმრეს მდივანი და თავმჯდომარე; პოლიციელებმა ჩამოხიეს კედლიდან კალინინის და ლენინის სურათები და წაიღეს ავეჯეულობასთან და საქმეებთან ერთად.

ოსტროუმოვის გასამართლება

ხარბინი, 5 ივნისი. 3 ივნისს დაიწყო აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ყოფილ უფროსის ოსტროუმოვის გასამართლება.

საბრალმდებლო სკამზე სხედან: ოსტროუმოვი, მიხაილოვი—გზის ეკონომიური განყოფილების ყოფ. გამგე, გონდატი—საადგილ-მამულო განყოფილების გამგე და სტეპუნინი—უფროსი მოანგარიშე. ბრალდებულები მცველებს ქვეშ იმყოფებიან. საბრალმდებლო აქტის მიხედვით, **მათ ბრალად ედება აფერისტობა, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გაკეთება და სამსახურის მოვალეობის შეუსრულებლობა.**

უკანასკნელი ცნობები

პერსელის განცხადება

ლონდონი, 6 ივნისი. „რეიტერის“ სააგენტო იუწყება, რომ პერსელმა როტსეიში გამართულ მიტინგზე განაცხადა, რომ მოძრაობა პროფმოძრაობის მთლიანობის სასარგებლოდ და უწინარეს ყოვლისა შეთანხმება რუსეთის პროფკავშირებთან წარმოადგენს უდიდეს მუშაობას მშვიდობიანობისათვის.

საფრანგეთის ოფიციალურ პირთა უტაქტობა

პარიზი. 5 ივნისი. საფრანგეთის გაზეთები მსჯელობენ იმ ინციდენტის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა პავილიონის გახსნის დროს დეკორატიულ ხელოვნების გამოფენაზე. როდესაც შეკრებილი ხალხი ესალმებოდა საბჭოთა კავშირს და მღეროდა „ინტერნაციონალს“ დე-მონზიმ უარი განაცხადა კრასინთან ერთად პავილიონში შესვლაზე და დასტოვა გამოფენა სხვა ოფიციალურ პირების თანხლებით.

ზოგიერთი მემარჯვენე გაზეთი სარგებლობს ამ შემთხვევით საბჭოთა კავშირისა და კომინტერნის წინააღმდეგ კიდევ ერთხელ გასალაშქრებლად.

„იუმანიტე“ სასტიკად აკრიტიკებს საბჭოთა პავილიონის გახსნის [illegible] დე-მონზის მიერ წარმოთქმულ სიტყვას. გაზეთი განსაკუთრებით კიცხავს სიტყვის იმ ნაწილს, სადაც დე-მონზი აღნიშნავდა, რომ შესაძლებელია საბჭოთა პროპაგანდა საფრანგეთში ახალი ხელოვნების შექმნის ბრძოლისათვის თავის ამოფარებით.

ბულგარეთის ტერორის მსხვერპლნი

ვენა. 5 ივნისი. ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ლეჟესი, პერჩემლიევის და ნიკოლოვას სიკვდილით დასჯა მოხდება ალბად მომავალი კვირის დასაწყისში, რადგანაც წინასწარ საჭიროა ზოგიერთი ფორმალური მხარის შესრულება.

ნიკოლოვას არ მოუცია საკასაციო საჩივარი; მის მიმართ განაჩენი ძალაში შევიდა.

ბელგიის კაბინეტის კრიზისის გარშემო

პარიზი, 5 ივნისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით ბელგიის ახალ კაბინეტში შევა 5 კათოლიკი და 5 სოციალისტი.—ეროვნულ თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე განზრახულია დანიშნონ სამხედრო წარმომადგენელი ლიბერალური წრეებიდან.

პალატისა და სენატის მემარჯვენე ფრაქციებმა კათოლიკურ პარტიის ბელად პულეს ნდობა გამოუცხადეს სოციალისტებთან მოლაპარაკების წარმოების გამო.

მოლაპარაკება საფრანგეთ-ესპანეთს შორის.

პარიზი, 5 ივნისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით საფრანგეთ-ესპანეთის მოლაპარაკება მაროკოს საკითხის შესახებ კარგად მიმდინარეობს.

მართლდება ცნობა ორივე სახელმწიფოს წარმომადგენელთა მომავალ შეხვედრის შესახებ პარიზში ან მადრიდში იარაღის გადატანისა და რიფების ზონისათვის ბლოკადის გამოცხადების საკითხთა მოსაგვარებლად.

ალბად, საქონლის გადატანის საკითხის შესახებ მოლაპარაკება გაიმართება ინგლისთან, რადგანაც საქონელი მაროკოში უმთავრესად მიდის ჰიბრალტარის გზით.

აბდ-ელ-ქერიმის შეტევა

პარიზი, 6 ივნისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით აბდ-ელ-ქერიმმა დაიწყო სერიოზული შეტევა საფრანგეთის ჯარების წინააღმდეგ ტაუნის რაიონში.

პირველად საფრანგეთის ჯარები იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ, მაგრამ მიღებული დახმარების წყალობით გამარჯვების სასწორი გადიხარა ფრანგებისაკენ.

ელჩთა კონფერენციის ნოტის გამო

პარიზი. 5 ივნისი. ჰავასის სააგენტოს მოჰყავს განიარაღების შესახებ მოკავშირეების ნოტის მესამე დამატება: პოლიციის ორგანიზაცია გერმანიაში ისეთივე დარჩა, როგორიც იყო 1922 წელში, მასში შედის 180.000 კაცი, 30.000-ით მეტი ნებადართულზე.

პოლიცია მოწყობილია და ნასწავლია სამხედრო წესისამებრ; იგი სარგებლობს უმავთულო ტელეგრაფით.

მოკავშირეები მოითხოვენ, რომ პოლიცია მოწყობილ იქნეს, როგორც ყველა დანარჩენი საზოგადოებრივი არასამხედრო დაწესებულებანი. მემორანდუმი მოითხოვს ესსენში და კოტენში კრუპის ქარხნებზე იქ დარჩენილ დიდ მანქანების განადგურებას, რომელთა საშუალებით წინეთ აკეთებდენ ზარბაზნებს, ასაფეთქებელ მასალებს და სხვ.

მოთხოვნილება გერმანიის ჯარის 180.000 კაცამდე შემცირების შესახებ თუმცა არ არის დარღვეული, მაგრამ დიდძალი ახალგაზრდობა გადის სამხედრო სწავლების შემოკლებულ ვადას. ჯარის ხელმძღვანელობა ისევეა მოწყობილი, როგორც ძველი გენერალური შტაბის დროს. ოფიცრებისა და უნტერ-ოფიცრების რიცხვი დიდია და არ შეეფარდება ჯარისკაცთა რიცხვს. ქვეითი ჯარი სწავლობს ზარბაზნების სროლას, ჰაეროპლანებით სარგებლობენ სამხედრო მიზნებისათვის.

მემორანდუმი აღნიშნავს ყველა ამ ნაკლის სასწრაფოდ გამოსწორების საჭიროებას.

ჯამაგირების გადიდება

არმიის და ფლოტის უფრ. შემადგენლობისათვის

მოსკოვი. 6 ივნისი. საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანებით წითელი არმიის და ფლოტის საკომანდო შემადგენლობას გაუდიდდა ჯამაგირები 1 ივნისიდან. ჯამაგირები გადიდებულია 15 პროც.-ით.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სამოქალაქო ომში დაღუპულთა სია.

მოსკოვი, 7 ივნისი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ, რომელსაც საჭიროდ მიაჩნია მოსახლეობისათვის ცნობების მიწოდება წითელი არმიის და ფლოტის ფრონტებზე დაღუპულთა შესახებ, წინადადება მისცა სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატს გამოსცეს ასეთი სახის სიები და დაუგზავნოს უფასოდ ყველა სამეურნეო სამაზრო და სათემო აღმასკომებს. აღმასკომები ვალდებული არიან დააკმაყოფილონ მოსახლეობა ცნობებით ამ სიის მიხედვით.

უკრაინა

იტალიელი მეზღვაურები ესტუმრენ ოდესის მუშებს.

ოდესა, 6 ივნისი. ოდესის ნავთსადგურში მდგომ იტალიის გემების მეზღვაურებმა ინახულეს მუშების დასასვენებელი სახლები. ისინი განცვიფრებაში მოიყვანა იმ პირობებმა, რომელშიაც იმყოფებიან მუშები დასასვენებელ სახლში.

ერთ-ერთმა მეზღვაურმა როვერედომ, რომელიც მიესალმა უკრაინელ მუშებს, განაცხადა, რომ იტალიელ მეზღვაურებს ასეთი რამე არ უნახავთ და არც წარმოუდგენიათ: იტალიაში ასეთ ვილებში, როგორიც არის საბჭოთა დასასვენებელი სახლები, მხოლოდ კაპიტალისტები ცხოვრობენ.

მუშებმა ამ სტუმრობის აღსანიშნავად გადასცეს იტალიელებს რევოლუციის ბელადების სურათები, ყვავილები და ლიტერატურა.

ღირსეული სასჯელი პოლონეთის ჯაშუშებს

კიევი. 6 ივნისი. გამოტანილია განაჩენი ბელავინის ჯაშუშთა ორგანიზაციის საქმის გამო.

ბელავინს, ნინა კრუჩკოვსკაიას და ივანოვს მიესაჯათ დახვრეტა. ბელოზეროვს—10 წლის ციხე, სტანისლავა კრუჩკოვსკაიას, გროტს, ვუიერს და დემიანოვს—5 წლის ციხე, რომინს—1 წლის ციხე, ჩიჩმარევს—3 წლის, ერმოვს—1 ნახევარი წლის, გრუზდევს—1 წლის. ლევკოვიჩს 9 თვის, მაგრამ წინასწარ დაპატიმრების ჩარიცხვის გამო—განთავისუფლებულია, ვილკეს და ზოია ლვოვას მიესაჯათ პირობით 1 წლის ციხე, ნინა ლვოვა გამართლებულია. ვრიდევიჩს მიესაჯა 3 წლის ციხე, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში მისი გულწრფელი მონანიება, სასამართლომ დაადგინა იშუამდგომლოს უკრაინის ცაკის წინაშე მისი სრულიად განთავისუფლების შესახებ.

ყველა დაპატიმრებულებს ჩაეთვალათ წინასწარი დაპატიმრება. ჩიჩმარევი, გროტი, დემიანოვი, ვუიერი, სტანისლავა კრუჩკოვსკაია და ბელოზეროვი შეზღუდული არიან უფლებებში 3 წლით.

საბჭოთა აღმშენებლობის საკითხები სოფლად

დისკუსია

თემის ბიუჯეტის გარშემო

III

ამხ. ქურდაძე თავის წერილს ათავებს კითხვით: „სად არის გამოსავალი“ და შემდეგ აღიარებს რა, რომ კითხვა რთულია, საჭიროდ მიაჩნია თათბირის მოწვევა და ამ თათბირზე საკითხის გადაჭრა.

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ამხ. ქურდაძეს, რომ საკითხი რთულია და თათბირის მოწვევაც საჭიროა. მაგრამ თათბირის მოწვევამდის უმჯობესი იქნება გაზეთის ფურცლებზე გამოითქვას ყველა მოსაზრებანი თემის ბიუჯეტის და მისი არსებობის შესაძლებლობის შესახებ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თემის ბიუჯეტს უნდა შეუქმნათ უსათუოდ მტკიცე ეკონომიური ბაზა, მტკიცე შესაძლებლობანი სოფლის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

მმართველი პარტიის და ხელისუფლების მთავარ საზრუნავ საქმედ დღეს აღიარებულია სოფლის მოწყობა, მისი კულტურულად ამაღლება და სწორედ ამ მიზნებს ემსახურება თემის ბიუჯეტი, მას ევალება: იზრუნოს გზებზე, აგრონომიული დახმარება გაუწიოს გლეხკაცობას, მოაწყოს საცდელი მინდვრები, მიაწოდოს გლეხკაცობას მისთვის საჭირო სამეურნეო იარაღი, შექმნას საშუალება საქონლის ჯიშის გაუმჯობესებისა, გახსნას და შეინახოს თემისათვის საჭირო ტიპის სკოლა, მოაწყოს საავადმყოფო, საფერშლო და საბეითლო პუნქტები, ქოხ-სამკითხველოები, კლუბები, დაიცვას სოფელი ხანძარისაგან და სხვა. ამას გარდა თემის ბიუჯეტი გლეხკაცობას ითრევს უშუალოდ სახელმწიფო საქმეების წარმოებაში და მაშასადამე პოლიტიკურადაც წვრთნის მას.

ამგვარად არ არსებობს არც ერთი დარგი სოფლის და გლეხკაცობის ცხოვრებისა, რომლის მოწყობა და ჯეროვან სიმაღლეზე დაყენება თემის ბიუჯეტის მოვალეობას არ შეადგენდეს ან მისი გაუმჯობესება არ გამომდინარეობდეს თემის ბიუჯეტის არსებობის ფაქტიდან.

მაშასადამე მმართველი პარტიის მიერ წამოყენებულ ლოზუნგის „პირით სოფლისაკენ“ პრაქტიკული განხორციელება უნდა ვეძიოთ თემის ბიუჯეტში, მის შექმნა-გამაგრებაში და მასზედ დაკისრებულ მოვალეობათა პირნათლად შესრულებაში.

სოფლის მოწყობა და გლეხკაცობის კულტურულ და სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ თემის ბიუჯეტის შექმნით, მისთვის ჯეროვანი სიმტკიცის მიცემით და გაძლიერებით.

ეს გარემოება ითხოვს ადგილობრივ ხელისუფლებისაგან გმირულ ნაბიჯებს და მტკიცე ურყევ მოქმედებას, ამიტომ უპირველეს ყოვლისა, თემის აღმასკომის განკარგულებაში უნდა დაგროვდეს ყველა ის ქონება, რომელსაც აქვს რაიონული მნიშვნელობა, ვის ხელშიაც არ უნდა იყოს ის. ჩვენ შეგვეძლო მოგვეყვანა რუსეთის ცხოვრებიდან ბევრი მაგალითი მნიშვნელოვან ქონებათა რაიონისათვის გადაცემისა, მაგრამ შევჩერდები საკავშირო ცაკთან აპრილში მომხდარ თათბირის გადაწყვეტილებაზე.

საბჭოთა ძირითადი აპარატის განსამტკიცებლად და სოფლის და გლეხკაცობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თათბირმა დაადგინა გადასინჯულ იქნას რაიონის, ვოლოსტის საშემოსავლო წყაროები იმ მიმართულებით, რომ თემს (ვოლოსტს) მიეცეს შესაძლებლობა თავის ბიუჯეტში თავი მოუყაროს ყველა იმ დაწესებულებებს, ქონებას და წარმოებას, რომელიც გადაცემული აქვს ან უნდა გადაეცეს მას (საკავშირო ცაკის „იზვესტია“ 31 მაისისა № 122).

ჩვენც გვმართებს ამ მიმართულებით მტკიცე ნაბიჯების გადადგმა და უკან დახევა სოფლისაკენ ზურგის შექცევას უდრის.

შემდეგ, არსებული კანონით, ადგილობრივ ბიუჯეტს ეძლევა ერთიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის ანარიცხები, რომლის რაოდენობა ჯერჯერობით საბოლოოდ გამორკვეული არ არის. (ნავარაუდევია გადაეცეს ადგილობრივ ბიუჯეტს ამ გადასახადის შემოსავლის ერთი მესამედი). სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მხოლოდ და მხოლოდ შემოდის იმ ტერიტორიაზე, რომელსაც განაგებს თემი, ამიტომ ამ გადასახადის ანარიცხები უნდა მიეცეს სრულიად თემს, რაიც შეადგენს დაახლოვებით 1.000.000 მანეთს, მაგრამ ყველა თემს არ სჭირდება ამ გადასახადის ანარიცხების 100 პროც., ზოგს კი 100 პროცენტიც არ ეყოფა. ამიტომ განზრახულია აღნიშნულ ანარიცხების 70 პროც. დარჩეს იმ თემში, რომლის ტერიტორიაზედაც იგი შემოვიდა, დანარჩენი 30 პროც. კი უნდა გადაეცეს მაზრის აღმასკომს ისეთი ფონდის შესაქმნელად, საიდანაც უძლურ თემს მიეცემა დახმარება დოტაციის სახით იმავე მაზრის ფარგლებში. მაშასადამე სასოფლო სამეურნეო გადასახადის ანარიცხების 100 პროც. მიეცემა თემს.

თემსავე ეძლევა თემის ფარგლებში შემოსულ სარეწაო გადასახადის 100 პროცენტიანი დამატებანი, მაგარ სასმელებით და საჭმელით მოვაჭრე დუქნების გადასახადზე კი 150 პროცენტიანი დამატებანი, ყველა ადგილობრივი გადასახადი და გამოსაღები თემის ფარგლებში და სარეწაო გადასახადის სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხების 50 პროც.

თუ ამ შემოსავლის მუდმივ და უტყუარ წყაროებს დაემატება იმ ადგილობრივ მნიშვნელობის ქონებათა შემოსავალი, რომელნიც დღეს კერძო პირების მიწათმოქმედების კომისარიატის და უმაღლეს სამეურნეო საბჭოს განკარგულებაში არიან, ხოლო არსებული კანონით უნდა გადაეცეს ადგილობრივ ორგანოთ, ჩვენ მივიღებთ საგულისხმო თანხას, რომლითაც შესძლებს თემი სოფლის უმთავრეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. აღნიშნულ წყაროების გარდა, განზრახულია თემსავე მიეცეს სახელმწიფო დახმარება, სუბვენციის სახით.

ამაზე შემდეგ.

გ. ხ—ძი.

სათემო საბჭოებისა და აღმასკომების დებულების პროექტის შესახებ

(პასუხად ამხ. კლ. გვალიას)

გაზ. „კომუნისტის“ № 127-ში მოთავსებულია ამხ. კლ. გვალიას წერილი თემსაბჭოების ახალი დებულების შესახებ. ავტორი, ეხება რა დებულების საერთო შეფასებას, სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ პროექტი ყოველმხრივ „უნდა იქნეს წინასწარ შესწავლილი, სანამ იგი კანონმდებლობითი წესით იქნებოდეს დამტკიცებული“. სწორეთ ამ მიზნით ავტორი აღნუსხავს დებულების ნაკლულევანებათა მთელ რიგს შევეხოთ მათ:

1. თემსაბჭოებთან სარევიზიო კომისიების დაარსების საკითხი.

ასეთი კომისიების დაარსება თემსაბჭოებთან იყო უარყოფილი შემდეგი მოსაზრებით:

ვინაიდან თემის ფარგლებში ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არის სათემო საბჭო, მას აქვს სრული უფლება საჭიროებისდამიხედვით თავის შემადგენლობიდან გამოჰყოს სარევიზიო კომისია და მიანიჭოს მას სათანადო უფლებები განსაკუთრებულ საკითხების განსახილველად. ჩვენის აზრით, ამნაირი დროებითი სარევიზიო კომისიების მუშაობა მოიტანს უფრო მეტ ნაყოფს, ვიდრე მუდმივი სარევიზიო კომისია; გარდა ამისა, ამომრჩეველთა საერთო კრებაზე არჩეულმა სარევიზიო კომისიის მუშაობამ ადვილი შესაძლებელია გამოიწვიოს მრავალი გაუგებრობანი მის და საბჭოს შორის; სარევიზიო კომისიები მოისურვებენ ზოგიერთ შემთხვევაში საბჭოს ფუნქციების მითვისებას და ამით გამოწვეული იქნება თემში მუშაობის შეფერხება. ყოველ შემთხვევაში თუ გამოცდილება ჩვენ დაგვანახვებს საბჭოსთან სარევიზიო კომისიის არსებობის აუცილებლობას, თავის თავად ცხადია, დებულებაში იქნება შეტანილი სათანადო დამატება, ამ კომისიების დაარსების შესახებ.

2. სასოფლო საბჭოების უფლება-მოვალეობის განსაზღვრის საკითხი.

ამხ. გვალიას ალბათ ვერ გაუგია, რომ ხსენებული პროექტი შეიცავს დებულებას მხოლოდ თემსაბჭოების და აღმასკომების შესახებ. ამ დებულებაში შეუძლებელია მოთავსებულ იქნეს აგრეთვე სასოფლო საბჭოების უფლება-მოვალეობანიც, ვინაიდან ეს საკითხი შეადგენს ცალკე თემსაბჭოების დებულებისაგან დამოუკიდებელ მსჯელობის საგანს.

შინაგან საქ. სახ. კომისარიატი ცალკე იმუშავებს სასოფლო საბჭოების შესახებ განსაკუთრებულ ინსტრუქციას.

3. ადგილობრივი მილიციის და თემაღმასკომის შორის ურთი-ერთ დამოკიდებულება.

ამხ. კლ. გვალია სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ნაკლს ამ მხრივ, მაგრამ სამწუხაროთ ეს არის საერთო ნაკლი და არა თემსაბჭოების დებულების პროექტისა. მართალია, მილიციის და აღმასკომის შორის დღემდე არ არის მკაფიოთ ჩამოყალიბებული ურთიერთ დამოკიდებულება, მაგრამ ეს საკითხი უნდა იქნეს დამუშავებული დებულებისდამიუხედავათ, ვინაიდან სათემო მილიცია არ არსებობს; მაშასადამე საკითხი მილიციისა და აღმასკომების შორის ურთიერთ დამოკიდებულობის შესახებ წარმოადგენს მორიგ დასამუშავებელ საკითხს; შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ახლო მომავალში აქვს განზრახული მილიციის ორგანიზაციის ცალკე დებულებით ჩამოყალიბება. ამ დებულებაში იქნება განსაზღვრული და სავსებით გამორკვეული თემაღმასკომებსა და ადგილობრივი მილიციის შორის ურთიერთ დამოკიდებულება.

4. თემაღმასკომების ადმინისტრატიული უფლებების გადიდების შესახებ.

ამხ. გვალია მოითხოვს, რომ თემაღმასკომებს მიენიჭას უფრო მეტი ადმინისტრატიული უფლებები, ვიდრე ეს გათვალისწინებულია დებულების პროექტში. ახალი დებულების მიხედვით თემაღმასკომებს ზოგიერთ დარგში მინიჭებული აქვთ უფრო მეტი უფლებები, ვიდრე ყოფილ სარაიონო აღმასკომებს. მაგრამ მისი უფლებების გაფართოება ადმინისტრატიულ დარგში არ იქნება მიზანშეწონილი შემდეგი მოსაზრებებით:

თემაღმასკომების მუშაობის ძირითად ამოცანებათ დღევანდელ პირობებში უნდა ჩაითვალოს სოფლის მეურნეობის აღორძინებისთვის ხელის შეწყობა, კულტურულ მუშაობის გაცხოველება და სოფლის კეთილმოწყობის საკითხების განხილვა-გადაწყვეტა.

ამ ამოცანების განხორციელების მიზნით თემაღმასკომებს ეძლევათ ფართო უფლებები, და თუ ეს უფლებები მიზანშეწონილათ იქნება გამოყენებული, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მუშაობა სოფლად კულტურულ-ეკონომიურ დარგში საგრძნობლად წაიწევს წინ. რაც შეეხება ადმინისტრატიულ უფლებების გაფართოებას თემაღმასკომებისათვის, მე ვეკითხები ამხ. კლ. გვალიას: რა სარგებლობას მოიტანს ეს? ერთი მთავარი საკითხთაგანი, რომელიც უმაღლეს პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მიერ დასმულია მთელის თავის მნიშვნელობით, არის სოფლად რევოლუციონური კანონიერების განმტკიცება.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ თემაღმასკომებისთვის ადმინისტრატიული უფლებების გაფართოებაზე, უნდა მივუდგეთ ამ საკითხის გადაჭრას რევოლუციონური კანონიერების განმტკიცების თვალსაზრისით. არის თუ არა საჭირო სოფლად რევოლუციონური კანონიერების განმტკიცების მიზნით თემაღმასკომების ადმინისტრატიული უფლებების გაფართოება?

პირიქით, სწორედ ამ კანონიერების განმტკიცებისთვის საჭიროა უფრო მეტი შეზღუდვა თემაღმასკომების ადმინისტრატიული უფლებებისა. ამხ. კალინინი მიდის უფრო შორს ამ საკითხში და ამბობს, რომ სამაზრო აღმასკომების ადმინისტრატიული უფლებებიც კი უნდა შეიზღუდოსო (იხ. მოხსენება საბჭოთა აღმშ. თათბირზე საკავშირო ცაკთან). წარსული გამოცდილება ჩვენ გვიმტკიცებს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ძალიან ხშირ შემთხვევებში ბოროტად იყენებდენ მინიჭებულ ადმინისტრატიულ უფლებებს.

5. თემსაბჭოებთან სექციების (კომისიების) დაარსების და მუშაობის შესახებ.

ამხ. გვალია მიუთითებს ამ ნაკლს. მართალია, დებულებაში საკითხი სექციების დაარსების და მათი მუშაობის შესახებ თითქმის სრულიად არ არის გაშუქებული, მაგრამ ამჟამად ჩვენ გამოვიმუშავეთ ინსტრუქცია საბჭოებთან კომისიების მოწყობის და მუშაობის შესახებ, რომელიც უკვე დაეგზავნა ყველა მაზრებს და თემებს გასაცნობად. ეს ინსტრუქცია იქნება დამატებით შეტანილი დებულებაში როგორც მისი ნაწილი.

ყოველივე ხსენებულ საკითხებს რომლებზედაც მიუთითებს ამხ. კლ. გვალია თავის წერილში, მე უნდა დაუმატო კიდევ ერთი საკითხი, რომელიც სრულიად არ არის გაშუქებული დებულებაში—ეს არის საკითხი სოფლის (ან თემის) საზოგადო კრებების შესახებ. ამ კრებებს სოფლის ცხოვრებაში აქვთ დიდი მნიშვნელობა და ამის გამო დებულებაში უნდა დაეთმოს ადგილი საზოგადო კრებების მუშაობას და სათემო საბჭოსთან დამოკიდებულობის განსაზღვრას.

ეს საკითხიც დამუშავებულია, და დამატებით, კომისიების მუშაობის შესახებ გამომუშავებულ ინსტრუქციასთან ერთად დაეგზავნა ადგილებს წინასწარ გასაცნობად და განსახილველად.

ადვილი შესაძლებელია დებულებას, მისი ადგილებზე განხილვის შემდეგ, აღმოაჩნდეს კიდევ სხვა მრავალი დეფექტი, შესაძლებელია ადგილობრივი პირობების მიხედვით ბევრი რამ იქნეს დამატებული. ყველა საქმიანი მითითებანი იქნება მიღებული მხედველობაში და ბოლოს, როდესაც ამ დებულებას გაუკეთებს თავის ავტორიტეტულ დასკვნას საქართველოს ცენტრალურ აღმ. კომიტეტი, ადგილობრივ მომუშავეებს მიეცემათ იგი უკვე როგორც კანონი, რომლითაც თავის ყოველდღიურ მუშაობაში უნდა იხელმძღვანელონ.

დ. ადცაური.

პარტიული ცხოვრება

პარტიული მუშაობა შორაპნის მაზრაში

შორაპნის მაზრის ორგანიზაცია დაყოფილია 4-რაიკომად (მე-5-ე არის ჭიათურის რაიონი, მაგრამ რადგან ჭიათურაში თვით მაზრა იმყოფება, გაუქმებულია რაიკომი და ჭიათურის რაიონს ხელმძღვანელობას უწევს სამაზრო კომიტეტი). ოთხივე რაიონში (ჭიათურითურთ) ითვლება 46-კომუჯრედი, რომელიც აერთიანებს 514-წევრს და 576-კანდიდატს.

პარტიის წევრთა პოლიტიკურ ცოდნის დონე, როგორც ქალაქად, ისე სოფლად ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. უმრავლესობას არ აქვს ნათელი წარმოდგენა პარტიის წესდებასა და პროგრამაზე, პარტიულმა კომიტეტმა მიაქცია ამ მდგომარეობას ყურადღება და მიზნად აქვს დასახული ამ მოკლე ხანში პოლიტ-ცოდნის დონის ამაღლება პარტიის წევრსა და კანდიდატებს შორის. უკანასკნელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარი მცირეა, ისინიც მეცადინეობენ სალიკვიდაციო სკოლებში, და მოკლე დროში პარტიაში არ იქნება ერთი წერა-კითხვის უცოდინარი.

ახალგაზრდა ლენინელ კომკავშირის მუშაობა შორაპნის მაზრაში საგრძნობლად გაუმჯობესებულია. მთავარი ყურადღება მიქცეულია სოფლად უპარტიო ქალთა, მოჯამაგირეთა და მოწაფეთა შორის მუშაობისაკენ.

როგორც [illegible], ისე ყველა რაიკომებთან არსებობს პროფ-კოლექტივები, რომლებში თავს იყრიან მოწაფე ამხანაგები. პროფკოლექტივის მიზანია წინასწარ დაამუშაოს თემა და შემდეგ დამუშავებული—გადაიტანოს უჯრედებში. ამ მეთოდს ნაყოფიერი შედეგები მოაქვს.

კომკავშირის გავლენა ახალგაზრდობაზე დიდია, ამის დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ სამაზრო ორგანიზაციის წევრთა რიცხვი უდრის 2.300 წევრს და 30-კანდიდატს. კომკავშირში შესვლის მსურველთა რიცხვი თითქმის განუსაზღვრელია.

კავშირის შინა-მუშაობა, კერძოთ კი წევრთა პოლიტიკური აღზრდის საქმე თავის სიმაღლეზე სდგას. არსებობს პოლიტ-წრეები და მეცადინეობაც სისტემატიურად მიმდინარეობს. წერა-კითხვის უცოდინარი შორაპნის მაზრაში 77 კომკავშირელი ითვლება.

ამ ბოლო დროს შორაპნის მაზრაში ქალთა შორის მუშაობა წინ მიიწევს. არსებობს ქალთა პოლიტ-წრეები, რომელნიც თავის გარშემო აერთიანებენ მშრომელ ქალებს. ქალთა განყოფილება დიდ დახმარებას უწევს უმუშევარ ქალებს.

უმუშევრობის აღმოსაფხვრელად გახსნა სამრეცხაო, სამკერვალო და მიზნად აქვს დასახული კიდევ ამ მოკლე ხანში გახსნას საფეიქრო, რომლისათვისაც ყოველივე იარაღები მზად აქვს.

ინფორმატორი: მ. გრიგვაძე.

ბავშვთა კომუნისტ. მოძრაობის ცხოვრებიდან

ნორჩ პიონერთა თბილისის ორგანიზ. საორგანიზაციო მუშაობა

ნორჩ პიონერთა თბილისის ორგანიზაცია ამ უკანასკნელ ხანებში სულ უფრო ძლიერდება და ფართოვდება.

თუ ა. წ. იანვრისათვის თბილისის ორგანიზაციის 117 კოლექტივში იყო 11.301 პიონერი, ამჟამად ჩვენ უკვე გვყავს 13.935 პიონერი, რომლებიც გაერთიანებული არიან 172 კოლექტივში. ქალიშვილების პროცენტიც გაიზარდა 34.5-დე.

პიონერთა აქტივი შეუჩერებლად იზრდება, კოლექტივების ხელმძღვანელთა შორის დისკუსიის ჩატარებამ პიონერთა აქტივთან მუშაობის შესახებ—დაგვანახვა, რომ საჭიროა მუშაობის რეორგანიზაცია ამ დარგში, კერძოდ კი აქტივისტთა სკოლების პროგრამაში პოლიტიკური ცოდნის საკითხების და აგრეთვე ბავშვთა მოძრაობის თეორიის შეტანა. ეს რეორგანიზაცია უზრუნველჰყოფს როგორც კოლექტივთა მუშაობის სწორ ხელმძღვანელობას, ისე მუშაობის გაღრმავებას პიონერთა მოზრდილი ნაწილის აქტივიზაციის დარგში.

საინსტრუქტორო კადრის კვალიფიკაცია საერთოდ დაბალია და სუსტი, რაც აიხსნება უმთავრესად მომზადებულ ხელმძღვანელთა სიმცირით. მაგრამ ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, ხელმძღვანელი კადრის გასაფართოებლად თბილისში ორ რაიონში მოწყობილია ხელმძღვანელ კოლექტივთა რაიონული სკოლები.

კომკავშირელთა კადრი პიონერთა ორგანიზაციაში გაიზარდა 3,77 პროცენტამდე—517 კომკავშირელის სახით.

რაც შეეხება უჯრედების კავშირს კოლექტივებთან, უნდა ითქვას, რომ საერთოდ და მთლიანად ის დამაკმაყოფილებელია.

ფორპოსტები მოწყობილია ყველა სკოლებში, გარდა ზოგიერთ ქართულ და რუსულ სკოლებისა, სადაც მუშაობას აწარმოებენ კოლექტივები. ფორპოსტების მუშაობა თანდათან მტკიცდება და ჯანსაღდება. ფორპოსტები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე სკოლების საერთო მუშაობაშიაც. თავის მხრივ მასწავლებლობაც ძალიან დაინტერესებულია პიონერთა მოძრაობით.

თბილისის მაზრის რაიონებში არის 60 კოლექტივი, რომლებშიაც გაერთიანებულია 3,500 ბავშვი. კოლექტივები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სოფლად პრაქტიკულ მუშაობაში. მათ დიდი თანაგრძნობით უცქერიან გლეხები.

ამას გარდა დიდი მუშაობა სწარმოებს პიონერთა განტვირთვისათვის, შემუშავებულია სხდომების გამართვის წესი. დაწესებულია მეცადინეობის ერთიანი დღე. მიღებულია აგრეთვე ზომები სოციალურ-აღმზრდელობითი მუშაობის მიზანშეწონილად დაყენებისათვის.

მთელი ზემოაღნიშნული მუშაობა სწარმოებს თბილისის ბიუროს ხელმძღვანელობით. ხელმძღვანელობა ნორმალურია. ამ რამოდენიმე ხნის წინად მოხდა ყველა სამაზრო რაიონების დათვალიერება, რამაც შესაძლებელი გახადა ხელმძღვანელობის გაუმჯობესება.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ნორჩ პიონერთა მუშაობა საბოლოოდ ჯანსაღდება: ორგანიზაცია იზრდება და მტკიცდება, დეფექტები გამოსწორებულია, პიონერთა აქტივი იზრდება, საბოლოოდ დამყარებულია ავტორიტეტი სკოლებში და სოფლად.

მეტის ატანა შეუძლებელია*)

XXVIII

ჩემი მეგობრის მესამე დებულება ასეთია:

„შენს წერილს ესერებისა და მენშევიკების პარტიების სიკვდილის შესახებ რაღაც ნაძალადევობა ეტყობა; ეს აზრი კვლავად შემცდარი აზრია“.

ეტყობა, ჩემს მეგობარს—და, ალბად, მის მეგობრებსაც,—პოლიტიკური პარტია რაღაც თვით არსად, რაღაც უკვდავ რამედ წარმოუდგენია. მას ასე ჰგონია, რომ პოლიტიკური პარტია არსებობს ისე თავის თავად, რომ მისი არსებობისთვის საჭირო არ არის ის მიზეზები, ის ნიადაგი, რომელმაც ეს პარტია წარმოშვა. მათი აზრით, პარტია, რაკი ერთხელ გაჩნდა და გაიზარდა, იარსებებს მის შემდეგაც, როცა ეს მისი წარმომშობი ძალა ქრება, იარსებებს იმ წყაროს უმისოდ, რომლიდანაც ის საზრდოს იღებდა.

ერთი სიტყვით, ჩემს მეგობარს და მის მეგობრებს პარტია წარმოუდგენიათ ისე, როგორც ნოე ჟორდანიასა და „მის მთავრობას“ დღეს წარმოდგენილი აქვთ ხელისუფლების წარმოშობისა და არსებობის კანონი. ეს კანონი ჯერ კაცობრიობის ისტორიაში სრულიად ახალია, მას ჯერ არავინ იცნობს. ეს ახალი კანონი იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლება, ან უკეთ ვსთქვათ, ხელისუფლების ცხოვრებაში გამტარებელი—მთავრობა, არსებობს მის შემდეგაც, როცა ამ ხელისუფლების წყარო პარლამენტი,—ან ჩვენს შემთხვევაში დამფუძნებელი კრება, არ არსებობს.

აი ამ ახალ კანონისა თუ თეორიის ძალით არის ის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ერთად აგერ სრული ოთხი წელიწადი და ორი თვე ნახევარია, რაც მოისპო და ამ ხელისუფლების წყაროს მიერ ერთხელ არჩეული მთავრობა კიდევ თავის თავს მთავრობათა სთვლის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობას თავს არ ანებებს, თუმცა აგერ მეხუთე წელიწადია, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება არსებობს. დღემდე მგონი მხოლოდ ასტრონომიაში იყო ცნობილი, რომ ზოგიერთი ვარსკვლავები, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ, სინამდვილეში არც კი არსებობენ: ისინი უკვე გამქრალან; მაგრამ ეს ვარსკვლავები ჩვენგან ისე შორს იყვნენ, რომ მათგან გამოტყორცნილი შუქი ჯერ კიდევ არ გამქრალა და ჩვენ ისევ ისე ვარსკვლავებად გვეჩვენება. დღეის შემდეგ რაღაც ასეთი იქნება იურისპრუდენციაში: ისტორია უეჭველად აღნიშნავს, რომ იყო ისეთი შემთხვევა, როცა ხელისუფლების წყარო დაშრეტილი იყო და მთავრობა კი უკვდავი იყო და თავის პოსტზე იდგა. მეცნიერები ამას აღნიშნავენ, როგორც სასწაულს, და ბედნიერები ვართ, რომ ასეთი სასწაული მარტო საქართველოში მოხდა. მეტი თუ არაფერით, ამ სასწაულით მაინც შეგვიძლია თავი მოვიწონოთ და ყველაზე უფრო ეს უნდა გვახსოვდეს ჩვენ, ყოფილ დამფუძნებელი კრების ყოფილ წევრებს. ხუმრობა საქმე ხომ არ არის: თუ ჩვენ მიერ ერთხელ მიცემული უფლება ჩვენი სიკვდილის შემდეგაც ძალაში რჩება, რა დიდი ძლიერება უნდა ვყოფილიყავით მაშინ, როცა ჩვენი დამფუძნებელი კრება და ჩვენ ცოცხლები ვიყავით და ვკანონმდებლობდით! მაგრამ საქმე ის არის, რომ მაშინ ანტანტის სახელმწიფოები არაფერს არ გვიჯერიდნენ, მაშინ ყურადღებასაც არ გვაქცევდნენ. ალბათ იმათაც ჩვენი სიკვდილის შემდეგ შევუყვარდით, რომ დღეს მთავრობათ და საქართველოს წარმომადგენლებათ იღებენ იმ ნოე ჟორდანიასა და „მის მთავრობას“, რომლებსაც აქ, ისინი საქართველოში ასეთებად არ იცნობდნენ.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩემი მეგობრის შენიშვნას.

მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლიტიკური პარტია ნოე ჟორდანიასა და „მის მთავრობის“ ბუნების მქონე როდია. ის ისეთი კია როდია, რომელიც რამდენ ნაწილებადაც უნდა დასჭრათ, თვითოეული ნაწილი თავისთავად, ერთმანეთზე დამოუკიდებლათ იცხოვრებს. პარტია ისეთი სათუთი და რთული რამ არის, რომელიც ერთ დღესაც ვერ გაძლებს იმ ნიადაგის გარეშე, რომელმაც ის წარმოშვა, ის ერთ წუთსაც ვერ იარსებებს იმ წყაროს გარეშე, რომელიც მას ასაზრდოებს.

მაინც რა არის პოლიტიკური პარტია?

პოლიტიკური პარტია არ არის და არ შეიძლება იყოს მთელი საზოგადოება, მით უმეტეს არ შეიძლება იყოს მთელი სახელმწიფო. პოლიტიკური პარტია —ეს უმნიშვნელო ნაწილია საზოგადოებისა. ის თვით არსებობის აზრითაც (по смыслу) არ შეიძლება იყოს მთელი საზოგადოება ან სახელმწიფო. ის მხოლოდ და მხოლოდ ფერმენტია, რომელიც აწარმოებს ამ საზოგადოებაში დუღილს, მას მოძრაობაში მოჰყავს საზოგადოება. პოლიტიკური პარტია მხოლოდ საფუარია, რომელსაც სდებენ დიდ ცომში. და მას შემდეგ, როცა ეს საფუარი ასრულებს თავის დანიშნულებას, გააფუებს ცომს, ის თვითონ იკარგება ამ ცომში, თვითონ იქცევა გამომცხვარი პურის ნაწილად.

ასეთსავე მოვლენას აქვს ადგილი პოლიტიკური პარტიის არსებობაშიც. როცა პოლიტიკური პარტია ასრულებს თავის დანიშნულებას, როცა ის ჰქმნის ახალ პოლიტიკურ სფეროს, რომლისთვისაც იგი იბრძოდა, ის თვითონ ითქვიფება ამ მის მიერ შექმნილ სფეროში, ხდება მის შემადგენელ ნაწილად, კარგავს თავის არსებობის საზრს და იქცევა თვის წინააღმდეგობად და კვდება, როგორც პოლიტიკური პარტია.

ეს ჩვენ დავინახეთ რუსეთში ესერებისა და ს.-დემოკრატების პარტიების მაგალითზე, ესევე განვიცადეთ ჩვენ საქართველოშიც.

რა მოხდა საქართველოში? როგორ მოვლენას ჰქონდა აქ ადგილი?

30 წლის წინათ ათი თხუთმეტიოდე ახალგაზრდა კაცი გამოვიდა ჩვენში განსაზღვრული პოლიტიკური პროგრამით. ეს ახალი წრე, რომელსაც სრულიად შემთხვევით მესამე დასი დაარქვეს, ისეთის ალფრთოვანებითა და ენერგიით [illegible] საქმეს, რომ მან სულ მალე შემოიკრიბა თავის რევოლუციონური დროშის ქვეშ საქართველოში მობინადრე ხალხების ყველა რევოლუციონური ძალები. ამ „დასის“ მიერ წამოყენებულმა ლოზუნგებმა თვით ხალხის გულში მოიპოვეს გამოძახილი და ამიტომაც ამ პარტიამ იმ თავითვე ხალხის მასების დიდი ნდობა და პატივისცემა დაიმსახურეს. ამიტომ იყო, რომ ამ „დასის“ ყოველი სიტყვა-უცვლელ კანონად იყო მიღებული საქართველოს ფარგლებში; მისი ხმა სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან მთელ ქვეყანაზე გაისმოდა. რუსთველმა სთქვა:—შიში შეიქმს სიყვარულსაო და მართლაც ამ პარტიას არა თუ მოყვრები, მტრებიც კი სიყვარულს ეფიცებოდნენ.

მაგრამ როცა ეს პარტია ჰერქვეშეთიდან გამოვიდა, როცა მან სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სადავე ხელში ჩაიგდო, როცა ის სრული ხელისუფალი შეიქნა, ის მოკვდა, როგორც პოლიტიკური პარტია.

არა გჯერათ? აბა შეადარეთ ამ პარტიის პროგრამა, და ამ პარტიის ლიდერების ნაწერები, მისი ყრილობების დადგენილებები 1892—1918 წლებამდე და 1918 წლის 26 მაისიდან დღემდე და თქვენ ცხადათ დაინახავთ ამ პარტიის სრულ გარდაქმნას, მის წარმოუდგენელ ევოლიუციას. ეს ევოლიუცია ისე დიდია, ეს გარდაქმნა იმდენად აშკარაა, რომ ადამიანსა და მაიმუნს შუა უფრო მეტი დარჩენილა საერთო და მათი ნათესაური კავშირის დამახასიათებელი, ვიდრე ძველსა და ახალ, 1918 წლის 26 მაისიდან წარმოშობილ ს. ს.-დ. პარტიას შორის. შეადარეთ მეთქი ამ პარტიის ძველი პროგრამა მის ახალ პროგრამას, რომელიც მას სრულიად მისდაუნებურად მიაჩეჩა ხელში ცხოვრების ახალმა პირობებმა და თქვენ ცხადათ დარწმუნდებით ჩვენი სიტყვების სიმართლეში.

წინა წერილში ჩვენ ნ. ჟორდანიას ნაწერებიდან უკვე დავინახეთ, რომ ის დღეს თავ-გამოდებით იცავს იმ იდეას, რასაც 1917 წელს ქართულ თ.-აზნაურობის, ამ წარწყმედილი წოდების, იდეოლოგიათ აღიარებდა და რასაც მაშინ თავგამოდებით ებრძოდა. საქმეა [illegible] გარემოება, რომ ს. ს.-დ. პარტია თავისი დაბადების პირველ დღიდან, საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკად გამოცხადებამდე, იბრძოდა ილია ჭავჭავაძისა და მისი სკოლის წინააღმდეგ, ებრძოდა ყველაფერს, რასაც კი ქართული ნაციონალური ნიშანწყალი ჰქონდა. მაგრამ 1918 წლის 26 მაისის შემდეგ, სწორედ მის შემდეგ, როცა ამ პარტიამ ხელთ იგდო სახელმწიფოებრივი ძალაუფლება, როცა ის დევნილ, ქრქვეშ მომუშავე პარტიიდან სახელმწიფოებრივ პარტიათ გადაიქცა, თვითონ იძულებული შეიქნა თავისი საკუთარი ნაციონალური სახელმწიფო ეშენებია, იძულებული შეიქნა ექადაგებია და ევრცელებია ის იდეალები, რომლის წინააღმდეგიც ის გუშინ თავგადებით იბრძოდა. გ. ზურაბ ავალიშვილის მოსწრებულ სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ, მესამე დასელებმა და შემდეგ ს.-დემოკრატებმა მართლაც „დავაბანგეთ ქართველი ხალხი“, მართლაც მივუჩლუნგეთ მას ნაციონალური გრძნობა. ირაკლი წერეთელი პირველი ან უკანასკნელი როდი იყო, როცა უარსაყოფდა ქართველ ხალხში ყოველგვარ ნაციონალურ გრძნობას.. და ნახეთ ისტორიის ტრაღედია!—ეს პარტია 1918 წლის 26 მაისიდან იძულებული შეიქნა უარი ეთქვა ყოველივე იმაზე, რასაც მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში სწერდა, ლაპარაკობდა, ქადაგებდა; ის იძულებული შეიქნა შეექმნა ეროვნული სახელმწიფო, ხორცი შეესხა იმ იდეალისთვის, რასაც ილ. ჭავჭავაძე თავისი საყვარელ მოხევის პირით ასეთ ფორმულაში აყალიბებდა: „**ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნიხო**“.

რა მოხდა! ნუ თუ ს. ს.-დ. პარტია ასეთი დაუდეგარი ხასიათის ხალხისაგან შესდგებოდა, რომ მან ერთი თვალის დახამხამებაში დასწვა ის, რასაც ამდენი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა, უარყო იგი, რასაც მთელი ათეული წლების სიცოცხლის ფასით ემსახურებოდა? არა, ს. ს.-დ. პარტიას ასეთ ცილს ვერავინ დასწამებს. არა, ყოველი ეს მოხდა ისე, ამ პარტიის ბუნებრივად, სრულიად ბუნებრივად, სწორედ ისე, როგორც წყალი თავისდა უნებურად მიექანება დაღმართისაკენ, როგორც გასროლილი ბურთი მიგორავს წინ მანამ, სანამ მას არ გამოელევა ის ინერციის ძალა, რომელმაც იგი აამოძრავა. თუ ჩვენ მარქსისტები ვართ, ესეც უნდა ვიცოდეთ. ჩვენ ხომ მარქსიზმის ანბანთან ერთად შევისწავლეთ, რომ **ყოველივე მოვლენა, იმავე ძალების მოქმედებით, რომელიც იწვევს მას, ადრე თუ გვიან, მაგრამ აუცილებლად გადაიქცევა თავის სრულ წინააღმდეგობად**. („Всякое явление, действием тех самых сил, которые обусловливают его существование, рано или поздно, но неизбежно превращается в свою собственную противоположность“.)

ასეთია ისტორიის კანონი, რომელიც სავალდებულოა ყველა მარქსისტისათვის. და ჩემი მოწინააღმდეგეები ჯერ კიდევ მარქსისტებად მიმაჩნია.

XXIX.

პოლიტიკური პარტიის დაშლის შესახებ ლაპარაკის დროს არ უნდა გვავიწყდებოდეს ერთი დიდი გარემოება; ეს არის მორალური მომენტი.

პოლიტიკური პარტია თავისი მოქმედების პირველ პერიოდში რელიგიოზურ სექტას წარმოადგენს და ყოველ სექტას,—მაკოლეის ავტორიტეტული სიტყვებით რომ ვსთქვათ (ინგლისის ისტორია, ტ. 6, გვ. 163) —ერთი საზოგადო თვისება აქვს: **რელიგიოზური სექტა დიდი და მაღალი ზნეობის შარავანდედით არის მოცული მაშინ, როცა დევნასა და ტანჯვა-წვალებას განიცდის, და კარგავს ამ შარავანდედს მაშინ, როცა ხელში ძალა-უფლებას იგდებს და, მაშასადამე, დევნისა და ტანჯვის არ ეშინია.**

პოლიტიკური პარტიის მრავალრიცხოვნობა კიდევ არ წარმოადგენს ამ პარტიის დიდებასა და ძლიერებას, მის უკვდავებისა თუ სიცოცხლის ხანგრძლივობის დამამტკიცებელ გარემოებას. ეს გარემოება, პირიქით, ხშირად საფრთხეშიაც აყენებს პოლიტიკურ პარტიას. საქმე იმაშია, რომ ძნელი წარმოსადგენია ისეთი ჭკუათმყოფელი ადამიანი, რომელიც მოისურვებდეს პოლიტიკური პარტიის წევრობას, როცა ეს პარტია დევნილია; თუ არა რწმენით გატაცებული ადამიანი, სხვა ვინ მოისურვებს შევიდეს წევრად პარტიაში, როცა ამ პარტიის წევრებს იჭერენ და ციხეში ამწყვდევენ, როგორც ბოროტმოქმედებს, როცა მათ კატორღას და სახრჩობელაზე აგზავნიან?

სამაგიეროდ, პარტია ძლიერია, როცა მოწინააღმდეგის არ ეშინია, როცა ის თვითონ დევნის თავის მტრებს და ციხეში ამწყვდევს, მაშინ ყველა კარიერისტები, ყველა ისინი, ვისაც თავისი პირადი საქმეების [illegible] სურთ, ისწრაფვიან პარტიაში წევრად ჩაეწერონ. ეს ასეთი წევრები წარმოადგენენ იმ ფერმენტს, რომელიც შლის, რომელიც სიწმინდისა და იდეურობის შარავანდედს აშორებს და თანდათან ჰკლავს მას. ასეთი წევრები სიტყვით მტკიცეთ იცავენ ამ პარტიის სახელს, მისი ენით ლაპარაკობენ, ყოველ გზაჯვარედინზე გაიძახიან მის ლოზუნგებს; ისინი, რაც შეიძლება უფრო ხმამაღლა ყვირიან ამ პარტიის ერთგულებაზე. ასეთი წევრები თავისი „პარტიულობით“ ხშირად კიდეც აჭარბებენ პარტიის ძველსა და მართლაც დამსახურებულ წევრებს, იმათ, რომლებსაც თავისი დიდი შრომითა და ღვაწლით, დიდის თავგამოდებით შექმნეს პარტია, მოუპოვეს მას სახელი და დიდება..

ამ შემთხვევაში ვერავითარი შერჩევა, ვერავითარი კონტროლი პარტიის აპარატების მხრით, ვერ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ პარტია დაზღვეული იქნება ასეთი კარიერისტების წევრობიდან.

ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ კანონთან ერთად ამ გარემოებამ დაღუპა არა ერთი და ორი რელიგიოზური სექტა და პოლიტიკური პარტია. ამ გარემოებამ დაღუპა ს. ს.-დ. პარტიაც.

ამ მიზეზებიდან დაზღვეული ვერ იქნება ვერც მთელ ქვეყანაზე უდიდესი და უძლიერესი კომუნისტების პარტია. ეტყობა ამას თვითონაც კარგადა გრძნობს იგი და კიდეც იმიტომ არის, რომ დღეს იგი ერთობ სასტიკად, ერთობ [illegible]ბლად სდევნის თავის საკუთარ წევრებს, როცა ისინი თავისი უგვანო მოქმედებით პარტიის სახელს გაუტეხენ და ჩირქს მოსცხებენ.

კიდევ უფრო სასტიკია კომუნისტური პარტიის წესდება, რომლის ძალითაც პარტიის წევრობა ყველა მსურველს არ შეუძლია.

წესდების ძალით ჯერ, სანამ პარტიის წევრი გახდებოდეთ, უნდა გაიაროთ პარტიის კანდიდატობის სტაჟი და პარტიული ცოდნის სკოლა... სრული ჭეშმარიტებაა, რომ მხოლოდ პოლიტიკურად განვითარებულ ადამიანს შეუძლია იყოს პარტიის შეგნებული და აქტიური წევრი. ამ მხრით სრულიად მიზანშეწონილია მუშებისათვის ერთი და გლეხებისათვის ორი წლის საკანდიდატო სტაჟი. მაგრამ მარტო პოლიტიკური მომზადება კიდევ არ არის საკმაო გარანტია. შეიძლება ადამიანი ყველაზე უფრო მომზადებული და განვითარებული იყოს, შეიძლება მას ყველა სხვაზე კარგად ჰქონდეს გათვალისწინებული პარტიის მიზნები, მაგრამ იმავე დროს კიდევ უფრო კარგად ჰქონდეს გათვალისწინებული თავისი პირადი მიზნები, საკუთარი ინტერესები. ამის მაგალითებს ჩვენ ხშირად ვკითხულობთ თვით პარტიულ პრესაში...

ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო დიდი გარანტია ის არის, რომ ისეთი შედარებით დიდი დრო, როგორიც ერთი და ორი წლის კანდიდატობის სტაჟია, სრულიად საკმაოა იმისათვის, რომ მახლობელმა პარტიულმა ორგანიზაციებმა თვალყური ადევნონ თავის პარტიის კანდიდატებს, შეასწავლონ მათი ბუნება, აწონ-დაწონონ და დააფასონ ისინი.

თუ პარტიის კანდიდატი ასეთ გამოცდას დაიჭერს, თუ ის ასეთ, შედარებით დიდი დროს განმავლობაში, პირნათლად და გულწრფელად ემსახურება პარტიის მიზნებს, რა თქმა უნდა, ის მომავალშიც საიმედო იქნება პარტიისათვის. ეს მიზანშეწონილი ხერხი, რა თქმა უნდა, ვერ იხსნის პარტიას მასში საეჭვო პირების შესვლისაგან, მაგრამ ეს ხერხი წარმო-

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 124.

ს. ს. ს. რ. სახ. კომისარ. საბჭ.

სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების 5 წლის თავზე

სიხარულისა და გლოვის დღე

(სამხრეთ-ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების ხუთი წლის თავის გამო)

1914—1916 წ. წ. იმპერიალისტური ომის ზარბაზნების გრიალმა და 1917 წლის პროლეტარული რევოლუციის გუგუნმა გამოაღვიძა სალათის ძილისაგან სამხრეთ-ოსეთის მშრომელი ხალხი, რომელიც გმინავდა მეფის ჯალათების და ქართველ მემამულეების უღელს ქვეშ.

პატარა სამხრეთ-ოსეთმა გამოიღვიძა და მიიხედ-მოიხედა თავის გარშემო. მის წინაშე გადაიშალა არაჩვეულებრივი სურათი: რევოლიუციონური, სამოქალაქო კლასობრივი ბრძოლის ქარცეცხლში ბარიკადების ერთ მხარეზე იბრძოდენ მუშები და გლეხები, ხოლო მეორეზე—ბურჟუები, კულაკები, თავადები, მემამულეები და მათი დამქაშები.

მენშევიკები უკანასკნელებთან იყვნენ. საქართველოში მათ ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება.

მენშევიკებმა, რომელთაც სურდათ დიდი იმპერიალისტური საქართველოს შექმნა, გადასწყვიტეს გაექვიფათ მასში პატარა ერები და აღმოეფხვრათ მათი მისწრაფება თვითგამორკვევისაკენ.

ამაზე სამხრეთ-ოსეთის გლეხობამ დემონსტრატიულად უპასუხა მენშევიკების პოლიტიკის გაკიცხვით და საბჭოთა ხელისუფლების ორიენტაციის მიღებით.

გესლით და შხამით ასისინდენ სოციალ-შოვინისტები. ისინი ავრცელებდენ საქართველოს გლეხებს შორის სხვა და სხვა ჭორებს და საზიზღარ ცილისწამებას ოსების „მხეცობის“ და სხვ. შესახებ.

ნოე ჟორდანიას მთავრობა შეეცადა ამ გზით საგრძნობლად შეერყია, დაერღვია საქართველოს და სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა საუკუნოებრივი კლასობრივი სოლიდარობა და მან დასთესა მათში შოვინიზმის—ეროვნული განხეთქილების და სიძულვილის შხამი.

მაგრამ ამითაც არ დაკმაყოფილდა ის. მენშევიკური მთავრობის საბოლოო მიზანს წარმოადგენდა „მოუსვენარ“, საძულველ ოსების მოსპობა, ფიზიკური განადგურება.

საქართველოს ფარგლებში სიმშილით მომაკვდავ სამხრეთ-ოსეთის ღატაკ გლეხობას პურსაც არ უთმობდენ, რა ფასიც არ უნდა გადაეხადათ. ბოიკოტი დამშეულ ოსეთის მიმართ მოწყობილი იყო მენშევიკური მთავრობის მიერ. სასტიკად სჯიდენ საქართველოს სოფლების გლეხებს, თუ ისინი პურს მიჰყიდდენ ოსებს.

და ამავე დროს სამხრეთ-ოსეთში მენშევიკები გზავნიდენ დამსჯელ რაზმებს. საშინელი სიმხეცე, სისასტიკე და ბარბაროსული ძალადობა დამშეულ და გაღატაკებულ მშვიდობიან მცხოვრებლების მიმართ, საშინელ სასოწარკვეთილებაში და გამოუსვლელ მდგომარეობაში აგდებს სამხრეთ-ოსეთის მშრომელ ხალხს რომელიც იძულებული ხდება იარაღს მოჰკიდოს ხელი.

1920 წლის შემოდგომაზე მოხდა უკანასკნელი, რიგით მეოთხე, გაფთრებული შეტაკება, აჯანყებულთა მოძრაობის ხელმძღვანელობა იკისრა კომპარტიის სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციამ.

ოსეთში შემოსული მენშევიკური ძალები—ქართლის ბათალიონები და სახალხო გვარდიის ნაწილები სასტიკად დამარცხებულ იქნენ აჯანყებულების მიერ ჯავასა და ცხინვალთან: 400-დე ტყვე გადაგზავნილ იქნა საბჭოთა თერგისაკენ, ხოლო მენშევიკების რაზმების დანარჩენმა ნაწილმა თავს უშველა გაქცევით.

ცხინვალის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს გადასაცემად გამზადებული დეპეშა 7 ივნისის თარიღით № 126, რომელსაც უგზავნიდა დამარცხებულ ნაწილების უფროსი ჩხეიძე მთავარ შტაბს და საქართველოს ჯარების მთავარსარდალს. დეპეშაში ის თხოულობდა ოსეთის სოფლების გადაწვის ნებართვას.

1920 წელს 8 ივნისს ცხინვალში დიდძალი გლეხობის თანადასწრებით გამოცხადებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლება მთელს სამხრეთ-ოსეთში. ამის შესახებ ეცნობა მთელს მოსახლეობას აჯანყებულთა რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს ბრძანებით. მოვიყვანთ ბრძანებას სიტყვა-სიტყვით:

ბრძანება.

1920 წ. 8 ივნისი ქ. ცხინვალი.

აჯანყებული გლეხების მიერ სამხრეთ-ოსეთიდან განდევნილი არიან საქართველოს მენშევიკური ჯარები და ცხადდება საბჭოთა ხელისუფლება მთელს ტერიტორიაზე ონიდან დუშეთამდე.

ყველა ხელისუფლება აღნიშნულ ტერიტორიაზე ემორჩილება სამხრეთ-ოსეთის რევკომს, რომელიც იმყოფება ცხინვალში.

ეცნობოს რ. ს. ფ. ს. რ-ის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს, რომ სამხრეთ-ოსეთს სურს საბჭოთა რუსეთთან შეერთება.

პოლიტკომი: **ნ. მადიევი.**

სამხრეთ-ოსეთის რევკომის თავმჯდომარე: **ჯ. აბაევი.**

სამხრეთ-ოსეთზე ფრიალებდა საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა.

მაგრამ გამარჯვების დღესასწაული დიდ ხანს აღარ დაგვცალდა. ზეიმის დღეები მალე შესცვალა მგლოვიარების დღეებმა.

მენშევიკების მთავარმა ძალებმა, რომლებიც მოხსნილ იქნენ აზერბეიჯანის ფრონტებიდან, დიდი რაოდენობით, არტილერიის და ჰაეროპლანების შემწეობით დაიწყეს შეტევა აჯანყებულთა წინააღმდეგ აჯანყებულებს იმ დროს ჰქონდათ 1200 ვინტოვკა და 8 ტყვიისმფრქვეველი. ტყვიაც ძალიან მცირე რაოდენობით იყო: თითო თოფზე—50—60 ცალი.

მეზობელ ქართულ სოფლების გლეხებმა, რომელთაგან ნაწილი მენშევიკების აგიტაციის წყალობით განწყობილი იყო საბჭოთა ხელისუფლების და „ველურ“ ოსების წინააღმდეგ, ნაწილიც დაყენებული იყო ტერორის ქვეშ არ დაუჭირეს მხარი ამ შემთხვევაში აჯანყებულებს.

ძალების რიცხვობრივ სიჭარბეს (1:25) მენშევიკებმა ზედ დაურთეს ოსეთის ღატაკი ხალხის განადგურების ბარბაროსული პრინციპი. ცეცხლის წამკიდებელთა სპეციალურმა რაზმებმა ცეცხლს მისცეს ოსეთის სოფლები.

აჯანყებულთა ფრონტი დაირღვა. მშვიდობიანი მცხოვრებლები—მოხუცები, ქალები და ბავშვები გაიქცენ ჩრდილოეთისაკენ, თერგის საბჭოთა ოლქში, რათა თავი გადაერჩინათ გამხეცებულ ვანდალებისაგან

მენშევიკების სისხლისმღვრელ ოპერაციების შედეგი ასეთი იყო: თითქმის მთელი სამხრეთ-ოსეთი გადაქცეული იყო ნანგრევებად და ნაცარტუტად. მენშევიკების მადა-აშლილი მძებრები ნადირობდენ ტყეებში დარჩენილ მოხუცებზე, ბავშვებზე და ქალებზე, დასცინოდენ მათ, საშინლად აწამებდენ; ქონება და პირუტყვები გაიტაცეს, ნათესები გაანადგურეს.

მენშევიკების ასეთმა ოპერაციებმა მშიერ სამხრეთ-ოსეთის გაძარცვულ სხეულზე თვალი აუხილა ბევრს იმათგანს, ვინც აქამდე ქებათა-ქებას ასხამდა ჟორდანიას და მისი კომპანიის „დემოკრატიულ სამოთხეს“.

თბილისში მყოფი ოსი მენშევიკები—მუშები და მოსამსახურეები ხედავდენ მენშევიკების მთელს „სოციალისტურ“ პოლიტიკას ეროვნულ უმცირესობათა მიმართ. მათ შეიგნეს, რომ ჟორდანია სარგებლობდა მათი სამსახურით სამხრეთ-ოსეთის გასანადგურებლად. საშინელებით, მონამორჩილებით და შიშით არის გამსჭვალული მათი „უმორჩილესი“ პეტიცია, რომელიც გადაეცა მენშევიკების ცეკას და საქართველოს დამფუძნებელ კრებას.

აი რა სწერია ამ პეტიციაში:

„რაც მოხდა სინამდვილეში, ძალიან გადააჭარბა ჩვენს სამწუხარო მოლოდინს. მთელი სამხრეთ-ოსეთის ხალხი განადგურებულ იქნა. ჩვენი სოციალისტური სინიდისი, ჩვენი მოვალეობა ორივე ხალხის მშრომელთა წინაშე, სიწმინდე ჩვენი საერთო პარტიული დროშის, რომლის სიდიადისათვის ჩვენ თქვენთან ერთად ვითმენდით ყოველგვარ შევიწროებას უუფლებობის და თვითნებობის შავბნელ ეპოქაში, გვავალებს ჩვენ გითხრათ თქვენ სიმართლე სინდისიერად და აშკარად იმ საშინელებათა შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდა სამხრეთ-ოსეთში, იმ გულშემზარავ და სულის ამაფორიაქებელ წამებათა შესახებ, რომელიც დაუსჯელად ხდებოდა რესპუბლიკანური მთავრობის პასუხისმგებელ ამხანაგების თვალწინ“.

მენშევიკურ ბანდების თარეშის შავი დღეები სამხრეთ-ოსეთში გრძელდებოდა 1921 წლის 25 თებერვლამდე, როცა ჟორდანია და მისი ამალები გაძევებულ იქნენ კავკასიიდან და საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

ეს 8—9 თვე სამხრეთ-ოსეთის ღატაკი ხალხისათვის უდრიდა საშინელებათა, მძიმე განცდების და შევიწროების მთელს საუკუნეს.

1925 წ. 8 ივნისს, სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა ავტონომიურ ოლქის გლეხობა დღესასწაულობს იქ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების 5 წლის თავს.

საბჭოთა ოსეთი იგონებს გადატანილ ჭრილობებს და გაღებულ მსხვერპლს, ითვალისწინებს წარსულის გაკვეთილებს.

ამავე დროს საბჭოთა სამხრეთ-ოსეთს არ შეუძლია დღესვე ჯამი არ გაუკეთოს იმას, თუ რა მისცა მას საბჭოთა ხელისუფლებამ, მხარე თითქმის წელში გასწორდა ძმური სოლიდარობა ქართველ მუშებთან და გლეხებთან აღდგენილია 100 პროცენტით. აღმშენებლობითი მუშაობა სდუღს.

სამხრეთ-ოსეთის გლეხობამ თავისი სისხლით დაუკავშირა თავისი ბედი საბჭოთა ხელისუფლებას; ის აღტაცებით იძახის ყველას გასაგონად: გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას მსოფლიო ბურჟუაზიისა და მათი ლაქიების—მენშევიკებისათვის თავზარის დასაცემად.

ვლ. ხანაკოევი.

მისალმებები სამხრეთ-ოსეთის ცაკს

ამიერ-კავკასიის ცაკისაგან

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის სახელით ვუძღვნით მხურვალე სალამს სამხრეთ-ოსეთის მუშებს და გლეხებს, რომლებიც დღესასწაულობენ მენშევიზმის უღლისაგან განთავისუფლების ხუთი წლის თავს. თავისი არსებობის მე-6-ე წელში შესვლისას, საბჭოთა სამხრეთ-ოსეთმა თვალი უნდა გადაავლოს მის მიერ განვლილ გზას თავისი დანგრეული მეურნეობის აღდგენის დარგში და ახალი ენერგიით განაგრძოს ქვეყნის აღორძინების საქმე. ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა მასები სულით და გულით უსურვებენ პატარა თავისუფალ სამხრეთ-ოსეთს განმტკიცებას და აყვავებას საბჭოთა ფედერაციის ჭერქვეშ.

გაუმარჯოს ავტონომიურ სამხრეთ-ოსეთს! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმობას!

ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე ს. ხანდიანი.

ა.-კ. ცაკის მდივანი: ა. შავერდოვი.

საქ. სახალხო კომისართა საბჭოსაგან

საქართველოს მშრომელთა სახელით მხურვალედ გილოცავთ სამხრეთ-ოსეთის გასაბჭოების ხუთი წლის თავს და გიძღვნით გულითად ამხანაგურ სალამს.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ: **ჯუღელი.**

ადგენს ისეთ ფაქტს, ისეთ ფილტრას, რომელშიაც ვერას გზით ვერ გაძვრება ასე თუ ისე თვალსაჩინო კარიერისტი მაინც.

XXX

ჩვენდა საუბედუროდ, სულ სხვა ტრადიციები იყო გამეფებული ს.-დ. პარტიაში.

იქ სრულიადაც არ არსებობდა კანდიდატობის პრინციპი. იქ საკმაო იყო პარტიის ორი წევრის რეკომენდაცია და თქვენ პარტიის სრულუფლებიანი წევრი იყავით. არავინ არ გეკითხებოდათ ვინ იყავით, ვინა ხართ, საიდან მობრძანებულხართ, რა პოლიტიკური და რევოლიუციონური საქმე მიგიძღვით, რა მიზნით მიდიხართ პარტიაში? წარადგენდით ორი წევრის თავდებობას, გადაიხდიდით ერთ აბაზსა თუ ექვს შაურს თვიურ გადასახადს, ჩაიდებდით ჯიბეში პარტიის ბილეთს და იურიდიულად მაინც ისეთი წევრი იყავით, როგორიც ნოე ჟორდანია. და თუ მოქნილი ზურგის ხერხემალიც გამოგაჩნდებოდათ და ნოე რამიშვილის „კლიკაში“ ჩაეწერებოდი, ის ნოე ჟორდანიაზე კიდევ უფრო აგამაღლებდა.

საკმაო იყო ს.-დ. პარტიაში ვინმე ქურდი და ავაზაკი ჩაწერილიყო (პარტიის ორი წევრის თავდებობის შოვნა ხომ ასეთებსაც არ გაუჭირდებოდათ), რომ მას იმ დღიდან ყოველგვარი ცოდვათა მიტევების მოწმობა მისცემოდა. და თუ ასეთი ავაზაკი თავს ჩვენს სახალხო გვარდიას შეაფარებდა, ის მერე სრულიად დაზღვეული იყო ყოველგვარი პასუხისმგებლობიდან.

სულ რამოდენიმე, შემთხვევით აღებული მაგალითი სრულიად საკმაო იქნება საილიუსტრაციოთ.

ს. დ. ერთი ვიღაც არამზადა წევრი დუშეთის მაზრის კომისრად იყო. ამ საზიზღარმა ადმინისტრატორმა ვიღაც დედაკაცს, რომელიც მასთან საქმეზე მოვიდა და რომელიც მას, ალბათ, მოეწონა, ნამუსი ახადა. საქმე გამომძიებელთან მივიდა და კომისარს დაპატიმრება დაუპირეს. ამ არამზადამ მიატოვა დუშეთი და თავს უშველა; ის თბილისში გამოიქცა და სახალხო გვარდიის შტაბს თავი შეაფარა. იმავე დღეს იუსტიციის მინისტრმა გვარდიის შტაბიდან ბრძანება მიიღო: ეს დუშეთის ყოფილი კომისარი ჩინებული ოფიცერია და გამომძიებელმა მისთვის ხელის შეხება არ გაბედოსო. აბა ამის შემდეგ იუსტიციის მინისტრი და ისიც ბ. რაჟდენიძე რას გახდებოდა და ეს „ჩინებული ოფიცერი“ ბოლომდე „ამშვენებდა“ სახალხო გვარდიას.

აქ ეგრედ წოდებული „პანიკის გენერალი“ ვინმე ჯიჯიხიაც არ უნდა დავივიწყოთ. ამ გენერალს ახალციხის მაზრაში დიდი ბოროტმოქმედება ბრალდებოდა. სხვათაშორის მასზე ამბობდენ, რომ მან ამ მაზრიდან ბევრი ხარები და ძროხები გამორეკა თბილისში და თავის სასარგებლოდ გაყიდაო... ჯიჯიხია სამართალში იქნა მიცემული. მაგრამ ამ საქმეში ჩაერია სახალხო გვარდიის შტაბი: როგორ თუ ჩვენს გენერალს ასეთი ბრალდება გაუბედეთო და გასცა ბრძანება: არ გაბედოთ ასეთი ბრალდება ჯიჯიხიას არ წამოუყენოთო. და სამსაჯულო ამ ბრძანებას აბა როგორ გადაუდგებოდა?.. ჯიჯიხიას მხოლოდ ის ბრალდება წამოუყენეს, რომ მან, როცა ახალციხის ფრონტზე თათრების წინააღმდეგ მომქმედი ჯარის შტაბის უფროსად იყო, მაშინ ჯარს უკან დაახევია და მით საქმე დამარცხებით დაამთავრაო. დაახლოვებით ისეთი იყო ბრალდება. ესე იგი გვარდიის შტაბის ამ საყვარელ გენერალს ასეთი ბრალდება წამოუყენეს, რომლისთვისაც მას არავითარი საფრთხე არ მოელოდა.

მაგრამ უნდა გენახათ თუ როგორ მოაწყვეს ამ გენერლის პროცესი! დამფუძნებელი კრების ს. დ. ფრაქციის იურისტების უმეტესობა, ისეთები, რომლებიც ნოე რამიშვილსა და ვალიკო ჯუღელს ირგვლივ ტრიალებდენ, და მათ შორის ისეთებიც კი, რომლების იურისტობა ცოტა საეჭვოც იყო და მანამდი სამსაჯულოს კარებიც კი არ ენახათ, გამოვიდენ ჯიჯიხიას დამცველებად... და შექმნეს დიდი პროცესი.

და ამ „პანიკის გენერალს“ ციხის მაგიერათ სრული გამართლება და ტრიუმფი არგუნეს წილად.

ვინც ს.-დ. პარტიას თავს შეაფარებდა ის შემდეგ ყოვლად პატიოსანი, ყოვლად კეთილშობილი და უმწიკვლო ხდებოდა, თუნდაც მისი წარსული უდიდესი ბოროტებით ყოფილიყო აღსავსე. თვით უსაზიზღრესი ჯაშუში რაა და ისიც უზრუნველყოფილი იყო, თუ პარტიის რომელიმე ასე თუ ისე გავლენიან წევრთან საქმეს გაიჩარხავდა. საჭიროდ მიმაჩნია ერთი მაგალითი, რომელიც არ შემიძლია აქვე არ მოვიყვანო.

ჩვენს დროს სამხედრო საოლქო სასამართლოში მდივნის თანაშემწეთ თუ სამნეო განყოფილების გამგეთ მსახურობდა ვიღაც ნადირაძე. თბილისის ჟანდარმების სამმართველოს არქივის საქმეებში ნადირაძე ფილიორების სიაში აღმოჩნდა. ამ არამზადას გვარი „ერთობის“ რედაქციას გამოსაცხადებლად გადაეცა. გავიდა ერთი კვირა, ორი, გაზეთში განცხადება არ იბეჭდება. ეკითხებიან რედაქციას—რატომ ფილიორის გვარს არ აცხადებთ და მის წინააღმდეგ ზომებს არ იღებთო. „ნადირაძის ორმა უფროსებმა—სასამართლოს თავმჯდომარემ და კიდევ ვიღაცამ გვთხოვეს—ნუ დაბეჭდავთო და ჩვენ საქმე შევაჩერეთ“.—იძლევა პასუხს რედაქციის ერთი წევრი-რომელიც იმავე დროს იუსტიციის მინისტრად ბრძანდებოდა. ეს საქმე მთავრობის თავმჯდომარემდე მივიდა ნ. ჟორდანიამ ჟანდარმების არქივიდან „საქმე“ მოითხოვა და როცა მას გაეცნო, იმავე იუსტიციის მინისტრს ძრძანება მისწერა: „ჯაშუშათ ნამყოფი ნადირაძე სამსახურიდან გადააყენე და მის წინააღმდეგ ზომები მიიღეო“. ამის შემდეგ გაზეთ „ერთობაშიც“ დაიბეჭდა ნადირაძის ფილიორობის შესახებ ცნობა. მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. საქართველოს გასაბჭოებას ნ—ძე თავის ძველ ადგილზე შეხვდა, თუმცა მის საგმირო საქმის გამოცხადებიდან საქართველოს გასაბჭოებამდე თითქმის ერთი წელიწადი გავიდა.

საინტერესოა ვიცოდეთ; სად „მოღვაწეობს“ ეს ვაჟბატონი საბჭოთა ხელისუფლების დროს.

გულ-ახდილად უნდა ვსთქვათ, უნდა ვუთხრათ იმ ახალ თაობას, ჩვენი ქვეყნის იმ ყლორტებს, რომლებიც, ბ. ოთარის პოეტური შედარება რომ ვიხმაროთ,—ს.-დ. პარტიის ტყის გაჩეხის შემდეგ ამოდის (და ახლა ალბათ ამოსული და გაზრდილიც იქნება!), რომ საქართველოს ს.-დ. პარტია, მის შემდეგ, რაც ის სახელმწიფოებრივ პარტიად გადაიქცა, სრულიად არაფერ მნიშვნელობას არ აძლევდა თავის საკუთარ პარტიულ ოჯახში ზნეობრივ მხარეს. მას ერთხელაც არ მოუსურვებია პარტიის გაწმენდა მრავალი საზიზღარი ელემენტებისაგან. სრულიად პირიქით, ის მთელი თავისი ძალღონით სდევნიდა მხოლოდ პარტიის ისეთ წევრებს, რომლებიც ნოე რამიშვილის ყოვლად უვარგისი პოლიტიკის წინააღმდეგ კრიტიკის დაძვრას გაბედავდენ. საკმაოა მოვიგონოთ ეგრედ წოდებული „სხიველების“ ისტორია, რაზეც ჩვენ, ალბათ, ოდესმე მოგვიხდება ლაპარაკი. ეხლა მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ნოე რამიშვილმა მილიცია და საგანგებო რაზმის აგენტები მიუსია და ხელით შეურაცხყოფა მიაყენებია დამფუძნებელი კრების ს.-დ. ფრაქციისა და „სხიველების“ ჯგუფის ერთ თვალსაჩინო წევრს, რომელსაც მხოლოდ ის დანაშაული მიუძღოდა პარტიისა და ქვეყნის წინაშე, რომ ნოე რამიშვილი პოლიტიკას იწუნებდა და ხშირად აძლევდა ნებას თავის „მწარე ენას“.

ასე და ამ გვარად, იმ მიზეზებით რომლებიც ჩვენ ამ წერილის დასაწყისშივე დავასახელეთ, ჩემთვის აშკარაა, რომ პოლიტიკური პარტია, როცა იგი ხელისუფალი ხდება, ის თვითონ ითქვიფება თავის მიერ შექნილ ახალ საზოგადოებრივ ფორმაში, იღებს სრულიად ახალ სახეს, თანდათან იშლება და ისპობა, როგორც პარტია.

მაგრამ ს. ს.-დ. პარტია ამ საზოგადო მიზეზების გარდაც დიდ ხანს ვერ იარსებებდა, რადგანაც, როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან ვხედავთ, არაფერ ანგარიშს არ უწევდა თავისი პარტიული ოჯახის სიწმინდეს.

და ჩემი მეგობარი გადამეტებაში ნუ ჩამომართმევს თუ ვიტყვი, რომ ს. ს.-დ. პარტიას რომ თავზე კომუნისტების ქარ-ცეცხლი არ დასტეხოდა, იგი უმისოდაც მალე განუტევებდა სულს და მაშინ კიდევ მეტი სკანდალი დაგვემართებოდა.

(დასასრული იქნება)

ჟარიბი.

ეკონომიური ცხოვრება

საგარეო ვაჭრობა

აბრეშუმის პარკის დამზადება საექსპორტოდ

ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის გამგეობამ განიხილა საკითხი ამიერ კავკასიაში და სპარსეთში საექსპორტო აბრეშუმის პარკის დამზადების შესახებ და დაადგინა: სპარსეთში აბრეშუმის პარკის დამზადება მიანდოს ამხანაგობა „პერსშოლკ“-ს, ხოლო ამიერ-კავკასიაში კი აწარმოოს პარკის დამზადება თავის ორგანიზაციების საშუალებით. აბრეშუმის დასამზადებელი პროგრამა მიმდინარე სამეურნეო წელს შეიცავს 10 ათას ფუთს ხმელ პარკს.

ორგანიზაციებთან შეთანხმებით მათი საშუალებით აბრეშუმის დამზადება იწარმოებს ამ პროგრამის გარეშე. ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის საექსპორტო განყოფილება ამუშავებს აბრეშუმის პარკის დამზადების ტექნიკურ შესრულების დეტალურ გეგმას.

საიმპორტო-საექსპორტო გეგმა 1925—25 წლისათვის

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სამმართველო ამ. კავკასიაში შეუდგა საიმპორტო-საექსპორტო გეგმის გამომუშავებას 1925-26 სამეურნეო წლისათვის. გეგმის შესადგენად სათანადო დარიგება-ინსტრუქციები უკვე დაეგზავნათ ა-კავკასიის რესპუბლიკებს. ჯერ-ჯერობით საექსპორტო-საიმპორტო გეგმები მიღებულია აფხაზეთიდან და აჭარისტანიდან.

ა.-კ. ქსოვილები მილანის გამოფენაზე

ბამბეული-ქსელის ნაწარმოების ნიმუშთა მილანის საგამოფენო კომიტეტმა სთხოვა საგარეო ვაჭრობის კომისარიატის სამმართველოს გაუგზავნოს საგამოფენო კომიტეტს გამოსაფენად ამიერ-კავკასიის ბამბასელის ნაწარმოები და ნარევი ქსოვილების ნიმუშები. საგარეო ვაჭრობის სახკომის რწმუნებულმა სათანადო საჭირო ორგანოებს მოსთხოვა გასაგზავნი ნიმუშები.

საბჭოთა წარმოების საქონლის ნიმუშების გამოფენა სპარსეთში და ანატოლიაში

სპარსელ და ოსმალო ვაჭრობისათვის საბჭოთა ნაწარმოები საქონლის უფასოდ გასაცნობად და აგრეთვე ამ საქონლის თავის სპარსეთის და ოსმალეთის ბაზარზე გზის გასაკაფავად ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა სპარსეთსა და ანატოლიაში (თავრიზში, რეშტში, ანგორაში და სხვ.) თავის კანტორებთან ხსნის საბჭოთა ნაწარმოების პროდუქციის ნიმუშთა მუდმივ გამოფენას.

სავაჭრო ოპერაციების გასაფართოებლად

ბაქოს ბაზრობაზე სპარსელ ვაჭრების კოლექტიური თხოვნის თანახმად ეწყობა სპარსეთ-საბჭოთა ვაჭრობის ხელის შემწყობი ბიურო ბაზარზე.

ახალი ქარხნების მოწყობა

გრეხილი ავეჯის ქარხანა მარელისში

ამჟამად სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა მარელისში გრეხილ ავეჯის დიდი ქარხნის დასამთავრებლად.

მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა თავის ძალღონეების და ნაყოფიერების მიხედვით იქნება პირველი ქარხანა მთელს საბჭოთა კავშირში. ქარხანა მარელისში შენდება იმიტომ, რომ ლიხის მთის ეს რაიონი უხვად არის დაჯილდოვებული წიფლის ტყეებით, რომელსაც უკანასკნელ დრომდე დაუნდობლად სჩეხდენ და სათბობ მასალად იყენებდენ. გეგმით, რომლის მიხედვითაც ქარხნის აგება სწარმოებს, ქარხანამ დღიურად უნდა დაამზადოს 400 ცალი ავეჯი საქართველოს, ამიერ-კავკასიის და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების ბაზრების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ტექნიკური მოწყობილობა მარელისის ქარხნისათვის შეძენილია გერმანიაში. უკვე დადებულია ხელშეკრულება ვენის ერთ-ერთ ცნობილი ქარხნის დირექტორთან — გამოცდილ სპეციალისტთან, რომელიც დადებული ხელშეკრულების ძალით კისრულობს ქარხნის წარმოების ხელმძღვანელობას. მას თან მოჰყვება ექვსი გაწვრთნილი მანტიორი.

ქარხანას დასჭირდება რამოდენიმე 100 მუშა ხელოსანი. უკვე მიღებულია სათანადო ღონისძიება ადგილობრივი გლეხობიდან ხელოსანთა ძირითადი კადრის წინასწარ მოსამზადებლად. ამ მიზნით საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ თავის ხარჯზე თბილისში გრეხილი ავეჯეულობის ქარხანაში ჩამოჰყავს რამოდენიმე ათეული ახალგაზრდა გლეხი. ხე-ტყის ის ნაწილი, რომელიც გრეხილ ავეჯის დასამზადებლად არ გამოდგება, მოხმარდება პარკეტის დამზადებას. ქარხანას ექნება საპარკეტო განყოფილება, სადაც ყოველდღიურად გაკეთდება 40 კუბ. საჟ. პარკეტი. მარელისის ქარხანაში დამზადებული ავეჯის ფასი იქნება ბევრად ნაკლები, ვიდრე ახლა არის.

სააღმშენებლო მასალის ქარხნები

სააღმშენებლო ტრესტს თავის სამუშაო გეგმაში შეტანილი აქვს აგება კირის ახალი ქარხნისა, რომელიც აღჭურვილი იქნება გაზის გენერატორული ღუმელით და კირის ამომღები ავტომატიური იარაღით. კირის ქვის საუკეთესო მადნები მოიპოვებიან ქუთაისში—ოსეთის სამხედრო გზის პირად—ქუთაისიდან ნახევარი ვერსის დაშორებით. ქარხნის აგება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ქუთაისში ამჟამად არსებული კირის ქარხანა, რომლის წლიური წარმოება 30 ათას ფუთ კირს არ აღემატება, ძალიან დაშორებულია კირის ქვის კლდეებს ერთი მხრივ და მეორე მხრივ სრულიად მოუწყობელია, ასე რომ იგი ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას 1925—26 წლისათვისაც კი. ახალი ქარხანა, რომელიც თვით კირის ქვის კლდეებთან იქნება აგებული, წლიურად დაამზადებს ნახევარ მილიონ ფუთზე მეტს კირს და კირის ფასს 40 პროცენტით მაინც გააიაფებს. ქარხანასთან აგებული იქნება საცხოვრებელი სახლი მუშებისათვის.

იმავე ტრესტის გეგმაში შედის ორი მექანიკური ქარხნის აგება სააღმშენებლო აგურის საწარმოებლად. თვითეული ქარხანა დღე-ღამეში დაამზადებს 50 ათას აგურს. ერთი ქარხანა აგებული იქნება ვაკეზე, მეორე კი ღრმა ღელეში. ამ წლის ნახევრის განმავლობაში აგურის წარმოების მექანიზაცია გამოწვეულია შემდეგი მოსაზრებით. საქართველოში არსებული სამშენებლო მასალის 22 ქარხნიდან, რომელნიც წლიურად ამზადებდენ 25 მილიონ აგურს, საქართველოს გასაბჭოებამდე დაუნგრეველი დარჩა მხოლოდ 7.

მშენებლობა საქართველოში თანდათან ვითარდება, ხოლო არსებული ქარხნები ვერ აკმაყოფილებენ საჭიროებას. ცხადია 2—3 წლის შემდეგ მოთხოვნილება გადააჭარბებს მშვიდობიანი დროის დონეს. მექანიზაციის საშუალებით წლიურად დამზადდება 30 მილიონზე მეტი აგური, რომელიც დაჰფარავს მოთხოვნილებას, ქარხნებთან გეგმის მიხედვით აგებული იქნება 2 საბინაო სახლი თვითეული 30 ოთახით.

შინამრეწველობის განვითარებისათვის

რის გაკეთებას აპირებს „წარმოკავშირი“

წარმოკავშირში ჩვენს თანამშრომელს შინამრეწველობის კოოპერაციის და სასარეწაო კოოპერაციის მოსალოდნელი განვითარების შესახებ აცნობეს შემდეგი:

— აქამდი სასარეწაო კოოპერაცია საქართველოში თითქმის არ ყოფილა. აქამდი ამ საქმეს არავინ არ ჰკიდებდა ხელს. მთავარი მიზეზი ამისა უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ს. მ. უ. საბჭოსთან არ არსებობდა სათანადო სექცია, რომლის მიზანი იქნებოდა ხელის შეწყობა შინამრეწველობის განვითარებისათვის.

საერთოდ, საქართველოს ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებით, რესპუბლიკაში სულ არის 50.000-დე შინამრეწველი. მთავარი დარგები, რომლებშიაც მუშაობენ შინამრეწველები, არის შემდეგი: მაუდის წარმოება (ადგილობრივი მაუდი), აბრეშუმის და ხალიჩების მოქსოვა, კალათების დაწნა და სხვა

კოოპერატიული მუშაობის მხრივ განზრახულია მიღებული იქნეს მთელი რიგი ღონისძიებანი. წარმოკავშირში უკვე დამზადებულია სათანადო მოხსენება რესპუბლიკაში სასარეწაო კოოპერაციის მოწყობის შესახებ. ეს მოხსენება წარდგენილი იქნება საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში.

ამ ჟამათ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემაში არის სასარეწაო კოოპერაციის მხოლოდ სამი ორგანიზაცია, რომლებიც იმყოფებიან თბილისში. საერთოდ თბილისში ბევრია შინამრეწველი-ხელოსნები. სასარეწაო კოოპერაცია თბილისში მოწყობილი იქნება შემდეგ დარგებში: ტყავის, ლითონის, ჩოთქების და ქართული პურის ცხობის დარგებში. სხვათა შორის, ამ ორგანიზაციების წესდება წარდგენილია დასამტკიცებლათ.

წარმოკავშირის ინსტრუქტორებს ადგილებზე წინადადება მიეცათ გამოარკვიონ, რამდენათ შესაძლებელია სასარეწაო კოოპერატიული ამხანაგობების მოწყობა ადგილებზე. უნდა ვიფიქროთ, რომ შემოდგომისათვის ასეთი ორგანიზაციები მოწყობილი იქნება ადგილებზე მსხვილ დარგებში. აქ მხედველობაში მიღებულია მაუდის წარმოება, ამასთანავე გამოყენებული იქნება დამუშავების გაუმჯობესებული ტექნიკური საშუალებანი, და მეაბრეშუმეობის დარგი. ეს დარგი ეხლაც მაღალ საფეხურზე სდგას. შესაძლებელია ამ დროისათვის შეკავშირებული იქნენ ხალიჩების მქსოვი შინამრეწველებიც. სხვათა შორის, ამ დარგში ყურადღება მიექცევა ხალიჩების გასაღებას და მათ საზღვარგარეთ გატანას.

დანარჩენ წვრილ დარგებში, რომელთაც აქვთ ეკონომიური მნიშვნელობა, დაწყებული იქნება მოსამზადებელი მუშაობა.

ჭიათურის კონცესიის გარშემო

ამხ. ელიავამ, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა მოსკოვიდან, განაცხადა, რომ „ჰარიმანმა“ ხელი მოაწერა და განსახილველად და დასამტკიცებლად გადასცა საქართველოს მთავრობას საკონცესიო ხელშეკრულების პროექტი ჭიათურის მარგანეცის შესახებ.

ხელშეკრულების პროექტი და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება გამოქვეყნებული იქნება ამ დღეებში.

აგრი-კულტურული დახმარება სოფლად

(საუბარი წარმოკავშირის აგრი-კულტურული განყოფილების მმართველ ამხ. გოგოლაძესთან).

წარმოკავშირი დიდ ყურადღებას აქცევს აგრი-კულტურულ დახმარების საქმეს სოფლად: მის მიზანს შეადგენს აგრონომიული უცოდინარობის ლიკვიდაცია ჩვენს გლეხობაში. გამომუშავებულია სპეციალი დებულება, რომლის მიხედვით მოქმედობს—წარმოკავშირის აგრიკულტურული განყოფილება. ამ საქმეს ხელმძღვანელობს: ცენტრიდან განყოფილება და აგრო-თათბირი და ადგილებზე აგრონომები, რომლებთანაც არსებობენ აქტიური გლეხობისაგან შემდგარი აგრო-წრეები — „აგრო-ასისტენტების“ სახით, რომლებიც სეზონის დამდეგს ამუშავებენ როგორც თავის მეურნეობებს, ისე მეზობლებისას.

ადგილ ბზე აგრონომებს აქვთ განსაკუთრებული კალენდრები, სადაც აღინიშნება: რა გაკეთდა ან ვერ გაკეთდა მეურნეობის რომელიმე დარგში. ამის და მიხედვით აგრონომები ეხმარებიან გლეხებს, ასწავლიან, თუ როგორ უნდა მოუარონ ამა თუ იმ მეურნეობას და ურჩევენ, რომელი სამეურნეო იარაღი გამოადგებათ. სეზონის დამიხედვით იქ მიემგზავრება განყოფილების გამგე ნამუშევრის კონტროლის გასაწევათ. აგრო-დახმარების საქმე მეურნეობის თვითეულ დარგზე ცალ-ცალკე სწარმოებს და იგი ასეთ სურათს იძლევა:

მევენახეობა-მეღვინეობის დარგი.

მთავარი ყურადღება ექცევა მევენახეობა-მეღვინეობას, რადგან იგი ამ ბოლო დროს, ძლიერ ზიანდება ფილოქსერისაგან. ამ მიზნით მუკუზანში გახსნილია ლერწის სამყნობი ქარხანა და ნამყენის სათბური, სადაც მზადდება ნამყენები გლეხებს შორის იაფ ფასებში გასანაწილებლად. ამ მიზნით ვაზის სადედისათვის ორი ბარის პირზე გადაბრუნებულია 22 დესიატინა მიწა. წელს ნამყენები რიგდება გლეხებზე განაყოფიერებულის სახით, ასე რომ მისი შემდეგი გაზრდა გლეხისათვის უზრუნველყოფილია სრული 100 პროც. ამავე დროს აქ მოწყობილი იყო ორკვირეული კურსები, რომელიც გაიარა 60 გლეხმა. მუკუზანშივეა გამზადებული 40-42 დესიატინა მიწა, სადაც უნდა მოეწყოს ამერიკული სადედე.

ნაწილი პლანტაჟისა (მიწის გადაბრუნება-გადაბარვა) სწარმოებს გურჯაანშიც. აქ დამუშავებულია ყოფილი შალიკაშვილისეული მამული. საერთოდ, თელავისა და სიღნაღის მაზრებისათვის საჭიროა არა ნაკლებ 2.000.000 ცალი ნამყენისა, რისთვისაც საჭიროა მოეწყოს კიდევ დამატებითი სათბურ სადედეები. წარმოკავშირის საბოლოო მიზანს შეადგენს აღნიშნული ნორმის ნამყენებით გლეხების სრული მომარაგება და სანერგეების ტექნიკურად უკეთესად მოწყობა.

მეხილეობის დარგი

წელს მეხილეობის დარგში მუშაობას სისუსტე ემჩნევა, რაც გამოიხატება იმაში, რომ პირველი წამლობა ყვავილის ჭიის წინააღმდეგ ვერ ჩატარდა, საწამლე იარაღების უქონლობის გამო. მეორე და მესამე წამლობა კი ჩატარებული იქნება თავის დროზე.

წარმოკავშირის მიერ წელს ჩატარებულ იქნა ფართე დემონსტრაცია გასხლულ ხილისა, რამაც ნაყოფი გამოიღო— გლეხობას იგი მოეწონა და შეითვისა კიდეც. ეს საქმე წელს მექანიკურად უნდა წარმოებულიყო, მაგრამ ხელსაწყოების უქონლობის გამო ვერ მოხერხდა.

წარმოკავშირმა, ხეხილის გაუმჯობესების მიზნით ისევე, როგორც მევენახეობის დარგში, მოაწყო სანერგე, რისთვისაც ორი ბარის პირზე გადააბრუნა 5 დესეტინა მიწა და გააშენა სადედე ციხისძირის აგარაკში.

აქ დაითესა 5 ფუთი თესლი უჯიშო ხილისა.

ეს დათესილი ხილი უკვე ამოვიდა და სწარმოებს მისი მწვანეთ გადარგვა ევროპიულ ჯიშების ზედ დასამყნობად. ამგვარად დამზადებულია 80.000 ძირი უჯიშოთა ნერგი. განაყოფიერებული ნერგები დაურიგდებათ გლეხებს ერთი წლის შემდეგ.

მესაქონლეობის დარგი.

შარშან მოეწყო მოკლევადიანი კურსები: ფასანაურში, კობში და ყაზბეგში. წელს განზრახული იყო კურსების მოწყობა კაიშაურის ველზე, მაგრამ ვერ მოხერხდა სხვადასხვა დამაბრკოლებელ მიზეზების გამო. აქაც, ისევე, როგორც სხვა დარგებში, სწარმოებს აგრო-ხელმძღვანელობა: ასწავლიან გლეხებს, თუ როგორ უნდა მოუარონ საქონელს და გამოიმუშაონ სხვადასხვა ნაწარმოები. მით უმეტეს, რომ ხევსურულ ჯიშს ძროხა და თუშური მატყლი საუკეთესოთ ითვლებიან.

მებამბეობა-მეთამბაქოობა

შარშან ამ დარგში აგრონომიული ხელმძღვანელობა არ არსებობდა; წელს დაიწყო. ამ დარგებში დაგროვებული მეცნიერული დებულებანი უზიარდებათ გლეხებს აგრონომების საშუალებით, რითაც ის ღებულობს საკმაო ცოდნას და ეს კი აძლევს მას კარგი ხარისხის ნაწარმოებს. როდესაც ბამბა და თამბაქო მოიწევა, წარმოკავშირი აწარმოებს მის დახარისხებას.

ჩაი-მანდარინის დარგი

ამ დარგში მუშაობა დაიწყო შარშან, მაგრამ ინტენსიური ხელმძღვანელობა არ არსებობდა. წელს კი მდგომარეობა გაუმჯობესებულია და ერთი აგრონომი ემსახურება ორ ამხანაგობას. იგი უწევს ხელმძღვანელობას გლეხებს გასხვლის, პლანტაციების მოვლის და დახარისხების საქმეში.

მეფუტკრეობა

მეფუტკრეობას აქამდის გლეხობა მამა-პაპათა წესით მისდევდა კოდების საშუალებით. ეხლა უკვე წარმოკავშირმა ბანკიდან გამოიტანა ექვსი ათასი მანეთი ჩარჩოიან სკების დასამზადებლად, რომელიც დამზადების შემდეგ დაურიგდებათ გლეხებს.

ა.

ნათესების მდგომარეობა საქართველოში

1 ივნისისათვის

აღმოსავლეთ საქართველო

საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებით, აღმოსავლეთ საქართველოში შემოდგომის პურის ნათესების მდგომარეობა ხასიათდება 3,0 ნიშნით, გაზაფხულის პურის —2,5.

პურეულის მდგომარეობა ცუდია ახალქალაქის მაზრაში, სადაც, საქართველოს ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებით, პურის ნათესების მდგომარეობა ხასიათდება 2,0 ნიშანით — რესპუბლიკანურმა საექსპორტო კომისიამ ცნობები ამ მაზრის შესახებ არ დაამტკიცა, რადგან მას მეტათ მცირეთ სთვლის. სამაზრო საექსპორტო კომისიას წინადადება მიეცა ხელახლა გადასინჯოს ნიშნები.

პურის და ქერის ნათესების მდგომარეობა ყველაზე უკეთესია გორის, დუშეთის და თბილისის მაზრებში; თბილისის მაზრაში, სხვათაშორის, აღნიშნულია გვალვა.

საერთოდ, პურის და ქერის ნათესების მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოში დამაკმაყოფილებლათ უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება სიმინდს, ის ხასიათდება 2,7 ნიშნით, ვენახები—3,0 ცნობები ხეხილის ბაღების მდგომარეობის შესახებ აღმოსავლეთ საქართველოს ოთხ მაზრაში საშუალოთ იძლევიან 2,6, სათიბები ექვს მაზრაში—2,6.

დასავლეთ საქართველო

საქართველოს ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს ცნობებით, მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში ასეთია: შემოდგომის პური—3,2, გაზაფხულის—2, 3, გაზაფხულის ქერი—1,6 (ეს ცნობები შეეხება მხოლოდ ორი მაზრას) სიმინდი—2,6, ვენახები—3,4—სამ მაზრაში.

შემოდგომის პურის მდგომარეობა ყველაზე უკეთესია შორაპნის მაზრაში, სადაც ის უდრის 4,0. ზემო-სვანეთის და ზუგდიდის მაზრიდან ცნობები არ არის მიღებული. ვენახების მდგომარეობა ასეთია: ქუთაისის მაზრაში—3,1, რაჭის—1,9 შორაპნის მაზრაში—4,0. დანარჩენი მაზრებიდან ცნობები არ არის მიღებული.

მიღებულია ცნობები ჩაის კარგი მდგომარეობის შესახებ ოზურგეთის მაზრაში. იმავე მაზრაში კარგია კაკლის ხის პლანტაციები (4,0 ნიშანი).

ა. წ. 8 ივნისისათვის დანიშნული

სხდომა

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმისა

გადადებულია 15 ივნ სისათვის

პრეზიდიუმი.

6. 1288. 1—1

საქართველოს განძეულობის დაბრუნება

მოსკოვიდან დაბრუნდა საქართველოს ცენტროარქივის რწმუნებული შ. რ. ჩხეტია, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს გადასცა დაწვრილებითი ცნობები მის მიერ ჩამოტანილ საქართველოს ისტორიული განძეულობის შესახებ.

რ. ს. ფ. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით ამხ. ჩხეტიამ ჩაიბარა და საქართველოში ჩამოიტანა 90 უძველესი ხელთნაწერი და ისტორიული განძეულობანი, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს წარსული ცხოვრების შესწავლისათვის. ყველა ეს განძეულობანი და ხელთნაწერები მიღებულია რუმიანცევის ყოფილი მუზეუმიდან (ეხლა ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა), რუსეთის ისტორიული მუზეუმიდან და ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან მოსკოვში, და აგრეთვე რუსეთის სამეცნიერო აკადემიის აზიური მუზეუმიდან და რუსეთის სახალხო ბიბლიოთეკიდან ლენინგრადში.

ყველა ამ განძეულობის მიღების დროს ამხ. ჩხეტიას დიდი დახმარება გაუწიეს საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა დაწესებულებებმა. კერძოთ, განსაკუთრებით დიდი დახმარება გაუწია მას რ. ს. ფ. ს. რ. განათლების სახალხო კომისრის მოადგილემ, ამხ. მ. ნ. პოკროვსკიმ.

ყველაზე უფრო ძვირფასი ამხ. ჩხეტიას მიერ ჩამოტანილ ხელთნაწერ წიგნებში—არის „ვეფხის ტყაოსანის“ ხელთნაწერი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი მეცნიერულათ. ეს ხელთნაწერი ეკუთვნის დაახლოვებით 15—17 საუკუნოებს.

ამხ. ჩხეტია გვთხოვს აღვნიშნოთ, რომ თარილების გამორკვევა და აგრეთვე ჩამოტანილი მასალების მეცნიერულათ დამუშავება ჯერ კიდევ მომავალის საქმეა. კერძოთ, ყველა აღნიშნული თარილები შეიძლება მიღებული იქნეს მხოლოდ დაახლოვებით.

ამას გარდა, ჩამოტანილ უძველეს ხელთნაწერებიდან აღსანიშნავია ფსალმუნის ხელთნაწერი ილიუსტრაციებით (მინიატურები).

დიდ ღირებულებას წარმოადგენს მსწავლულ ისტორიკოსის—ბატონიშვილ ვახუშტის ავტოგრაფი (მე-18 საუკუნე). თბილისში ჩამოტანილია ვახუშტის მიერ შედგენილი „საქართველოს ისტორია და გეოგრაფია“ გეოგრაფიული ატლასით.

ამას გარდა, ამხ. ჩხეტიამ ჩამოიტანა ეგრეთ წოდებული ოთხთავი სახარება, რომელიც დაახლოვებით ეკუთვნის მე 9 საუკუნეს.

ძვირფას ნივთებიდან შეიძლება აღნიშნული იქნეს „პალიცა“ წარწერებით, ხის კოვზი და ფირფიტა რეგულიერი მხატვრობით სოფელ აგარადან, რომლებიც დაახლოვებით ეკუთვნის მე-12—13 საკუნეს.

თბილისში ჩამოტანილ ხელთნაწერებიდან მრავალი აკინძულია, არის რვეულებიც პერგამენტის ფურცლებიდან და სხვა... არის ძველი ქართული სამოქალაქო აქტების ხელთნაწერები და ხელთნაწერები-სიგელები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ბიჭვინთის კათოლიკური სიგელი, ალფავიტით ნაწერი პერგამენტზე, რომლის სიგრძე უდრის ერთ საჟენს, ხუცური (მე-16 საუკ.), სიგელი—„წილკანის ეპისკოპოზის განრიგება“; საჩუქრის გაცემის სიგელი, რომელიც დაწერილია 293 წელში (ქორონიკონი—ძველი ქართული ერა), ქვაბთახევის მონასტერის სიგელი პერგამენტზე, რომელიც გაცემულია მე-100 ქორონიკონში.

ამხ. ჩხეტიამ გვაცნობა, რომ მან რუსეთის სამეცნიერო აკადემიაში და სახალხო ბიბლიოთეკაში, რ. ს. ფ. ს. რ. განათლების სახალხო კომისართან შეთანხმებით დასტოვა 4 ხელთნაწერი, რომლებითაც ისარგებლებენ რუსეთის მეცნიერები.

დასასრულ ამხ. ჩხეტიამ აღნიშნა, რომ მოსკოვში ყოფნის დროს მას საუბარი ჰქონდა უკრაინის ცაკის თავმჯდომარესთან და აკადემიკოს ბაგალეისთან, რომლებმაც ყოველმხრივი დახმარება აღუთქვეს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს უძველეს ქართულ განძეულობის მიღებაში, კიევიდან, სადაც არის მრავალი დოკუმენტები, მხატვრულ-ისტორიული საგნები და სხვა, რომლებიც გატანილი იქნა საქართველოდან მეფის მთავრობის მიერ.

განათლების ფრონტზე

თბილისის ტეხნიკუმების ეროვნული და სოციალური შემადგენლობა

(თბილისის სტატ. განყ.-ფილების ცნობებით)

ქალაქის აღმასკომის სტატისტიკური ცნობებით ამ ჟამად თბილისში არის 10 ტეხნიკუმი, რომელთაგან 7-ში მეცადინეობა სწარმოებს დღისით, ხოლო 2-ში საღამოთი.

ეროვნული შემადგენლობა

სამეცადინო ენის მიხედვით ტეხნიკუმები შემდეგნაირად ნაწილდება: ქართული—5, სომხური—1, რუსული 1, გერმანული—1 და შერეული 2.

ყველა ტეხნიკუმებში ამ ჟამად ირიცხება სულ 2.120 კაცი. ამ რიცხვიდან ქართველი მოწაფეა—1.392, სომეხი—372, რუსი—232, გერმანელი—62, ებრაელი—40 და ა. შ. ყველაზე მცირე რიცხვს (6 მოწაფეს) იძლევიან ბერძნები. ტეხნიკუმების მოწაფეთაგან ვაჟი არის—1590, ქალი 530.

სოციალური შემადგენლობა.

მოწაფეთა მშობლების სოციალური შემადგენლობა ასეთია: ყველაზე მეტ პროცენტს შეადგენენ მოსამსახურეთა შვილები, რომელთა რაცხვი ყველა ტეხნიკუმებში უდრის 616 კაცს. მეორე ადგილი უჭირავთ გლეხების შვილებს, რომელნიც შეადგენენ 527, შემდეგ მისდევს მუშის შვილები, რომელთა როცხვი უდრის 473. ხელოსანთა შვილების რიცხვი ტეხნიკუმში 100-მდე აღწევს. ვაჭრების და მრეწველთა შვილების რიცხვი ტეხნიკუმებში არ აღემატება 80 კაცს. წითელარმიელების შვილები—54, თავისუფალი პროფესიის მოქალაქეთა შვილები—51. ობოლთა რიცხვი ტეხნიკუმებში უდრის 62-ს. აქედან ვაჟია—46, ქალი—16. მოწაფეთა სოციალურ შემადგენლობის განხილვა გვიჩვენებს, რომ საბჭოთა საშუალო განათლებას ღებულობენ უმთავრესად მშრომელთა ბავშვები, არამშრომელთა შვილები საბჭოთა ტეხნიკუმებში უმნიშვნელო პროცენტს (80 ანუ 3,7 პროც.) წარმოადგენენ.

სპეციალური ცოდნის გასავრცელებლად.

სპეციალურ ცოდნის გავრცელების მიზნით განათლების კომისარიატის სამეცნიერო-ტეხნიკურ სექციამ გადასწყვიტა მიიღოს ზომები სათანადო ორგანოების საშუალებით რესპუბლიკაში შალის, აბრეშუმის, ხალიჩების და სხვადასხვა ქსოვილების დამმზადებელი საქარხნო სკოლების გასახსნელად.

წითელ ჯარში

ტერიტორიალურ ნაწილებზე მიწერილ ახალწვეულების საყურადღებოდ

მე-2 ქართული მსროლელი ტერიტორიალური დივიზია აცხადებს ს. ს. რ. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ, 1902 წელში დაბადებული ტერიტორიალურ ნაწილებზე მიწერილ ახალწვეულების საყურადღებოთ, რომ ისინი უნდა გამოცხადდენ სამხედრო სამსახურში სამ თვიანი სწავლების გასავლელად ა|წ. 15 ივნისს, ხოლო კომპარტიის წევრები და კანდიდატები ა|წ. 10 ივნისს.

დაწვრილებითი ცნობების მიცემა და გაფრთხილება ხდება ადგილობრივად, სათანადო ტერიტ. ერთეულების ნაწილების უფროსების მიერ აღმასკომების საშუალებით.

ჩვენი სოფლის ჭირვარამი

ადგილობრივი ორგანოების საგადასახადო „შემოქმედების“ შესახებ

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის უკანასკნელი ცირკულიარული წერილის გამო, ინტერესმოკლებული არ იქნება დავახასიათოთ, სათანადო დაწესებულებათა საყურადღებოთ, თუ როგორ ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერა ერთერთ ჩვენს მაზრაში, რომელიც არ შეიძლება გამონაკლისათ ჩაითვალოს ჩვენს საგადასახადო სინამდვილეში.

1924 წლის ივნისის დასაწყისში ახალქალაქის მაზრის სოფლებში გაგზავნილი იყო 9 აღმრიცხველი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვის საწარმოებლათ, აუცილებელი პირობით, რომ ორი კვირის განმავლობაში დამთავრებული ყოფილიყო მთელი მუშაობა; ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ აღმრიცხველთა უმრავლესობა სრულიად არ იყო მომზადებული მათზე დაკისრებულ მუშაობისათვის; საშუალოთ თვითეულ აღმრიცხველზე მოდიოდა 13 სოფელი; თუ მხედველობაში მივიღებთ რომ მაზრაში არის სულ 116 სოფელი, მაშინ გამოვა, რომ ერთი დღის განმავლობაში დამთავრებული უნდა ყოფილიყო ერთი სოფლის აღრიცხვა.

ამასთანავე ის გარემოება, რომ მაზრის უმეტეს სოფლებში მოხდენილი არ იყო მიწების შინაური ოფიციალური განაწილება, მძიმე მდგომარეობაში აყენებდა აღმრიცხველს და იყო შემთხვევები, როდესაც აღმრიცხველი მიწის ნაკვეთების ზომას იწერდა ისე, როგორც მოხდებოდა, მხოლოდ კი დროზე დაემთავრებინა მასზე დაკისრებული მუშაობა.

გარდა იმისა, რომ მაზრა მეტათ ძლიერათ იქნა დაბეგრილი, რევიზორ-ინსტრუქტორის „გულმოდგინეობის“ წყალობით, მცხოვრებთა სიაში დაბეგვრის მიზნით შეტანილი იყო იჯარით აყვანილი, ე. ი. ზაფხულის სამი თვით სამწყსავად აყვანილი მსხვილფეხა საქონელი, რომელიც საზაფხულოთ იჯარით აყვანილი ჰყავდათ მხოლოდ ღარიბ ელემენტებს, რომ რამოდენიმე ხნით მაინც გამოეკვებათ თავისი ოჯახი, ნამდვილი მეპატრონე კი განთავისუფლებული იყო გადასახადისაგან.

ამასთანავე აუცილებელია აღნიშნული იქნეს მიწების ჩაწერის დამახასიათებელი შეცდომები ზოგიერთ სოფლებში, სადაც სახნავი მიწების რაოდენობის შესახებ სწორი ცნობების უქონლობის გამო, აღმრიცხველი იძულებული იყო ამ სოფლების მიწების საერთო რაოდენობა თვითონ დაენაწილებია სახნავ და სათიბ მიწებათ, რამაც უმეტეს შემთხვევებში დიდი გაუგებრობა გამოიწვია, რადგან სახნავი მიწები ზედმეტათ დაბეგრილი აღმოჩნდენ.

ადგილი ჰქონდა ისეთ ფაქტებს, როდესაც, იმ შემთხვევაში, თუ აღმრიცხველი არ იძლეოდა მიწის საჭირო რაოდენობას აღრიცხვის ქვეშ, მიდიოდა კომისია და შეცდომას „ასწორებდა“ მიწის სულობრივი ჩაწერის საშუალებით ადგილობრივ სოფლებში, რაც ეწინააღმდეგება ცენტრის დადგენილებას და ადგილობრივ სინამდვილეს.

დროის უქონლობის გამო, და, შეიძლება, აღმრიცხველთა გულგრილობის წყალობით, ხშირათ ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც მიწას მიაწერდენ ღარიბ გლეხს, ნამდვილათ კი მას ამუშავებდა მდიდარი გლეხი და მოსავლის დიდი ნაწილიც მას ეკუთვნოდა (მაგალითად, სოფ. ხანდო, კოტელია, ბალანტა და სხვა).

პრინციპი კი იმის შესახებ, რომ დაბეგრილი ყოფილიყო ის მიწები, რომლებსაც გლეხები ამუშავებენ, და აღრიცხული ყოფილიყო მათი შემოსავლიანობა, ყველგან უყურადღებოთ იყო დატოვებული.

ინტერესმოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ მოსავლიანობას ხარისხების განაწილებამ, რომელიც დამყარებულია მხოლოდ მიწის პროდუქციაზე, ახალქალაქის მაზრაში მრავალი გაუგებრობა გამოიწვია. მაგალითად, სოფ. მოდეგამი, სადაც მრავალია ისეთი მეურნეობანი, რომლებიც მხოლოდ მესაქონლეობას ეწევიან და რომლებსაც მრავალი სხვადასხვაგვარი საქონელი ჰყავთ, სეტყვის გამო გადაყვანილი იყო მოსავლიანობის მეორე ხარისხში და ამის გამო, კარგი გადახდის უნარიანობის პირობებში, მინიმალურ განაკვეთებს იხდიდა.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალქალაქის მაზრის გლეხთა მეურნეობის დაქსაქსვას, რომელიც ხდება იმის გამო, რომ პროგრესიულათ იზრდება დაბეგვრის რაოდენობა საქონლის ერთეულზე საქონლის საერთო რაოდენობის მიხედვით; ეს გარემოება იწვევს იმას, რომ მესაქონლეები, რომლებიც ერთად სცხოვრობენ ნათესაურ პატრიარქალურ ოჯახებში (30—40—60 სული) და რომელთაც ერთი საერთო მეურნეობა აქვთ, იძულებული არიან გაიყონ და დანაწილდენ პატარ-პატარა უსახსრო მეურნეობებათ, რომ ამით შეიმსუბუქონ გადასახადების სიმძიმე.

საჩივრების განხილვის შესახებ უნდა ითქვას, რომ განხილვა ხდებოდა რაიონულ ცენტრში და თითქმის არასოდეს არ აკმაყოფილებდა გლეხებს, რომლებიც მოითხოვდენ, რომ ადგილობრივ ყოფილიყო გამორკვეული ამა თუ იმ გადამხდელის გადახდის უნარიანობა. საგადასახადო კამპანიის დაწყებისთანავე მიღებული იქნა 1262 საჩივარი, მაგრამ შემდეგ განცხადებების მიღება შეწყვეტილი იქნა, რადგან სამაზრო სამფინგანის განკარგულებაში არ იყო სათანადო ფონდი; საჩივრები შემოჰქონდათ უმთავრესათ უსახსრო გლეხებს.

თუმცა მთავრობის საერთო განკარგულების თანახმათ გადასახადის სამართლიანი შემცირება განსაზღვრული პროცენტით გატარებული უნდა ყოფილიყო მაზრის ყველა სოფლებში, მაგრამ იმის გამო, რომ ცენტრიდან გამოგზავნილი არ ყოფილა სათანადო ინსტრუქცია გადასახადის შესამცირებელი ნორმის მაზრის სოფლებს შორის განაწილების შესახებ, ასეთმა შემცირებამ მრავალ შემთხვევებში ვერ მიაღწია დასახულ მიზანს.

ამ ჟამათ არის მრავალი სოფლები, რომლებიც დაკმაყოფილებული არ არიან არც საჩივრების განხილვით და არც გადასახადის შემცირებით, მაგალითად: სოფ. ტამბოვკა, კოკიო, ხავეტი და სხვა.

აღნიშნული მოკლე ცნობებიდან სჩანს, თუ როგორი დაუშვებელი გულგრილობა იყო ჩადენილი სათანადო ადგილობრივი დაწესებულებების და უშუალო შემსრულებლების მხრიდან, რომლებმაც დაამახინჯეს ჩვენი საგადასახადო პოლიტიკა, რასაც შეიძლებოდა შედეგათ მოჰყოლოდა გლეხთა მასების სამართლიანი უკმაყოფილება, უმაღლეს საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს არ მიეღოთ დაუნდობელი ზომები საგადასახადო თვითნებობის აღმოსაფხვრელად; ამის შემდეგ ვერავინ ვეღარ გაბედავს ასეთი ექსპერიმენტების მოხდენას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერის დროს, რომელიც, გამოდის რა ლოზუნგიდან „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ“, ხელს უნდა უწყობდეს ქალაქის და სოფლის კავშირის გაღრმავებას, და არა ჩაშლას.

შ. დადიანი.

დამნაშავე, რომელიც მიიღებს დამსახურებულ სასჯელს

სოფ. მეტეხში (გორის მაზრა) ამხ. ს. ორჯონიკიძეს იქ ყოფნის დროს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მიმართეს წერილობით და სიტყვიერი საჩივრით კომპარტიის წევრ **ნოშა თაბორიძეზე.**

ეს განცხადება გადმოეცა საქ. ცენტრ. საკ. კომისიას, რომელმაც საქმის გამოსარკვევად ადგილობრივ გაგზავნა საკ. კომისიის წევრი ამხ. იტრიევი.

საქმის ძიებიდან გამოირკვა შემდეგი: ნოშა თაბორიძეს მიუთვისებია საზოგადო ხიდის ასაგებად მოტანილი სარები და წნელი. მეურმეებს ნაწილი ამ მასალისა მიუტანინა თაბორიძემ თავის სახლში.

ეს ბოროტება ხალხში სალაპარაკოდ შეიქნა.

დანიშნულ იქნა კომისია, რომელმაც ნოშა თაბორიძის ბოროტება: მის მიერ სარების და წნელის მითვისება დაადასტურა კვლევა-ძიებით და მოწმეების შეკითხვით.

ამ კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ მოხდა მენშევიკების ავანტიურისტული გამოსვლები.

ნოშა თაბორიძემ, ისარგებლა რა გართულებული მდგომარეობით, ჯავრი იყარა კომისიის წევრებზე, რომლებმაც მას დაუმტკიცეს ბოროტების ჩადენა. მან დააპატიმრა ისინი, როგორც მონაწილენი ამ ავანტიურისა მაგრამ რაიკომის პ. მ. მდივნის მიერ ისინი იქვენ განთავისუფლებული.

ნოშა თაბორიძემ, რომ „დასაბუთებული“ ბრალდება წაეყენებია ამ კომისიის წევრებისათვის, მიმართა შემდეგ ოინს:

გაგზავნა მათთან ერთი კაცი—ვითომ ბანდიტი და მოითხოვა დახმარება: სასმელ-საჭმელი და გზის ჩვენება ამ მიზეზით „ბანდიტს“ კომისიის წევრებმა აღმოუჩინეს დახმარება პურით. „ბანდიტი“ ბრუნდება ნოშა თაბორიძესთან და მიაქვს პური, მიღებული კომისიის წევრებისაგან, რომლებიც დაპატიმრებული საჩქაროდ მოიყვანეს და დასამტკიცებელი საბუთი მათი მოღალატეობისა წარუდგინეს მათი გაცემული პური.

ეს ბრალდება დამტკიცებულად და საკმარისად იქნა მიღებული და ორი კომისიის წევრი იქნა უმაღლეს სასჯელით დახვრეტით დასჯილი.

საქ. ცენტრ. საკ. კომისიამ მოისმინა რა ამხ. იტრიევის მოხსენება ზემოხსენებული საქმის შესახებ—**დაადგინა: ნოშა თაბორიძე მოხსნილ იქნას თავის თანამდებობიდან, გამორიცხული კომპარტიის რიგებიდან და საქმე გადაეცეს საქ. საგანგებო კომისიას, რომელსაც მიეცეს წინადადება მის დაპატიმრებაზე.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალ. საკონტროლო კომისია.

ეს აღარ უნდა ხდებოდეს

(ოზურგეთის მაზრის აღმასკომის საყურადღებოდ)

ოზურგეთის სამაზრო ცენტრიდან 25 ვერსის დაშორებით იმყოფება სოფელი შუასურები. სოფლის მდებარეობა მთა გორიანია. სოფელი კულტურულათ არ არის ჩამორჩენილი. არსებობს ფოსტა, ტელეგრაფი და სამკითხველო და სხვადასხვა დაწესებულებები. მაგრამ აღსანიშნავია ერთი გარემოება. მარტში საბჭოთა არჩევნების დროს, როგორღაც საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ანთიმოზ ტრაპაიძე. ტრაპაიძე არის ძველი სოფლის წურბელა, კულაკი და ჩარჩი ვაჭარი. ის ნიკოლოზისა და მენშევიკების ბატონობის დროს ტყავს აძრობდა ამ სოფლის გლეხობას. სოფლის მცხოვრებნი უკმაყოფილონი არიან მისი არჩევით და თავის გულისწყრომას ხშირათ გამოსთქვამენ ხოლმე. ამისათვის ჩვენ მოვითხოვთ შეიქმნეს ადგილობრივი კომისია ტრაპაიძის ვინაობის გამოსარკვევად და გლეხების სურვილის დასაკმაყოფილებლად.

სურებელი ტეტია.

ცხვრის ტყავში გახვეული მგელი

მოვითხოვთ პასუხს კომისიისაგან

(სოფ. ყანდაურა სიღნაღის მაზრა)

„კომუნისტი“-ს 5 მაისის №-ში გამოქვეყნებული იყო წერილი სათაურით „სახელი გლეხობის სახრავი გლეხკომის თავმჯდომარის“, რომელიც ეხებოდა სიღნაღის მაზ. სოფ. ყანდაურის გლეხკომის თავმჯდომარეს ისიდორე ფხალაძის მოღვაწეობას. ამის შემდეგ სასწრაფოდ იქნა დანიშნული რევიზია სიღნაღიდან შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ვეფხო აკოფაშვილი ყოჩიაშვილი და თარხნიშვილი. ეტყობა ხსენებულმა რევიზიამ ვერაფერი გააკეთა, რადგან ისიდორე ფხალაძე ისევ თავისუფლად დათარეშობს. ყველასათვის უკვე ცნობილმა გაქნილმა აფერისტმა, რომელიც მუდამ გაიძახის „მე ისეთი მფარველები მყავს, რომ ვერავინ ვერაფერს დამაკლებსო“, ამ ერთი კვირის წინათ გლეხკომისათვის შაქრის ტრესტიდგან გამოიტანა ასორმოცდაათი ფუთი შაქარი, რომელიც ვილაც კერძო ვაჭარს მიჰყიდა. საჭიროა უფრო მეტი ყურადღება, საჭიროა დაინიშნოს ხელახალი რევიზია, რომელიც უფრო ზედმიწევნით გამოარკვევს ხსენებულ გლეხკომის თავმჯდომარის ძველ და ახალ ბოროტმოქმედებათ და შედეგს გამოაქვეყნებს. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრას ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობიდან ამისთანა ელემენტები, რომლებიც სახელს უტეხენ ხელისუფლებას გლეხკაცობის თვალში.

ეკალი.

გორის მაზრა

საჭიროა ხშირად სოფლად სიარული

სას. სამეურნეო გადასახადი—მიწათმოწყობა.—სახელმწიფო მამულები.—არხები.—საგალახოები.—ხვნაში და თიბვაში... თოფებით

გორის სამაზრო პარტ-ორგანიზაციამ, სხვა და სხვა ინფორმაციის თანახმად, რომელიც მოსდიოდა ადგილობრივ გლეხობისაგან როგორც სამაზრო პარტკომს, აგრეთვე მაზრის აღმასკომსაც ჩვენი ძირითადი აპარატის მუშაობის, პარტამხანაგების და კომკავშირელების მოქმედების შესახებ, დაადგინა, შესწავლილ ყოფილიყო სოფლების და თემების მდგომარეობა. მე შემხვდა ექვსი თემის და რამოდენიმე სოფლის შესწავლა დაწვრილებით.

მე შევუდექი ამ საქმეს 9 მაისს. ჯერ-ჯერობით მოვასწარი შემდეგი თემების და სოფლების გამორკვევა: 1) ქვემო-ჭალა, 2) კასპი, 3) რუისი, 4) ქარელი, 5) ზღუდერი, 6) სკრა, აგრეთვე სოფ. სოფ. სამთავისი, ურბნისი, ღვლევი და კრობანი.

მე შევეხები საერთოდ, თუ რა გაჭირვებას განიცდის გლეხობა და როგორ შეიძლება მისი გამოსწორება, შემდეგ აღვნიშნავ ყოველივე უარყოფითი მხარეებს. დადებითი თვით სჩანს და მასზედ ლაპარაკი აღარ არის საჭირო.

* *

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან სასოფლო-სამეურნეო სწორ აღწერას.

გლეხობა დარწმუნდა, თუ სასოფლო-სამეურნეო აღწერა სწორედ მოხდება, მაშინ გადასახადი ძალიან უმნიშვნელო შეხვდება თვითეულ მეურნეობას. როგორც წარმოებს დღეს სოფლად ეს აღწერა?

მიდის აღმწერელი სოფელში, უყრის თავს გლეხობას, აძლევს ახსნა-განმარტებებს სასოფლო-სამეურნეო აღწერის შესახებ, ირჩევს კომისიას 5—7 კაცისაგან შემდგარს, აღნიშნული კომისია ადგენს სოფლის კომლთა სიას, მერე სათითაოდ კომისიასთან ერთად უდგება აღმწერელი მუშაობას. როდესაც ყველა კომლების, მიწის, საქონლის, ბაღების, ვენახების, სულთა, მჭამელთა და მუშების ოჯახის წევრების რაოდენობას სწერს, შემდეგ აღმწერელი ხელმეორედ უყრის გლეხობას თავს, რათა მთელი ეს მასალა განიხილონ კრებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ხოლო კრებაზე მონაწილეობას ღებულობს მთელი გლეხობის 85 პროც. [illegible] ამ მუშაობისა აღწევს თავის მიზანს. მაგრამ აღნიშნულს აქვს ერთი ნაკლი, რომელიც საშუალებას აძლევს გუთნეულის, ხარკამეჩის ანუ კარგი საქონლის პატრონს დამალოს 8 დღის წინაზედ ერთი დღის მიწა მაინც. კარგი გუთნეულის პატრონი რასაც ერთ დღეს მოხნავს თავის გუთნით, მას ეძახის ერთი დღის მიწას, როცა სხვას ახმარს და უხნავს მამულს 7-დი უღელ საქონლის მაგივრად აბამს 5 უღელს და სწორეთ აქ არის საიდუმლოება მიწის დღიურებით გამოკვლევაში, რადგან ასეთი წესით მიწის რაოდენობის გამოკვლევას მოსდევს ყოველთვის მიწის გადამალვა. თავის თავად ცხადია, საჭიროა მიწის მოწყობის დაჩქარება. არა ერთხელ მიგვიმართნია მიწათმოქმედების კომისარიატისათვის, მაგრამ პასუხი ვერ მიგვიღია სწორი. შეიძლება ვინმემ იფიქროს ფულია საჭირო და იმიტომ ვერ შესძლო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა საკითხის მოგვარება. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად გვითხოვნია მოგვეცით მიწის მომწყობი და ჩვენ დავაკმაყოფილებთ აღნიშნულ ხარჯებს-თქო, მაგრამ დღესაც უცდით როდის გამოგზავნიან.

მიწის მოწყობის საკითხებზე უნდა სცდილობდეს ყველაზე ძლიერ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

* *

ჩემი მოგზაურობის დროს დავათვალიერე აგრეთვე სკრის მამულიც. საჭიროა მიექცეს მას მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყურადღება და გამოირკვეს ადგილობრივ მთელი საქმის ვითარება.

სკრის მამულის გამგეთ არის გამსახურდია უკვე ოთხი წელიწადი და მამულს ზარალის მეტი სარგებლობა არ მოაქვს არც მთავრობისთვის და არც გლეხობისთვის.

სკრის მამული შესდგება 161 დესეტინა მიწიდან: 1) სამოსახლო 3 დესეტინა, 2) ხეხილის 20 დეს., რომელიც ნახევარი აღარ ვარგა, 3) სანერგე ფაქტიური 5 დესეტინა, 4) სანერგე ადგილი სულ 20 დესეტინა, 5) მინდორი 26 დეს. (ქერს და პურს სთესავენ), 6) მიწა, რომელსაც სახნავ-სათესი ჰქვიან—71 დესეტინა. მისი უდიდესი ნაწილი ტყუილად სცდება და არავინ ამუშავებს. ხოლო მეორე ნაწილი [illegible] [illegible], რაც კანონით აკრძალულია. ჭაობი და ხრიოკი—21 დესეტინაა, სულ 161 დეს. უნდა აღინიშნოს, რომ კარგი [illegible] აღნიშნული მამულიდან უნდა ღებულობდეს წელიწადში 20 ათას მანეთს, მაგრამ ამჟამად ზარალი უფრო მეტი აქვს.

როგორ უყურებს სკრის მოსახლეობა აღნიშნულ მამულს? ამბობენ, კომისარიატი ვერც თითონ ხმარობს და არც ჩვენ გვაძლევსო. ამნაირათ სრულიად კანონიერი უკმაყოფილება შექმნილი. საჭიროა გამოარკვიოს ინსპექციამ საქმის ვითარება.

აქვე რკინის გზის გადაღმა არის მამული 30 დესეტინა. რათ ესაჭიროება ასეთი მამული მიწათმოქმედების კომისარიატს. იმიტომ, რომ ვისაც როგორ უნდა, ისე დაამუშაოს და მოიხმაროს, გარდა გლეხობისა?

1922 წელს აღძრა გორის მაზრ. აღმასკომმა შუამდგომლობა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის წინაშე, რათა ნაწილი ცარიელი მამულისა დაეთმო სკრის ღარიბებს გლეხობისათვის, მაგრამ მან ცივი უარი მიიღო.

ასე არ ვარგა. ან კომისარიატმა მოუაროს, ან გლეხობას გადაეცეს.

* *

ქვემო-ჭალის გლეხობა განიცდის დიდ გაჭირვებას, რაც გამოწვეულია 24 წლის მოუსავლობით და დიდი ზამთრისაგან. საჭიროა სესხით დახმარება სასოფლო სამეურნეო ბანკისაგან. აგრეთვე განიცდიან დიდ უმუშევრობას. მიწა-ტყის კოდექსის მე-9-რე მუხლში აღნიშნულია, რათა გლეხობას ხმელი ფიჩხი და ძირნაყარი შეშა უფასოდ მიეცესო, მაგრამ არ ვიცი ვისი ბრალია*). ეს კანონი ქვემო-ჭალის გლეხობაზე არ ვრცელდება. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა.

ქვემო-ჭალაში არის ამილახვრებისაგან და საერთოდ თავად-აზნაურებისაგან ჩამორთმეული აფარებელი შენობები, რომლებშიც საჭიროა მოთავსდენ ღარიბესი და უსახლკარო გლეხობა. გლეხობა კი არ შედის შენობაში, თუ მას არ მიეცა ის ქაღალდი, რომელსაც ის უძახის ნასყიდობის ქაღალდს „კუპჩი - კრეპოსტს“. მართლაც თუ არა აქვს იმედი, რომ შენობა მის საკუთრებათ ითვლება, მას არც შეაკეთებს გლეხი. სამაზრო აღმასკომმა უკვე გაგზავნა კომისია 3 კაცისა. შემდგარი, რომელიც მოახდენს საზოგადო კრებას ქვემო-ჭალაში და ადგილობრივი გლეხობა ვისაც წარმოაყენებს მათ გადაეცემათ აღნიშნული შენობები სათანადო მოწმობით და ხელშეკრულებით, რათა მომავალში ისე მოაგვარონ საქმეები, როგორც ეკუთვნის ფაქტიურ მფლობელთ.

ორიოდე სიტყვა **სამთავისის** კომუნაზე. ამ კომუნაზე უკვე ბევრჯერ დაიწერა წერილი, რომელიც აშუქებდა მხოლოდ დადებით მხარეებს, მე კი მინდა შევეხო უარყოფითს.

სამთავისის კომუნას მრავალ დადებით მხარეებთან ერთად აქვს ერთი ნაკლი: მას ემჩნევა კარჩაკეტილობა. რაც უნდა დაუჯდეთ, უნდა ეცადონ სოფლის გლეხობასთან არ გასწყვიტონ კავშირი. აღსანიშნავია, რომ როდესაც საზოგადო თემის მცხოვრებლების კრება ხდება და მას ესწრება 400—500 სულამდი, ამ დროს სამთავისის კომუნიდან, რომელიც შესდგება 85 სულისგან, ესწრება მხოლოდ სამი, აგრეთვე სრულიად გაწყვეტილია კავშირი თვით სამთავისის სოფლის მცხოვრებელთა და კომუნას შორის როგორც კულტურულ, აგრეთვე საერთოდ სასოფლო საზოგადოებრივ საქმიანობის დარგში. საჭიროა ამას ადგილი არ ექნეს.

* *

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მდგომარეობა ყველა სოფლებში და თემებშიაც არ განსხვავდება ერთი ერთმანეთისაგან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ დამახასიათებელ ადგილობრივ პირობებს.

* *

დავათვალიერეთ **რუისის** თემიც. აქ დარჩა 80 დღიური მიწა თავის ბაღებით და 14 შენობით (100 ოთახიანი). ეს ქონება ეკუთვნოდა გამოდევნილ თავად-აზნაურებს. აღნიშნული მამული თავის 14 შენობით გადაეცა რუისის თემის გლეხკომს აქაც უკმაყოფილებას იწვევდა გლეხობაში გლეხკომის ასეთი მოქმედება. აქ რუისის აღმასკომსაც აუღია თავისთვის 7 დესეტინა ბაღი. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მამული, როგორც გლეხკომის მიერ, აგრეთვე აღმასკომის მიერ კარგად არის მოვლილი და დამუშავებული. მაგრამ არის თუ არა სწორი—ამოდენა ფონდის მიწები ჰქონდეს რუისის გლეხკომს და აღმასკომს როდესაც თითეულ მეურნე გლეხს აქვს 4—6 დღის მიწა, ზოგს 1 და 3 დღისა და ისიც უვარგისი? უკვე ადგილობრივ იყო ზომები მიღებული, რათა თვით მთელი რუისის გლეხობას ამოერჩია 40 კომლი უღარიბესი გლეხების ოჯახი და მათაც გადასცემოდათ მიწები სათანადო მოწმობებით. აღნიშნულმა წინადადებამ საზოგადო კრებაზე, სადაც დაესწრო 500 სულზე მეტი, დიდი სიხარული გამოიწვია. აი აქ ამ კრებაზე შემოიტანეს სწორეთ გლეხებმა წინადადება: ვინც სასოფლო სამეურნეო აღწერის დროს დამალავს მამულს, იგი ჩამოერთვას და გადაეცეს ღარიბ გლეხობასო, რაც ერთხმად იყო მიღებული. იმედია სათანადო უწყება დაამტკიცებს აღნიშნულ დადგენილებას.

* *

ქვემო-ჭალის რაიონიდან გამოყოფილი იყო მესამე საბჭოთა არჩევნების დროს კასპის თემი. კასპიდან ქვემო-ჭალის გზა, წამხდარი ნიაღვრებით, უკვე შეკეთებულია.

კასპის საბჭოს მეთაურობით და შეფის დახმარებით დაწყებულია აგრეთვე ყოფილი აზნაურიშვილის დიდი დანგრეული შენობის შეკეთება, რისთვისაც აღმასკომი იძულებული იყო, ბიუჯეტის გარეშე, გაეწია ნივთიერი დახმარება (300 მან.). აღნიშნული შენობა იქნება შრომის სკოლად გამოყენებული.

სოფლის მრავალრიცხოვან მიტინგზე გაისმოდა მხოლოდ საქმიანი სიტყვები. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ კასპის გლეხკომს კარგი მუშაობა ახასიათებს.

კასპის ახლო მდებარე მთის ძირზე, იქ, სადაც ეხლა მოთავსებულია სკოლა, 1—2 დესეტინაა მინდორი სრულიად ცარიელი. საჭიროა კასპის საბჭოს თავმჯდომარემ მიაქციოს მას ყურადღება, შეაკეთოს და დაამუშაოს აღნიშნული მამული, როგორც კასპის მშრომელ გლეხობას მოესურვება.

მრავალრიცხოვან მიტინგზე გლეხობამ შემოიტანა საქმიანი წინადადებანი. ერთი მათგანი უფრო საგულისხმო და მნიშვნელოვანი არის კასპის გლეხობა თავის არჩეულ საბჭოს სახელით სთხოვს მთავრობას დახმარებას, რომ გადმოიყვანონ მდინარე ლეხურა თავიანთ მამულის მოსარწყავად.

მთელი კასპის მცხოვრებლები ამბობენ: ჩვენ, თვითეული გლეხი მსურველი ვართ გამოვიდეთ მუშა ხელით და შევუდგეთ მუშაობას, მხოლოდ ტეხნიკური დახმარება და ხელმძღვანელობა გაგვიწიოს მთავრობამო.

საჭიროა მიწათმოქმედების კომისარიატის წყალთა სამმართველოს ყურადღება. ეს არხი მორწყავს 9.000 დესეტინა მამულს.

აგრეთვე მოითხოვეს სასოფლო-სამეურნეო სესხი.

* *

იყო პატარა უთანხმოება სოფ. ღვლევსა და ურბნისს შორის საბალახოზე. უნდა მოგახსენოთ, რომ საბალახო რომელზედაც ურბნისელები დავობენ, ეკუთვნით ღვლეველებს.

სოფ. ურბნისი მდებარეობს მდინარე მტკვრის პირად. მცხოვრებლები შესდგებიან 200 კომლისგან, აღნიშნული მოსახლეები განიცდიან მიწის სივიწროვეს, ვისაც აქვს სამ ოთხი დღის მიწა, ისიც გორობად იყო ქცეული. როდესაც დიდი გვალვა იყო, არც ბელარა გაეკეთებია სოფელს (ბელარა ჰქვიან რამოდენიმე მანძილზე ღარებით წყლის გამოყვანას). ემჩნევა, სოფლის მცხოვრებლებს არა ჰყავთ კარგი ხელმძღვანელი: ბელარა გვალვის დროს კი არ უნდა კეთდებოდეს, არამედ როცა გლეხობა სრულიად თავისუფალია შემოდგომაზე მოსავლის დაბინავების დროს. ურბნისში აგრეთვე უმუშობაა. გლეხებს წინათ ეძლეოდათ შეშა „ციციანოვის დაჩიდან“. ეხლა კი აღნიშნულ დაჩაში აღარ მოიპოვება საკმარისი შეშა და ვინაიდან ძალიან წვრილი ტყე დარჩა და ამიტომ ის შეკრულია სატყეო უწყების მიერ, როგორც გამოირკვა, ურბნელები შეშას ყიდულობენ ხშირად სოფელ ღვლეველებისაგან. სწორედ ესაა მიზეზი იმ უთანხმოებისა, რომელსაც აქვს ადგილი ურბნისელებსა და ღვლეველებს შორის.

ღვლეველებს აქვთ საკუთარი საძოვრებიც და აგრეთვე იჯარით აღებული საძოვრებიც იქვეა, საცა სცხოვრობენ. თავის თავად ცხადია, უნდა მიეცეთ ურბნისელებს საძოვრები იჯარით ისევე, როგორც სარგებლობენ ღვლეველები. წინააღმდეგ შემთხვევაში მშიერები ამოწყდებიან. რაც შეეხება რკინისგზის აქეთ მამულს (12 დესეტინა), რომელიც ურბნისელების ახლოა, ხოლო ღვლეველებს კი უჭირავთ,—საჭიროა ის შემოდგომისთვის გადაეცეს ურბნისელებს.

* *

გადავდივარ **ქარელის თემზე.** თემის ცენტრი არის თვით ქარელი, ქარელში სცხოვრობენ უმეტესათ ვაჭარი ებრაელები. ნაწილი გლეხობისა, რომელიც სცხოვრობს ქარელშივე, უნდა აღინიშნოს, ვერ არის ისე აქტიური, როგორც სხვა სოფლელები. მიზეზი ის გამოირკვა, რომ ქარელის თემს არ ჰყავს ადგილობრივ მომზადებული ძალები, ამიტომაც გასაბჭოების შემდეგ მხოლოთ ჯერ გამოცვლილა თემაღმასკომის თავმჯდომარე. პარტიული და ახალგაზრდა ლენინელთა კავშირის მუშაობაც მოისუსტებს. საბჭოს მუშაობა სრულიად უგეგმოთ სწარმოებს. მოიყრიან თვეში ერთხელ თავს და ფორმალურად კარგ დადგენილებებს სწერენ, მაგრამ გამტარებელი—აღმასკომი არ ჰყავთ შესაფერი, საჭიროა შეექცეს სერიოზული ყურადღება და ქარელს მიეცეს შესაფერისი ძალები.

გლეხობა კომ-კომკავშირს და პარტიის წევრებს საგრძნობლად ერიდებიან. მიზეზი ის არის, რომ ქორწილში, დღეობაში, ნათლობაში, ხვნაში და თიბვაშიაც ზოგი მათგანი თოფებით დადიან. საჭიროა აილაგმონ ასეთები. და შემდეგში იმედია ქარელის გლეხობაც ამოიღებს ხმას, როგორც სხვა სოფლის გლეხობა. საჭიროა აეკრძალოთ სასტიკად უთავბოლოდ იარაღის ტარება, როგორც კომკავშირელებს, ისე ზოგიერთ პარტ-ამხანაგებსაც.

24 წელს ყოფილა გლეხკომის თავმჯდომარეთ ვინმე **ქერებაშვილი,** რომელსაც ჩაბარებია საკმარისი მამულები და წისქვილები, მაგრამ სად წაიღო შემოსავალი ან რაში დახარჯა, ვერც თავს გაუგებ და ვერც ბოლოს. მოქ. ქერებაშვილი იქნა დაპატიმრებული და გადაეცა სასამართლოს, რომელიც მიიღებს შესაფერ ჯილდოს „მოღვაწეობისათვის“.

თავისთავად ცხადია ასეთი ბოროტმოქმედის დაპატიმრებამ კარგი გავლენა იქონია გლეხობაზედ.

25 წელში გლეხკომის შემადგენლობა გადარჩეულია; თუმცა მათაც აქვთ ცოტა შეცდომები, მაგრამ მუშაობას მაინც აწარმოებენ: შეუკეთებიათ ორი წისქვილი, გაუკეთებიათ ბორანი, მოუვლიათ სამ დესეტინა ხილის ბაღისთვის შესაფერისად და განაგრძობენ ნორმალურ მუშაობას. აგრეთვე გაუხსნიათ სახარაზო, სადაც საგრძნობ კონკურენციას უწევენ კერძო ვაჭრებს და იძულებულს ხდიან დააკლებინონ საგრძნობლად ფასები საქონელზე.

* *

რაც შეეხება ზღუდრის თემს არ მოველოდით იმას, რაც ვნახეთ ადგილობრივად.

ზღუდრის თემში მივედით 19 მაისს, მოწვეული იყო თემის საბჭოს სხდომა. დღის წესრიგში ჰქონდათ შემდეგი საკითხები:

საბჭოს სექციებად დაყოფა (6 სექციათ), 2) ცირკულიარების განხილვა და მათი ცხოვრებაში გატარება.

უნდა ითქვას, რომ საბჭოს გაუტარებია უკანასკნელი დადგენილება სოფლად მუშაობის შესახებ, აღნიშნულ თემში პარტორგანიზაციაც დიდ აქტივობას იჩენს. კომუნისტების ხელმძღვანელობით ორი ვერსის მანძილზე გაყვანილია ურმის გზა. უნდა ითქვას, რომ ზოგ ალაგზე გზა ორ საჟენზე არის ჩამოთხრილი, აგრეთვე არის წვრილი ბოგირები გაკეთებული. მათში ერთი კარგი დიდია ცემენტით გაკეთებული და ზევიდან დახურულია ხის მასალით. ბოგირი სიგრძით არის 6 საჟენი და სიგანით 2.

აგრეთვე დაწყებულია ოთხ განყოფილებიანი სოფლის სკოლისათვის შენობა, რისთვისაც უკვე მიტანილია ქვა, სილა და ნაწილი ხის მასალის.

შეკეთებულია აღმასკომის შენობაც. ამ მუშაობაში ღებულობს მონაწილეობას უპარტიო ფართო მასსა.

მე დავაინტერესდი და ამოვარჩიე მოხუცებული უპარტიო გლეხი 15 კაცამდი, რომლებსაც არც შვილები ყავთ კომუნისტები და არც ახალგაზრ. კომკავშირლები. გამოვკითხე დაწვრილებით სოფლად მუშაობის შესახებ. გამოირკვა, რომ ძალდატანებას სრულიად არა აქვს ადგილი აღნიშნული საქმეების გაკეთების დროს. საბჭოს ასეთი მუშაობა უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სოფლელებს ეჩხნეოდათ მეტი გვალვისაგან მწუხარეობა, მაგრამ მოვიდა წვიმა და გამოცოცხლდა ნათესები სიმინდმა წვერი ამოყო და გაიხარა. პურს და შემოდგომის ნათესს ქერს ლურჯათ გაუდის მინდვრათ ბიბინი. აგრეთვე მშვენიერი ბალახები მოსჩანს. უკან დაბრუნების დროს სოფლებში მთელ გლეხობას სიხარულისაგან ღიმილს ვამჩნევდით და სრულ იმედსაც გამოსთქვამდენ, რომ მოსავალი წრეულს საშუალოზედ მეტი იქნებაო.

* *

დასკვნა: საჭიროა მთავრობამ მიაქციოს ყურადღება სოფლად შემდეგ საკითხებს:

1) სასოფლო სამეურნეო სესხი გლეხობას, რათა დიდი ზამთრის მიერ წამხდარი ვენახები და ბაღები აღდგენილი იქნეს შეძლებისდაგვარად.

2) საჭიროა პირველ რიგში მიწის მოწყობა. გლეხობა თითონ არ ამბობს უარს, რომ ასეთი დიდებულ საქმისათვის გაიღოს თავისი წვლილიც.

3) საჭიროა უკვე ამოთხრილი არხების დამთავრება—გრაკალ, დოესის და ქარელისა.

4) აგრეთვე საჭიროა საძოვრების საკითხის მოგვარებაც ტყის საკითხთან ერთად. თუ აღნიშნული საკითხები არ მოწესრიგდება, ნაყოფიერი მუშაობა სოფლად ყოვლად შეუძლებელია.

ადგილობრივ ხელისუფლება თვე ნახევარია, რაც შეუდგა სოფლად ყოველივე პატარ-პატარა დაუდევრობის აღმოფხვრას და სრულ იმედს გამოსთქვამთ, რომ კიდევ თვე ნახევრის განმავლობაში გორის მაზრის სოფლის გლეხობას არავინ ათქმევინებს საყვედურს რაიმე უკანონო მოქმედებაზე; უნდა ითქვას, რომ ჩვენს მაზრაშიც სასამართლომაც დაიწყო გაცხოველებული მუშაობა აღმოსავლეთ საოლქო სასამართლოს ამხ. კაჟარავას წყალობით, რომელიც დიდ დახმარებას უწევს ადგილობრივ ხელისუფლებას და მშრომელ გლეხობას.

ვ. ქურდაძე.

---

*) სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგურათ შევეკითხებით: ვინ უნდა იცოდეს ეს?

რედ.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში

საშტატო კომისიის მუშაობა.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსებულ საშტატო კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს შეიმუშაოს საქართველოს სახ. კომისარიატების და ავტონომიური რესპუბლიკების შტატები ახალი სტრუქტურის და ნომენკლატურის მიხედვით, დაემატა შემდეგი ამხანაგები: ა. გიორგაძე, გ. ყურულაშვილი და ლ. გამყრელიძე.

ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ.

სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა, საქ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული მალარიის საწინააღმდეგო სავალდებულო დადგენილების პროექტი იუსტიციის სახ. კომისარიატის დასკვნის თანახმად.

მიწის კოდექსის მე-94 მუხლის შეცვლა.

სახ. კომისართა საბჭომ მოიწონა მიწათმოქმედების და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მიწის კოდექსის მე-94 მუხლის შეცვლის შესახებ.

პროექტი გადაეცა დასამტკიცებლად საქ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

საქართველოს სახ. დაზღვევის სამმართველოს გახსნა.

სახ. კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნო საქართველოში სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს დაარსება.

ამხ. კობახიძეს დაევალა შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა სახ. კომისართა საბჭოში წარსადგენად.

ცვლილების შეტანა საბაჟო წესდებაში.

ს. ს. რ. კავშირში მოქმედ საბაჟო წესდების შესწორებანი საქ. სახ. საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად პრინციპიალურად მოწონებულ იქნა სახკომსაბჭოს მიერ.

საბჭოთა სასამართლო

გაუპატიურებისათვის

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ლეკვეიშვილის თავმჯდომარეობით გაარჩია ნ. ჭოხონელიძის საქმე. ჭოხონელიძეს ბრალად ედებოდა მცირეწლოვან ქალიშვილის არუსიკა გევორქოვის ასულის (13 წლის) გაუპატიურება.

ერთ დღეს არუსიკა დედამ გაგზავნა მაზრაში და გაატანა გასასყიდათ ნაქსოვები. ბავშვს ნაქსოვები წაართვა მილიციონერმა. შეშინებულმა არუსიკამ ველარ გაბედა სახლში დაბრუნება და ის ღამე ქუჩის ბავშვებთან გაათია. ხუთმეტი დღის განმავლობაში ბავშვი სახლში აღარ დაბრუნებულა და ამ ხნის განმავლობაში მათხოვრობდა. მშობლებმა ამის შესახებ განუცხადეს მილიციას, მაგრამ ბავშვი ვერ აღმოაჩინეს. ერთ დღეს არუსიკას დედის ნაცნობმა შეამჩნია ეს ბავშვი და წაიყვანა სახლში. დედამ ბავშვს გამოჰკითხა ყველაფერი და გაიგო, რომ მას წართმეული ჰქონდა უმანკოება ვინმე მელვინე ნ. ჭოხონელიძეს მიერ, რომელთანაც ბავშვი შევიდა მათხოვრობის დროს. ჭოხონელიძეს ბავშვი შეუტყუილებია თავის სარდაფში და იქ ძალით ნამუსი აუხდია მისთვის.

ბრალდებულმა ზემოაღნიშნულ დანაშაულში თავი დამნაშავეთ სცნო. ბრალდებულს მიესაჯა ხუთი წლით გამასწორებელ სახლში მოთავსება სასტიკი იზოლიაციით. ამნისტიის ძალით სასჯელი გაუნახევრდა.

ქრონიკა

— **ორშაბათი, 8 ივნისი დასასვენებელი დღეა.** შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით, ორშაბათი, 8 ივნისი, დასასვენებელი დღეა.

— **აბასთუმნის ტყეები.** მიწადმოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილება შეუდგა აბასთუმნის ტყეების მოსაწყობ-გამოსაკვლევ განხილვას.

— **მეფუტკრეობის ბიუროს** შუამდგომლობით მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა ზემო-იმერეთის მეფუტკრეთა კოოპ. ამხ. „ფუტკარი და სკას" შეღავათიან ფასებში მისცა 10 ათასი კუბ. ფუტი ცაცხვი სკების გასაკეთებლათ.

— **ამინდის გამოსარკვევათ.** საქ. ცენტრ. ფიზიკური ობსერვატორია დუშეთში ხსნის ამინდის გამომრკვევ (მეტეოროლოგიურ) სადგურს.

— **დამსახურებულ მასწავლებლებს.** სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა დაბალი საფეხურის სკოლების დამსახურებულ მასწავლებელთა პენსიებით დაკმაყოფილების საქმე გადასცა ადგილობრივ დამზღვევ სალაროებს.

— **გაძლიერებული პენსიები.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატთან შესდგა გაძლიერებული პენსიების დამნიშნელი კომისია.

— **საქ. საგეგმო კომისიის** წინადადებით მიწად-მოქ. სახ. კომისარიატი შეუდგა 5 წლიან საპერსპექტივო გეგმის შედგენას.

— **უმუშევართა აღრიცხვა.** მიმდინარე საანგარიშო წლის მეორე მეოთხედში შრომის ბირჟის საექსპერტო (გამომცდელ) კომისიაში გატარდა 300-ზე მეტი უმუშევარი.

— **დაზღვევა.** შრომის ბირჟის კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა შრომის სახ. კომისარიატის წინაშე მიიღოს ზომები შრომის კოლექტივებში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა დასაზღვევათ.

— **აგარაკების მოსაწყობათ** მაისის განმავლობაში თბ. დამზღვევმა სალარომ დახარჯა 4,383 მან.

— **შრომის დროებით უნარდაკარგულებს** მაისში თბ. დამზღვევ სალარომ დაურიგა 48,939 მან. 83 კაპ.

— **წარმოკავშირმა** მაისში სეტყვისაგან დააზღვია საერთო რიცხვით 3,046 დესეტინაზე გაშენებული ხეხილი.

— **გაზეთების გადაგზავნის გასაადვილებლად** ფ-ტელეგრაფის სახ. კომისარიატმა შეიმუშავა საგანგებო პირობები.

— **სიძვირე კახეთში.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის ცნობით კახეთში ჩუმლაყ-ველისციხის რაიონში ფუთი ხორბალი ღირს 3 ნახ. მან., სიმინდი 2 მან.

— **მეფუტკრეობის ბიურო** ქუთაისის მაზრაში ორ ადგილას ხსნის მეფუტკრეობის მოკლევადიან კურსებს.

— **ფასდადებითი მარკები.** ფ.-ტელეგრაფის სახ. კომისარიატი უშვებს ახალ ფასდადებით (доплатные) მარკებს 3 და 7 კაპიკიანს.

— **დახმარება უმუშევრებს.** უმუშევართა დამზღვევ განყოფილებამ მაისში დაზღვეულ უმუშევრებს მისცა 14,254 მ. 74 კ. დახმარება.

— **ა/კ. წყალთა მეურნეობის** სამმართველო შეუდგა ქობულეთის და აფხაზეთის ჭაობების გამოკვლევას.

— **ჩაუბარებელი დეპეშები.** 1. მოსკოვიდან—ბალიუს, 2. ივანოვკიდან—ტეხნოხიმს, 3. ოდესიდან—ტანდიტუს, 4. მოსკოვიდან—ანანოვს, 5 მოსკოვიდან—როდერს, 6. კარაკლისიდან—ბეგიჯანოვას, 7. ლიაკიდან—სოლოვიოვს, 8. ახალციხიდან—ზავცუს, 9. ხარკოვიდან—დანელინიას, 10. ალიატიდან—სლეტამეს, 11. მოსკოვიდან—მატუზოვს.

— **აღმასკომის წყალსადენის განყოფილება** ველიამინოვის ქ. № 2 სახლიდან გადავიდა ახალ ბინაზე სოლოლაკის ქუჩაზე მდებარე № 16 სახლში.

— **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში წერილი „მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების აღრიცხვა და სარწმუნოებრივი წესების შესრულება" ხელმოუწერელი დაიბეჭდა. წერილი ეკუთვნის ამხ. ა. ცინცაძეს.

ნარევი

725.000 უბედური შემთხვევა

წარსული წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში, სტატისტიკური ცნობების მიხედვით, ადგილი ჰქონდა 725.000 უბედურ შემთხვევას. ეს უბედური შემთხვევები გამოწვეულნი იყვნენ ავტომობილების და მატარებლების მოძრაობით. 25.000 შემთხვევას სიკვდილი მოჰყვა. 10 ათას შემთხვევაში ავტომობილების და მატარებლების მსხვერპლი შეიქნენ ბავშვები. მატერიალური ზარალი ამ შემთხვევებისგან ერთ მილიონ მანეთს უდრის.

ადამიანის მსხვერპლათ შეწირვა.

ინდოეთში ჯერაც არ მოღებია ბოლო ადამიანის მსხვერპლათ შეწირვას. კალკუტიდან იუწყებიან, რომ იქ რამდენიმე ხნის წინათ ღმერთ ქალს მსხვერპლად შესწირეს ერთი ახალგაზრდა ქალი, რომ მას განეკურნა ერთი მდიდარი ინდუსი. რომ ბოლო მოეღო ადამიანის მსხვერპლათ შეწირვისათვის, ინგლისის ადმინისტრაციამ დამნაშავენი სიკვდილით დასაჯა.

ფოლადის ჟილეტი მოლარეებისათვის

ბანკების მოლარეების გაძარცვის თავიდან ასაცილებლად, ამერიკაში გამოგონებულია სპეციალური ფოლადის ჟილეტი, ფულებს ან ფასიან ქაღალდებს დებენ ამ ჟილეტში, რომლის გახსნა შეიძლება მხოლოდ დანიშნულების ადგილას. გამომგონებლის სიტყვით, ამ ჟილეტს ტყვია ვერ გახვრეტს.

მაიმუნების ქალაქი

პასტერის სახელობის ინსტიტუტს პარიზში განზრახვა აქვს მოაწყოს აფრიკაში მსოფლიოში პირველი მაიმუნების ქალაქი. შიმპანზეები, გორილები და ორანგუტანგები აქ აღიზრდებიან ბუნების წიაღში. თითოეულ მაიმუნს ექნება საკუთარი სახლი.

პასტერის სახელობის ინსტიტუტის დირექტორს პროფ. კალმეტს იმედი აქვს, რომ ასეთ ქალაქში ახალგაზრდა მაიმუნები ისე განვითარდებიან, რომ ლაპარაკსაც შეისწავლიან.

დიდ დახმარებას აღმოუჩენს ქალაქი საექიმო გამოკვლევებს. მაგ. შიმპანზეს სისხლი თითქმის არაფრით განირჩევა ადამიანის სისხლისაგან და მაიმუნებზე შეიძლება შესწავლა სხვადასხვა საშუალებების კიბოს, ჭლექის და სხვათა წინააღმდეგ.

ხელოვნება

გამოცდები კონსერვატორიის ვოკალურ კლასში.

ვოკალურ განათლებას მიმდინარე წელში წარდგენილი ჰქონდა განსაკუთრებით მკაცრი მოთხოვნილებები. განსაკუთრებული კომისია, რომელიც შესდგებოდა ვოკალური პედაგოგიკის პროფესიონალებისაგან (ვაგი, ბარერი, შულგინა), და აგრეთვე სახელმწიფო ოპერის სათავეში მდგომ მუსიკალურ მოღვაწეებისაგან (ვანო ფალიაშვილი, სტოლერმანი, ევლახიშვილი) დიდ მოთხოვნილებებს უყენებდა იმ ახალგაზრდებს, რომლებიც წელს ათავებენ სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალურ ფაკულტეტს.

მასწავლებელ ქალის რიადნოვას კლასი დაამთავრეს მოწაფე ქალმა ვლახოვიჩმა, ვოროხობლინამ, კორსუნსკაიამ, პროფ. ჯაყელის კლასი დაამთავრეს კურცხალიამ და თუმანოვამ, პროფ. ბარერის კლასი—პრივალოვმა, პროფ. ზულიონაიას კლასი—დემიდოვამ, აიზენბერგმა და ბექანოვამ, მასწავლებელ ქალის რეშიმოვას კლასი—ბექანიშვილმა, ყაზარიანმა და თოფურიამ, მასწავლებელ ქალის კირილოვას კლასი—ცაგარელმა და სიროტკინამ.

ყველა გამოსაცდელ მოწაფეებს უნდა შეესრულებიათ კონსერვატორიის პროგრამა, სახელდობრ—იტალიანური არია იტალიანური სკოლის ძველი ან ახალი კომპოზიტორების ოპერებიდან და რომანსები ქართული და რუსული მუსიკალური ლიტერატურიდან.

შემსრულებლებიდან მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვეს თავისი ხმით და მუსიკალობით ცაგარელმა, სიროტკინამ, ბექანოვამ, კორსუნსკაიამ, კურცხალიამ, თუმანოვამ, ბექანიშვილმა, ყაზარიანმა და პრივალოვმა.

ვ. ბ.

— **კოლექტივ პროლეტმაფის** პრეზიდიუმი ორშაბათს, საღამოს 6 საათზე, ხელოვანთა სასახლეში იწვევს მორიგ კრებას. მოსკოვიდან ჩამოსული ამხ. ამხ. გ. ლეუარსამიძე და ა. მაშაშვილი გააკეთებენ მოხსენებას შემდეგ თემაზე „ლიტერატურული მოსკოვი".

— **ეთნოგრაფიული კონცერტი.** ხელოვანთა კულტურული კავშირის მთავარი კომიტეტი 14 ივნისს რუსთაველის თეატრში გამართავს ეთნოგრაფიულ კონცერტს.

— **„ბეჭვდითი ხელოვნების ისტორიიდან".** გამოვიდა და იყიდება ივ. მჭედლიშვილის მიერ შედგენილი „ბეჭვდითი ხელოვნების ისტორიიდან". გამოცემა პოლიგრაფსკოლისა.

— **კონსერვატორიაში.** 14 ივნისს გაიმართება ლიტერატურული საღამო საქველმოქმედო მიზნით.

— **წითელი არმიისა და ფლოტის ბაღი.** 7 ივნისს—სინათლის გაზეთი № 1, სურათი—„აელიტა", უკრავს სამხედრო ორკესტრი.

— **„დიონისოს ღიმილი".** გამოვიდა და იყიდება კონსტანტინე გამსახურდიას ახალი რომანი „დიონისოს ღიმილი". წიგნი ღირს 1 მ. 50 კ.

— **ქართული ცეკვის საღამო.** მომავალ შაბათს რუსთაველის თეატრში გაიმართება ალექსიძის ცეკვის სტუდიის პირველი საღამო.

— **პროფ. მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიის გამოფენა** დღეს, 7 ივნისს 12 საათიდან იხსნება სამხატვრო გამოფენა სახალხო სამხატვრო სტუდიისა აკადემიაში ერთის კვირით გრიბოედოვის ქუჩა № 22. ღია იქნება დღისით 10—2 ს. საღ. 7—9 ს.

— **უფასო კონცერტი მუშებისათვის.** ტფილისის სახ. უნივერსიტეტის პროლეტარულ სტუდენტთა მომღერალთა გუნდი ლოტბარ კორნელი მაღრაძის ხელმძღვანელობით დღეს მიემგზავრება ზაჰესში მუშებისათვის უფასო კონცერტის გასამართავად.

— **გიორგი ქუჩიშვილის საღამო.** ოთხშაბათს, 10 ივნისს, რუსთაველის თეატრში შესდგება გიორგი ქუჩიშვილის საღამო. საღამოში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო მუსიკალური, დრამატიული და ლიტერატურული ძალები.

— **ქართული მუსიკა რადიოთი.** კომპოზიტორ დ. არაყიშვილს სთხოვენ მოსკოვიდან გაუგზავნოს მის მიერ შემუშავებული ქართული სიმღერები და რომანსები რადიო-კონცერტებისათვის. რამდენიმე რადიო-კონცერტი უკვე იყო, სხვათა შორის ამ კონცერტებზე შესრულებული იქნა მგოსნის სიმღერა დ. არაყიშვილის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე" და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თხოულობენ განმეორებას. ინგლისის რადიო საჭიროდ სცნობს, რომ ამ კონცერტების მუსიკალურ ნომრებს თან ახლდეს მოკლე განმარტებანი ინგლისურად.

დღეს კინოებში:

— აპოლო—„ცხოვრების წყალვარდნილი".
— არფასტო—„კინ".
— სოლეი „კინ".
— ეთერი „კინ".
— მინიონ—„მიმზიდველი ცეცხლი".
— პალას—„საგანძური ტბის ძირას".
— **არმიისა და ფლოტის კლუბი.** „მისი მოწოდება".

შემთხვევები

— **გვამის პოვნა.** 5 ივნისს სოფელ სოღანლუღში მტკვრის პირას იპოვეს უცნობი მამაკაცის გვამი.

— **თავის მოწამვლა.** 5 ივნისს საღამოს დიდუბის ახალშენში ოჯახურ უსიამოვნების გამო თავი მოიწამლა მოქ. მარია პაჩენკომ, რომელიც მოთავსებულ იქნა საავადმყოფოში.

— **მთის დაძვრა.** 1-ლ ივნისს სოფელ ვაშლიანში ჩრდილოეთის მხრიდან დაიძრა მთა და წამოვიდა სოფელ ვაშლიანის მიმართულებით ორი ვერსის მანძილზედ, სადაც უქადის ოთხ კომლს სავსებით განადგურებას. მიღებულია სათანადო ზომები.

— **შეპყრობა.** 4 ივნისს შეიპყრეს ალექსი ვორონცოვი და ნიკოლოზ ბადაევი, რომელთაც ვინმე მოქალაქე მიადრიკოვისთვის მოუპარავთ სხვადასხვა ნივთები.

— **ქურდი შვილი.** 5 ივნისს, მოქ. ფერდინანდე იულმახმა, მცხ. დიდუბის ახალშენში, განაცხადა, რომ მისმა შვილმა ედუარდმა მას მოპარა ასი მანეთის ნივთები და მიიმალა.

— **ღია კარებიდან.** 5 ივნისს კლარა ცეტკინის ქ. № 90 ვლადიმერ გრიშევიჩის ღია კარებიდან მოიპარეს 88 მანეთის ნივთები.

მუშათა ცხოვრება

უნდა აღინიშნოს ასეთი მუშაკი.

ძლივს იქნა და ეშველა სიღნაღის სამაზრო გამსახლს ჯეროვან ნიადაგზე დაყენება. რამოდენიმე თვის წინად ამ სახლში, რომ იტყვიან, „ძაღლი პატრონს ვერა სცნობდა". სიბინძურე, თანამშრომლების უვიცობა, ცუდი მოპყრობა პატიმრებისადმი იყო გამეფებული. მაგრამ ამ რამდენიმე თვის წინათ გამსახლის უფროსად დაინიშნა ამხ. შურღაია. აშკარად ეტყობა, რომ ამხ. შურღაია არის მტკიცე და კეთილსინდისიერი პიროვნება და საბჭოთა ხელისუფლების ლმობიერ პრინციპების ცხოვრებაში გამტარებელი. ის დღიდან მოსვლისა თავისი თანამდებობას შეუდგა არა ზოგიერთებივით ჩვეულებრივ ყვირილ-ჭყივილით და ამაყობით, არამედ დაადგა იმ მიზნის მიღწევას, რომელიც აქვს დასახული გამასწორებელ სახლებს.

მან უმთავრესი ყურადღება მიაქცია სისუფთავეს, რის მნიშვნელობაც შეაგნებინა თვით პატიმრებს, შეაკეთებინა მთელი გამსახლი, დაარსა ქოხ-სამკითხველო, სადაც პატიმრები ლაზღანდარობის მაგივრად კითხულობენ წიგნებს და გაზეთებს და უცოდინარნი სწავლობენ წერა-კითხვას, საჭმელი გააუმჯობესა და თავის თანამშრომლებს შეასწავლა ზრდილობიანი მოპყრობა პატიმრების მიმართ, ერთი სიტყვით პატიმრები აშკარად ვგრძნობთ, რომ ჩვენ ვართ გამასწორებელ სახლში, სადაც ადამიანის „მე" არ ილახება. აღსანიშნავია აგრეთვე ამავე გამსახლის უფროსი ზედამხედველ კიკაბაძის შეგნებული მუშაობა. ჩვენ პატიმრებს გვახსოვს რამოდენიმე თვის წინათ აქ მყოფი უფროსი ზედამხედველნი, როგორც ძველი ნიკოლოზის ციხის „ნადზირატელები" ისე გვეპყრობოდნენ, ამას ბოლო მოეღო, ამისთანა საბჭოთა მუშაკნი ღირსნი არიან საერთოდ მშრომელ ხალხის და კერძოთ პატიმრების მადლობისა.

გამსახლის პატიმრების წარმომადგენლები: 1. ა. ჭრელაშვილი, ეგნატე ეგიევი, 3. თომა ბაქრაძე. 4. გაბრიელ ნემსაძე.

ქალ. განათლების განყოფილების საყურადღებოდ

ჩვენ ვცხოვრობთ ლენინის უბანში (ნაძალადევი), სადაც ძლიერ გახშირებულია სახადი, ყვავილი და წითელა, ჩვენი შვილები დადიან სკოლებში და ბავშვებს ერთიმეორედან ედებათ ეს ავადმყოფობა. მუშის ოჯახში მძლეია ასეთ ავადმყოფობის [illegible].

მიაქციეთ ყურადღება ჩვენს მდგომარეობას, დაითხოვეთ ბავშვები სკოლებში და გვიხსენით ასეთი სენისაგან.

მუშა მშობელთაგანი.

ჩვენი მდგომარეობა აუტანელია

ლენინის ქუჩ. სახ. № 54-ში, დაგვიკეტეს წყალი. წყლის ფულის გადაუხდელობის გამო, ამ სახლებში ცხოვრებლები თითქმის ყველანი მუშა-მოსამსახურენი არიან. ზოგიერთ მდგმურებზე ითვლება ძველი ვალი, რომლის გადახდა ერთად არ შეუძლიათ. უწყლობისაგან კი განვიცდით დიდ გაჭირვებას. ვთხოვთ წყალსადენს ნაწილობრივ შეგვატანინოს ფული ძველი ვალის დასაფარავად.

წყლის კომისიის დავალებით

გ. მელაძე.

ინვალიდებში

ამა წლის 29 მაისს საინვალიდო №-1-ლ სახლში შესდგა შრომის ინვალიდთა და ამავე სახლის თანამშრომელთა საერთო კრება.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. ინვალიდების მიერ სისუფთავის და წესიერების დაცვა.
2. საამხანაგო სასამართლოს შედგენა.

ამ საკითხებზე და საერთოდ ინვალიდების ყოფა-ცხოვრების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა სახლის გამგემ ამხ. ახვლედიანმა. მოხსენებიდან გამოირკვა, თუ რამდენადაც გაუმჯობესებულია დღეს ინვალიდთა მდგომარეობა შედარებით გასულ წლებთან. მოხსენების გამო გამოტანილი იქნა შესაფერი რეზოლიუცია სისუფთავის, წესიერების და საერთოდ ინვალიდთა ყოფა-ცხოვრების შესახებ.

დასასრულ კრებამ აირჩია 5 კაცისაგან შემდგარი საამხანაგო სასამართლო, რომელსაც გადაეცა შემუშავებული წესები სახელმძღვანელოდ.

კრების თავმჯდომარე:

ინვალიდი ნოე კილაბერია.

ამ უბანშიც გვაღირსეთ წითელი სასადილო

(მუშკოპის საყურადღებოთ)

მე-6-უბანში, ბრმების სკოლიდან დაწყებული ნავთლუღის გზატკეცილამდე არც ერთი წითელი სასადილო არ არის, ამ რაიონში კი სულ მუშა-მოსამსახურენი ცხოვრობენ; იქვე არის კახეთის ქუჩა; იქ ბევრი ბაკები არის, სადაც სოფლიდან ჩამოსული მეურმე გლეხები იყრიან თავს. იქ სულ კერძო სასადილოებია. ამ სასადილოების ვაჭბატონები ისქელებენ ჯიბეს მუშა-მოსამსახურეთა და გლეხების ნაოფლარებით.

მუშკოოპ, გაგვიხსენი ერთი წითელი სასადილო, და დაიხსენი მუშები და გლეხები ამ გაუმაძღარ ვაჭრების ბრჭყალებისაგან.

მუშკორი ალ. ბ—ლი.

უწყლოთ ვიხჩვებით

(აღმასკომის წყალსადენის საყურადღებოდ).

ხარფუხში (მე-5 რაიონში) დიდ გაჭირვებას განიცდის ადგილობრივი მოსახლეობა წყლის უქონლობის გამო. მთელ ხარფუხში ორი მილია წყალსადენის, მაგრამ წყალი თავის დროზე არ მოდის. მოდის მხოლოდ ღამით, როდესაც დაღალული მუშები უნდა ისვენებდენ, იმართება დიდი რიგები. ეს უბანი მუშათა უბანია და მუშები აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიან უწყლობის გამო.

საჭიროა, რომ წყალსადენმა ამ მდგომარეობას მიაქციოს ყურადღება და მიაწოდოს მუშებს წყალი დღისით.

ახკორი. სკოლისპირელი.

გამოგზავნილი წერილებიდან

საჭიროა მეტი სიფხიზლე

(რკ. გზ. უბნკავშირის საყურადღებოდ).

ქუთაის-ტყიბულის ხაზის მატარებლების მეუხრუჭენი და გამსინჯველნი თავიანთ მოვალეობას წესიერად ვერ ასრულებენ, რითაც ხშირად მატარებლის მიმოსვლას აბრკოლებენ.

საჭიროა ამას საყუდის უფროსმა ყურადღება მიაქციოს და გამოაფხიზლოს დაუდევარი მოსამსახურეები.

მუშკორი ე. ვ.

კუზიანს მარტო საფლავი გამოასწორებს

(ქუთ. საქსოვი ქარხნის ადგილკომის საყურადღებოდ).

გაზეთის ფურცლებზე უკვე იყო აღნიშნული ქუთ. საქსოვი ფაბრიკის კულტკომის უმოქმედობა და უგულო მოპყრობა საქმისადმი, მაგრამ არაფერი ეშველა.

ადგილკომო, წესიერი მუჯლუგუნი ასეთ „მუშაკებს".

მუშკორი ზურგელი.

გულწრფელი სალამი ძია ონისიმეს

ქუთაისში ონისიმე დადიანს, სცენის მემანქანეს—30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად იუბილე გადაუხადეს. ძია ონისიმე ყოველთვის ახალგაზრდობას მამობრივ მზრუნველობას უწევდა. დღევანდელმა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა ძია ონისიმეს მოღვაწეობა. გულწრფელი სალამი ძია ონისიმეს და ხანგრძლივი დაუშრეტელი ენერგია შრომისადმი.

სც. მოყვ. კოსტაიძე.

წერილები პროვინციიდან

მიმართვა

თბილისში მცხოვრებ ბუკის-ციხელ და იანეულისეულ (აღმოსავლეთ გურია) ამხანაგებისადმი

სოფელ ბუკისციხის თემს გადაუწყვეტია სახალხო სახლის აგება. ისეთი თემისათვის, რომელსაც აქვს ფოსტა-ტელეგრაფი, კოოპერატივი, წიგნთ-საცავ-სამკითხველო და შვიდწლიანი შრომის სკოლა, ყველა დაწესებულების ერთს ჭერ ქვეშ გამაერთიანებელი და შემაკავშირებელი შენობის—სახალხო სახლის აგება აუცილებელია. ხელმოკლეობის გამო თემს საშუალება არა აქვს ეს გადაწყვეტილება სრულიად და მალე მოიყვანოს სისრულეში. საჭიროა თემს დახმარება გაუწიონ სხვადასხვა ალაგს მცხოვრებმა ამ თემის მოქალაქეებმა და გაერთიანებული ძალღონით ააგონ სახალხო სახლი, რომელიც დაიტევს ზემოხსენებულ კულტურულ დაწესებულებებს და აგრეთვე სათეატრო დარბაზს, სადაც გაიმართება წარმოდგენები და ლექცია-მოხსენებები.

ამ საკითხის შესახებ, ორშაბათს, 8 ივნისს, საღამოს 5 საათზე, რ. გ. სადგურის ახლოს — „ცენტრ-ტრამოტას" მუშათა კლუბში დანიშნულია თბილისში მყოფ ბუკისციხელ და იანეულისეულ ამხანაგების კრება, კრება აირჩევს ბუკისციხის თემის სახალხო სახლის საამშენებლო საბჭოს თბილისის განყოფილებას, რომელსაც დაევალება ღონისძიებათა გამომუშავება სახალხო სახლის საამშენებლო ფონდის შესაქმნელად.

თბილისში მცხოვრებ ბუკურისციხელ და იანეულისელ ამხანაგებს ვსთხოვთ გამოცხადდნენ ზემოხსენებულ კლუბში თავის დროზე და უკლებლივ.

ბუკისციხის სახალხო სახლის საამშენებლო საბჭოს საინიციატივო ჯგუფი.

სოფელი ლეძაძამი

(სენაკის მაზრა)

ლეძაძამი პატარა და ახალი თემია, მაგრამ ხელისუფლების ენერგიული ხელმძღვანელობით იმდენად წახალისებულია, რომ დიდ აღმშენებლობითი მუშაობას ეწევა. მოკლე ხნის განმავლობაში თითქმის მოაწყო ყველა გლეხობისათვის საჭირო დაწესებულებანი.

27 მაისს აქ ჩაეყარა საძირკველი ჩვენი უკვდავი მასწავლებლის ლენინის სახელობის 7 წლედის შენობას, მაზრიდან მივლინებული ტეხნიკი ამხ. არტ. ლომიას გეგმის თანახმად დღეს გაცხარებული მუშაობა სწარმოებს.

ცხადია, საკუთარი საშუალებით 12 თვალი ქვის შენობის აგება პატარა თემს მძიმე ტვირთად დააწვება, მაგრამ გლეხობას დიდი იმედი აქვს, რომ, როგორც მთავრობა, ისე ყოველი პატიოსანი მოქალაქე, რომელსაც გული შესტკივა ასეთი საქმისადმი, შესაფერ დახმარებას გაუწევს მას ამ საშვილიშვილო საქმის დაგვირგვინებაში.

ვინთანი.

მადლობა დახმარებისათვის

პატივცემულო რედაქტორო! ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთა და დაწესებულებათ, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს გაკირულ ხიდის სამკითხველოს:

1) ოზურგეთის კომუნალურ მეურნეობას, რომელმაც უფასოდ გამოიყვანა სამკითხველოში ელექტრონის სინათლე.

2) პლატონ იესეს-ძე სარიშვილს, რომელმაც თავისი ტრაღიკულად დაღუპული ძმის, ილიკოს ხსოვნის პატივსაცემად შემოსწირა სამკითხველოს ათი მანეთი (10 მანეთი) და მომავალშიაც აღუთქვა დახმარება.

3) შალვა ებრალიძეს, რომელმაც შემოსწირა ელექტრონის ლამპა.

4) ტიტიკო ხანთაძეს, რომელმაც უფასოდ შეუსრულა სამკითხველოს 1 მ. 50 კ. სამუშაო.

5) იასონ ტრაპაიძეს (ოზურგეთის ცხრაწლედის მოწაფეა), რომელმაც შემოსწირა 20 წიგნი.

6) შოთა მენაბდეს, რომელმაც შემოსწირა 10 წიგნი.

7) ალექსი მენაბდეს (ცხრაწლედის მოწაფეა), რომელმაც შემოსწირა 10 წიგნი.

8) იოსებ ღლონტსა და ისაკი ტრაპაიძეს, რომლებმაც შემოსწირეს ათ-ათი მაური და ყველა იმ პირთ, რომელთაც თავისი ფიზიკური შრომით, ან ზნეობრივი თანაგრძნობით დახმარება აღმოუჩინეს ჩვენს სამკითხველოს.

დასასრულ მოუწოდებთ გაკირული ხიდის უბნის შვილთ, რომლებიც გაფანტულნი არიან სხვადასხვა ქალაქებში, გაიხსენონ თავისი მშობლიური კუთხის სამკითხველო და აღმოუჩინონ მას დახმარება ჟურნალ-გაზეთებით, წიგნებით და ფულით. ყოველივე შემოწირულება, თუნდაც სულ ცირედიც მიიღება დიდის მადლობით და გამოცხადებული იქნება პრესაში.

გაკირული ხიდის ჭოლა ლომთათიძის სახელობის წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობა.

ბანძის რაიონი

(სენაკის მაზრა)

ბანძის თემში დღიდან საქ. გასაბჭოებისა სწარმოებს გაცხარებული მუშაობა ყოველ დარგში. არის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, სახალხო სასამართლო, საბჭოთა აფთიაქი, საბჭოთა საავადმყოფო, მომხმარებელი საზოგადოება (ეპო) და სხვა.

ბანძის რაიონი წინათ ძალიან მდიდარი იყო ქურდ-ბაცაცებით; ისეთი ღამე არ გავიდოდა ლეხაინდრავოონოლოის თემში, რომ გლეხის ოჯახი არ ატირებულიყო ქურდების უმზგავსო საქციელით, მოსვენებას და მყუდრო ცხოვრებას ურღვევდა ხალხს მათი თავისუფალი თარეში. მაგრამ ბან. მილიციის უფროსის კიკალიშვილის დაუღალავი და ენერგიული მუშაობის მეოხებით ალაგმულ იქნენ სოფლის ეს მავნე ელემენტები.

ბანძის მშრომელ გლეხკაცობას ყოველთვის დიდი სურვილი ჰქონდა ტეხნიკუმის დარსებისა, მაგრამ ნიკოლოზის დროს ამ ტეხნიკუმს აღმოუჩნდა ბევრი გავლენიანი ხელის შემშლელი, რომელთა წყალობით ვერ მოხერხდა ტეხნიკუმის დაარსება. დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, სწავლა-განათლებას მოწყურებული ხალხი შეუდგა სამზადისს დიდი ხნის საოცნებო სურვილის განსახორციელებლად. 21—22 წლებში მოხდა საამშენებლო კომისიების არჩევა—საერთო კრებაზე—და გამოიტანეს დადგენილება, რომ თვითეული გლეხი გაყიდის თავის უკანასკნელ ქათამსაც კი ამ საქმისათვის. მაგრამ ამ კომისიებს არაფერი გაუკეთებიათ და ხალხი მაინც ვერ ეღირსა ტეხნიკუმის დაარსებას. ამ საზოგადოებრივი საქმის შესრულებაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ადგილობრივ ინტელიგენციას, მაგრამ, უნდა ითქვას სიმართლე (თუმცა რაიონში არიან მრავალი გამოცდილი პედაგოგები), რომ საზოგადო მშენებლობაში და კულტურულ მუშაობაში დიდ პასივობას იჩენენ მაშინ, როდესაც—მასწავლებლობა—ჩვენი საბჭოთა სოფლის ცხოვრებაში წარმოადგენს ერთად-ერთ კულტურულ ძალას, რომლის საერთო ხელმძღვანელობით უნდა მიმდინარეობდეს მუშაობა კულტურულ დარგში. მასწავლებლობამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა უკუაგდოს პასივობა და შეუდგეს სკოლის კედლების გარეშე კულტურულ მუშაობასაც.

კირ. პატარაია.

იურიდიული რჩევა-დარიგება

კანონიერია თუ არა ძმის ასეთი მოთხოვნილება

კითხვა

ჩვენ ვცხოვრობთ სოფელ კვაშხიეთში (რაჭის მაზრა), ვართ ოთხი ძმა. უფროსი ძმა გამოგვეყო 1918 წელს. ის თბილისში სცხოვრობს და მიწა კი ჩვენ სამ ძმას ჩაგვაბარა იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ მისთვის გვეძლია მოსავლის ნაწილი. თუ არა და სხვას აძლევდა მიწას. ვაძლევდით დღემდის მოსავლის ნაწილს.

დღეს კი ის იძლევა წინადადებას: თუ გინდათ თქვენ, ძმებმა, იყიდეთ ეს მიწაო, თუ არა და სხვას უნდა მივყიდოვო. თვითონ ეს ჩვენი ძმა პროფკავ. წევრად ირიცხება, მსახურობს თბილისში, სადაც აქვს თავისი საკუთარი სახლიც. ჩვენ ოთხ ძმას გვაქვს მიწა სივრცით ნახევარ [illegible] სავლიდან ვსაზრდოობთ 9 სული ამ ცხრა სულს ჰყავს ერთი მარჩენალი.

გთხოვთ განმიმარტოთ, აქვს თუ არა ჩვენს ძმას ამ მიწის გაყიდვის ან და სხვაზე გადაცემის უფლება.

მუშა დათიკო—ტომარაძე.

პასუხი.

თქვენი ძმის მოთხოვნილება უკანონოა. მას არა აქვს მიწის გაყიდვის და სხვაზე თავის ნებით გადაცემის უფლება და თუ ის ასეთ უკანონო ქმედობას ჩაიდენს, მიეცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით და მიწასაც დაჰკარგავს (იხ. მიწ. კოდექსი მუხ. 25).

როგორ მოვიქცე და ვის მივმართო

კითხვა

მე ვმსახურობ რკინის გზაზე; ვარ დაზღვეული დამზღვევ სალაროში. ვსარგებლობ რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების უფლებებით. ჩემ და საუბედუროდ მაქვს ერთი ნახევრად დანგრეული სახლი.

1922 წელს აგვისტოში ქალაქის აღმასკომმა მომცა მოწმობა. ნახევარი სახლის დანგრევას და დანარჩენის შეკეთებას დაუყოვნებლივ უნდა შევდგომოდი, ვინაიდან დიდ საშიშროებას წარმოადგენდა მცხოვრებლებისათვის ნანგრევი სახლი.

მე მაშინვე შეუდექი აღმასკომის წინადადების შესრულებას და შევასრულე კიდეც, თან განცხადება მივეცი ქალაქის აღმასკომს, დაენიშნა შემფასებელი კომისია და დანარჩენ შენობაზე დაეწესებიათ შეფასებითი გადასახადი. ორჯერ იყო აღმასკომის მიერ გამოგზავნილი აგენტი ადგილობრივ გამოსარკვევად დარჩენილი შენობის და მისი შემოსავლის გამოსარკვევად და ორივეჯერ მისი მოხსენება წარედგინა შეფასებით კომისიას თავისი უკანასკნელი დასკვნისათვის, მაგრამ დღემდის კომისიას არ განუხილავს ეს საჭირ-ბოროტო საქმე, მიუხედავათ ჩემი თხოვნისა და მუდარისა ამ კომისიის მიმართ (რაშიც რამოდენიმე სამუშაო საათები დამიკარგავს). შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორს მივმართე თხოვნით ამ საქმის შესახებ; მან გასცა სათანადო ენკარგულება, მაგრამ საქმეს არა გაშველა რა.

სახლი პატარაა და მდგმურებიც საბჭოთა მოსამსახურეები და ღარიბი ხალხია, შემოსავალი მეეზოვესი, ქუჩის განათების და ნაგვის გატანის ხარჯებს ვერ ფარავს და მის დასაფარავად მიხდება ჩემი შრომის სასყიდელიდან, რომელსაც მე ვღებულობ რკინის გზიდან. უკანასკნელი კაპეიკების ღალება; მე ჩემს სახლში არა ვსცხოვრობ, მე ვსცხოვრობ ნაქირავებ სახლში. იქ სახლის პატრონი ყოველმხრიდან მავიწროებს: შენ სახლის პატრონი ხარო და მედავება ბინის ქირას, როგორც კერძო პირს—35 მან. თვეში და მე კი ვღებულობ შრომის სასყიდელს რკინის გზის სამმართველოდან 50 მან. და 16 კაპ.

გთხოვთ მომცეთ რჩევა-დარიგება როგორ უნდა მოვიქცე და ვის უნდა მივმართო თხოვნით, რომ კანონიერი შეფასებით გადასახადი გადამხდეს.

ახლა აღმასკომის აგენტები ჩემ ბინას ეძებენ, რომ ძველი შეფასებით გადასახადი პენიებით იძულებით გადამახდევინონ, რომლის გადახდა ჩემთვის ყოვლად შეუძლებელია უსახსრობის გამო.

რკინისგზელი ვასო

პასუხი.

თქვენ უნდა მიმართოთ სათანადო განცხადებით თბილისის აღმასკომის საფინანსო განყოფილებას, ან და სათანადო რაიონის გადასახადთა ინსპექტორს.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვარ უმუშევარი (რკინის გზის ყოფ. მუშა), დაზღვეულიც ვარ (უმუშევართა წიგნაკი № 610); არსაიდან არა მაქვს შემოსავალი, სამი სული მყავს სარჩენი, მიჭირავს ერთი ოთახი სივრცით 56 კვადრატი არშინი. სახლის პატრონი ოთახის ქირას მთხოვს ხუთი მანეთის რაოდენობით. ამ ქირის გადახდა მე არ შემიძლია. გთხოვთ განმარტებას, თუ რამდენი უნდა მივსცე სახლის პატრონს ბინის ქირად თვიურად.

მუშა კოტე მიქაძე.

პასუხი

ბინის ქირად თვიურად იხდით ორმოც და თექვსმეტი კაპიკის რაოდენობით (56 კაპ.)

ბიბლიოგრაფია

„მალარია და მასთან ბრძოლა" ექიმ. კ. ჯაფარიძისა

პროფ. ს. ვირსალაძის წინასიტყვაობით

გამოცემა ჯანსახკომის სანეპიდ. განყოფილებისა 1925 წ.

უეჭველია, ჩვენი ერის ერთ უსაშინელეს მტრად უნდა ჩაითვალოს მალარია. ეს სენი არ ზოგავს არც დიდს, არც პატარას, არც კაცს, არც ქალს. 1600 მეტრის სიმაღლეზე ყველგან კარგად ბარობს და ვრცელდება, განსაკუთრებით დაბლობებზე, მდინარეების გაყოლებით, ჭალებზე, მინდვრებზე, ე. ი. იქ, სადაც ხალხი უფრო ეტანება, ხნავს, სთესავს და მოჰყავს მოსავალი. საუკეთესო კუთხეები ჩვენი ქვეყნისა—ქართლი, კახეთი, სამეგრელო, გურია, იმერეთი, სამურზაყანო, აბხაზეთი მოდებულია ამ სენით. ჩვენში ამჟამად ირიცხება 2 ნახ. მილიონი მცხოვრები; ეს სენი რომ არა, მათი რიცხვი ეხლა სამჯერ მაინც მეტი უნდა ყოფილიყო. როგორც დაკვირვებანი გვიჩვენებენ, ამ სენის წყალობით ბევრი სოფელი გადაშენდა ჩვენში და ბევრიც გადაშენების გზაზეა. აუარებელ ზარალს აყენებს ის როგორც ხალხს, ისე თვით რესპუბლიკას როგორც ჯანმრთელობის მხრივ, ისე ეკონომიურად.

ყოველივე კარგათ იცოდა ძველმა მთავრობამ, მაგრამ თავს დიდათ არ იწუხებდა, ხალხის ჯანმრთელობაზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ პირველი დღიდანვე სწორი გეზი აუღო ამ საკითხს და კიდევაც შეუდგა საქმის მოწესრიგებას: დაარსა სამალარიო ინსტიტუტი, ყოველწლიურად აწყობს სამალარიო კურსებს, სადაც პროვინციის ექიმები ეცნობიან ამ სენს, იწყობს კონგრესებს, გზავნის პროვინციებში სამალარიო ექსპედიციებს და სხვ.

მალარია ჩვენი ეროვნული სენია, მასთან ბრძოლა მარტოკა ქინაქინით არაა საკმარისი, საჭიროა მთავრობასთან ერთად თვით ხალხმაც მიიღოს ფართო მონაწილეობა ამ ბრძოლაში და, უეჭველია, როგორც სხვა ერები, ჩვენც მალე მივაღწევთ კარგ შედეგს.

ამისათვის საჭიროა ხალხმა შეიგნოს, თუ რას წარმოადგენს მალარია.

აი, სწორედ ამ მიზნით შეუდგენია ექიმ კ. ჯაფარიძეს თავისი წიგნაკი „მალარია და მასთან ბრძოლა". წიგნაკი მოზრდილი ტანისაა, 74 გვერდით; ავტორს, როგორც აღნიშნავს წინასიტყვაობაში პროფ. ს. ვირსალაძე, საფუძვლიანად ჰქონია შესწავლილი მალარია და სრული სისწორით გადმოუცია თანამედროვე მეცნიერული მოძღვრება ამ ავადმყოფობის შესახებ. როგორც სათაურიდან სჩანს, წიგნი შეიცავს შესავალს, ისტორიულ ცნობებს, როგორ უყურებს ხალხი მალარიას, რა არის მალარია და რა ზიანს აყენებს ადამიანს, საიდან და როგორ შედის მალარიის პარაზიტი ადამიანის სისხლში, კოღო და მისი ცხოვრება, მალარიის ფორმები, ბავშვების მალარია, მალარიის გავრცელება ამჟამად, ბრძოლა მალარიასთან, მალარიის მკურნალობა.

როგორც ამ სათაურიდან სჩანს საკითხი სრულიად ამოწურულად უნდა ჩაითვალოს. წიგნი დაწერილია მდაბიო ენით, ლამაზად, ყველასათვის გასაგებად. ძნელია წარმოდგენა წერა-კითხვის მცოდნე ადამიანისა, რომელმაც მისი შინაარსი ვერ გაიგოს. ერთი ნაკლი აქვს მას—დიდია—74 გვერდიანი და ერთი მიჯდომით უბრალო მკითხველი მის გადაკითხვას ვერ შესძლებს. სადავოა არ უნდა იყოს, რომ წიგნაკები, რომლებიც იწერება ხალხისათვის, უნდა იყოს პატარა ტანისა, არა უმეტეს 20—30 გვერდისა. მიუხედავათ ამისა, წიგნაკი მაინც დიდი ღირსებისაა. საჭიროა მისი ფართედ გავრცელება.

ექიმი დ. ა—ნი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგ ჩვენ განცხადებას.

ქართველ არტისტთა კორპორაცია „დურუჯ"-ს თავის პრინციპიალურ იდეურ მოსაზრებით ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია მონაწილეობა საგასტროლო წარმოდგენებში რა სახითაც არ უნდა იყონ ისინი. ამისათვის კორპორაცია უკრძალავს კორპორანტ გ. დავითაშვილს მონაწილეობა მიიღოს პეტიპას წარმოდგენებში; მაგრამ იღებს რა მხედველობაში წინა მორიგ მამასახლისის შეცდომას, რომელმაც ნება დართო გ. დავითაშვილს მონაწილეობა მიეღო ზემოაღნიშნულ წარმოდგენებში, და მეორეს მხრივ, ითვალისწინებს რა თეატრალურ ეთიურ მხარეს ამ ინციდენტისა, ნება დართო გ. დავითაშვილს მონაწილეობა მიეღო 8 ივნისის წარმოდგენაში, მხოლოდ დანარჩენ წარმოდგენებიდან ის მოხსნილი არის.

მორიგი მამასახლისი აკ. ვასაძე.

ჩვენი ფოსტა

ფრონელს. თქვენი წერილი გადაიგზავნა სადაც ჯერ არს. მიღებული იქნება ზომები.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ორშაბათი, 8 ივნისი, დასასვენებელი დღეა

დადგენილება № 34

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატისა.

1925 წლის ივნისის 6-ს.

1925 წლის 8 ივნისის დასვენების განსაკუთრებული დღეთ გამოცხადების შესახებ.

შრომ. კანონთა კოდექსის 112 მუხლის თანახმად საქ. შრომის სახალხო კომისარიატი საქ. პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით ადგენს:

1. ორშაბათი, ივნისის 8 (სულიწმინდის დღე) დასვენების განსაკუთრებულ დღეთ ცხადდება.

2. მუშაობა ამ დღეს უნდა სწარმოებდეს შემდეგ წარმოება-დაწესებულებებში: წყალსადენი, ელექტროსადგურები, საავადმყოფოები, აფთიაქები, ტელეფონი, ტელეგრაფი, და აგრეთვე ყველა იმ დაწესებულება-წარმოებაში, რომელთა შეჩერება არ შეიძლება მათი მუშაობის ხასიათის გამო.

საქ. შრომის სახ. კომისარი **ა. მიქაძე.**

საერთო-საორ. განყ. გამგე **ვ. კვირიკაშვილი.**

თანხმებულია საქ. პროფკავ. ცენტრ. საბჭოსთან: **მაჩაიძე.**

დადგენილება № 18

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა—მიწების ჩამორთმევის შესახებ.

რადგანაც ამ ბოლო დროს შემჩნეულია ადგილობრივ ორგანოების და ორგანიზაციების მიერ უკანონოდ მიწის ჩამორთმევა, რაც ძირს უთხრის მთავრობის პოლიტიკას მიწის საკითხში, უკარგავს გლეხს რწმენას, რომ მისი მიწის სარგებლობა მტკიცე ნიადაგზეა აგებული, და ხელს უშლის სასოფლო მეურნეობის აღდგენის საქმეს,—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მიწის ჩამორთმევა საერთო წესით შეიძლება მხოლოდ მიწის კოდექსში გარკვეულად გათვალისწინებულ შემთხვევაში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის იმ ორგანოს მიერ, რომელსაც ეს დაკისრებული აქვს, ანდა სათანადო სასამართლო დაწესებულების დადგენილებით (13, 14, 15, 18, 25, 27, 65, 67, 78, 83, 154-ს შენიშვნა და 161 მუხ.).

2. ამ საერთო წესის გარეშე იმ ზედმეტი მიწის ჩამორთმევა, რაც ნორმას აღემატება, ყოველ ცალკე შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ სამაზრო საადგილმამულო კოლეგიის ინიციატივაზე დამყარებულ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილმამულო საბჭოს დადგენილებით, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

3. ის, პირი, რომელიც მიწას ჩამოართმევს ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესის დარღვევით, პასუხისგებაში იქნება მიცემული სისხლის სამ. კოდექსის 109 მუხლისამებრ, როგორც ხელისუფლების გადამეტებისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფილ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1925 წლ. აპრილის 15.
თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 22

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სამრეწველო საწარმოთა რეგისტრაციისა და ხელახალი რეგისტრაციის შესახებ.

რათა დამყარებულ იქნეს ახლად გასახსნელ სამრეწველო საწარმოთა რეგისტრაციის წესი და გამოირკვეს უკვე არსებულ სამრეწველო საწარმოთა მდგომარეობა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა ახლად გახსნილი სამრეწველო საწარმო ვალდებულია თავის თავს რეგისტრაცია გაუკეთოს ერთი თვის განმავლობაში დღიდან საწარმოს გახსნისათვის ნებართვის მიღებისა, თანახმად საქ. ცენტრალური აღმ. სრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. მაისის 28-ს თარიღისა და 91 №-რის დადგენილების მე-2 მუხლისა, ხოლო მცირე სამრეწველო საწარმო, რომელიც გახსნილ იქნება აღნიშნული დადგენილების იმავე მუხლის თანახმად—განცხადებითი წესით, რეგისტრაციაში გატარებულ უნდა იქნეს იმავე ვადის განმავლობაში დღიდან გახსნისა.

2. ორგანიზაცია, არტელი და ამხანაგობა, რომელიც სამრეწველო საქმეს ეწევა, ვალდებულია, სარეგისტრაციო ფურცელთან ერთად, წარადგინოს აგრეთვე სათანადო წესისამებრ დამტკიცებული წესდება თუ საამხანაგო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც იგი მოქმედობს.

შენიშვნა 1. სამრეწველო საწარმოდ ჩაითვლება აგრეთვე ისეთი საწარმოც, რომელიც ეწევა წარმოების პროდუქტთა კუპაჟსა, გაწმენდასა და დახარისხებას (ღვინისა და არყეულობის საწყობი და სხვ.).

შენიშვნა 2. სარეგისტრაციო ფურცელს შეიმუშავებს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამრეწველო-ეკონომიური განყოფილება.

3. ყველა, გამოუნაკლისად, უკვე არსებული საქართველოს ს. ს. რ.-ში არსებული სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო საწარმო, მიუხედავად მისი დიდ-პატარაობისა, ხელახლად უნდა იქნეს გატარებული რეგისტრაციაში ქვემოდ აღნიშნული წესისამებრ, ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა:

ა) ის საწარმო, რომელიც თბილისშია—უშუალოდ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამრეწველო-ეკონომიურ განყოფილებაში;

ბ) ის საწარმო, რომელიც პროვინციაშია—ადგილობრივი სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი პასუხს აგებს დისციპლინარული წესით ან საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სისხლის სამართლის კოდექსის 232 მუხლის თანახმად, ხოლო კერძო პირი პასუხს აგებს ადმინისტრატიული წესისამებრ ჯარიმის გადახდით ათ ჩერვონცამდე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: ს. ჯუღელი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი: ალ. სალარიძე.

1925 წ. ივნისის 2.
თბილისი – სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ს. კ. პ. თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოთჩამოთვლილ ამხანაგებს, რომლებმაც დაამთავრეს საბჭოთა პარტიული სკოლა, სამშაბათს, 9 ივნისს, გამოცხადდნენ ამხ. საკოვთან: 1) გოგეშვილი, 2) მეჰველიანი, 3) ზახარიანი, 4) შანიძე, 5) ხატისოვი, 6) ლოხოვი, 7) უმიკოვი, 8) ნარჩიმაშვილი.

— ლ ნრაიკომის საგ. საპროპ. განყ. იტყობინება რომ 9 ივნისს, საღ. 5 საათზე სანიტარულ განათლების დარბაზში იწვევს აგიტწრის წევრების თათბირს. აგიტ-წრის წევრების დასწრება სავალდებულოა.

დღის წესრიგი: 1. საკითხების დამუშავება პარტაღმშენებლობით (მე-14 ე პარტკონფერენციის რეზოლიუციის მიხედვით).

— საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების მეორე რაიონული საბჭო იტყობინება, რომ კვირას, 7 ივნისს, საღ. მოს 5 საათზე შესდგება საბჭოს სხდომა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების უჯრედთა მდივნების თანადასწრებით.

საკითხების დიდი მნიშვნელობის გამო, სავალდებულოა საბჭოს წევრების და გლეხების დასწრება.

— **ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის წევრთა საერთო კრება.** 8 ივნისს, დღის 11 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3) შესდგება ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის წევრთა საერთო კრება.

დღის წესრიგი;

1) მოხსენება ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მე-5-ე საკავშირო ყრილობის შესახებ.

2) მოხსენება ადგილკომების რეორგანიზაციის შესახებ.

თუ 11 საათისათვის კრებაზე არ გამოცხადდა წევრების კანონიერი რაოდენობა, მეორე კრება შესდგება 12 საათზე და ჩაითვლება კანონიერად წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალური ბიურო.

განცხადებები

მშობლები ეფროსინე ანტონის ასული, ფარნაოზ ბეჟანის ძე, დები ლარისა ელენა და ნინო, ძმები კონსტანტინე, გიორგი და ვახტანგი გაბუნიები, უღულითადეს მადლობას უძღვნიან მათთვის საყვარელ და მუდამ სახსოვარ

ლათიკო გაბუნიას

ამხანაგებს, მეგობრებს, ნათესავებს, ნაცნობებს და ყველა იმათ ვინც პირადათ თუ დეპეშით მიიღეს მონაწილეობა მათ უბედურებაში და ამით ანუგეშეს ისინი.

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ლადიმე, სამუელ და ვასო ოთხმეზურები, პოლკა ცინცაძისა, ირინე მალლაფერიძისა, ქრისტინე დოლიძისა; რძლები: ტერეზი, ნადია და თამარა; სიძეები: ტერენტი ცინცაძე, ნიკო ტრაპაიძე, იოსებ მალლაფერიძე, გიგო დოლიძე აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ, რომ ა|წ. 4 ივნისს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

პუპი გიორგის ასული ოთხმეზურისა

დაკრძალვა მოხდება სოფ. დვაბზუში

1564 1—1

ღრმად დამწუხრებული მშობლები: დარიკო, მელიტონ, ძმები: ვანო, ვალოდია, და კატო, ბიძები: მალხაზ და ილიკო, ბიცოლები და ბიძაშვილები აუწყებენ ნათესავებს და მის მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ვიქტორ მელიტონის ძე იოსავაძე

გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან კვირას 2 საათზე.

1567 1—1

ცოლი ცაუ კვინიკაძე, შვილები; ზინა, ელპიდა, სიძე ანტონი მაისურაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, კვირას, 7 ივნისს, დილის 12 საათზე, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება 6 თვის პანაშვიდი მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

მოსე გიორგის ძის კვინიკაძის

ხსოვნის აღსანიშნავად.

1—1 1574

გულდათ[illegible] მშობლები: მამა დავით ქაიაოსროს ძე ქავთარაძე, დედა იუსტინა მაქსიმეს ასული ქავთარაძისა, ძმები: ეჩა და ანდრო, დები: ანიკო ამაშუკელისა, მაროსა, სონა, ვარვარა და თამარა ქავთარაძეები, აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ და შოთას მეგობრებს, რომ სამშაბათს, 9 ივნისს, სოფელ სავანეში (შორაპნის მაზრა) მოხდება ორმოცი და გამოტირილი მათთვის დაუვიწყარი სახელმწ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტ

შოთა დავითის ძე ქავთარაძის

1—1 1570 ხსოვნის აღსანიშნავად.

ღრმად დამწუხრებულნი: მამა მამულა, დედა მაკრინე, დები: საშა და იულია, ბიძა სირია, ბიცოლა მატა, ბიძაშვილები: კონსტანტინე, ვალიკო და ქსენია ურუშაძეები აუწყებენ ნათესავ და ნაცნობთ მათი საყვარელი და დაუვიწყარი სტუდენტ

ვლადიმერ (ლადიკო) მამულას ძე ურუშაძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 9 ივნისს ქ. ლანჩხუთში ნათლისმცემლის ეკლესიაში.

№ 1580—1—1

დადგენილება № 83.

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტისა.

„ქ. თბილ. მიზნობრივი საბინაო გადასახადის შემოღების შესახებ“.

მუშათა ბინების კოოპერატიული მშენებლობისათვის ხელის შეწყობის მიზნით, თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი, თანახმად ა—კ. ცაკის და ს. კ. ს. მიერ 19[illegible] ის ნოემბრის 21-ს და საქართველოს ს. კ. ს. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წლის თებერვლის 9-ს გამოცემულ დადგენილებისა ადგენს:

1) საცხოვრებელი ფართობი, რომელიც დაკავებული აქვს თბილისის საშემოსავლო გადასახადის „გ“ კატეგორიით (მუხ. მუხ. 3 და 7 სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულებისა, რომელიც შემოღებულ ა|კ ცაკის და ს. კ. ს. 1924 წლის 8 დეკემბრის დადგენილებით) გადამხდელ არა მშრომელ ელემენტებს და მათ ხარჯზე მყოფ პირებს, დაიბეგროს 1925 წლის აპრილის 1-დან მიზნობრივი საბინაო გადასახადით მუშათა ბინების კოოპერატიული მშენებლობის საჭიროებისათვის.

შენიშვნა: არა მშრომელ ელემენტებათ იგულისხმება:

ა) ყველა კატეგორიის სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა მფლობელი და თანამფლობელი.

ბ) ის, ვინც ეწევა საკომისიონერო, სამაკლერო და საექსპედიტორო ოპერაციებს, კონტროლის უქონლად.

გ) ქალაქში მდებარე შენობის მფლობელნი და აგრეთვე იმ შენობათა მფლობელნი და თანამფლობელნი, რაც ქალაქ გარეთ მდებარეობს და ქირავდება.

დ) ის, ვისაც შემოსავალი აქვს კომერციული ექსპლოატაციის მიზნით ქალაქში იჯარით აღებული ქონებიდან.

ე) ის, ვინც სცხოვრობს საპროცენტო და სადივიდენდო ქაღალდის შემოსავლით და ფულის პროცენტებით.

ვ) ყველა სხვა მოქალაქე, რომელიც იღებს შემოსავალს ქონების მფლობელობით, საწარმოწყებო მოქმედებით და სხვა არა შრომით წყაროებიდან, რომელნიც წინა მუხლებში არაა გათვალისწინებული.

2) გადასახადი დაწესებულია თითოეულ კვადრატიულ არშინზე თვეში შემდეგი რაოდენობით.

ხარისხი	შემოსავლის რაოდენობა ნახევარ წელში (მანეთებათ).	მიზნობრივი საბინაო გადასახადის რაოდენობა თვეში თვითეულ კვად. არშინზე (კაპ.).
1	00-მდე	2
2	500—და—600 „	3
3	600— „—800 „	4
4	800— „—1000 „	6
5	1000— „—1200 „	8
6	1200— „—1 00 „	10
7	1 00— „—200	14
8	2000— „—25	19
9	[illegible] —3000 „	24
10	„ [illegible]000 „	30
11	5 — „—4000 „	3
12	4 00— „—4500 „	40
13	4500— „—5000 „	46
14	5000— „—60 0 „	51
15	6000— „—7000 „	62
16	7000— „—8000 „	72
17	8000— „	83

3) გადამხდელთა აღრიცხვა და მიზნობრივი საბინაო გადასახადის გაწერა და აკრეფა ევალება თბილისის საფინანსო განყოფილებას.

აღმასკომის თავმჯდომარე ლ. ხუხიშვილი.

უძრავ ქონებათა სამმართ. გამგის მოადგილე ა. ზაბ[illegible]ვილი.

მდივანი ცქ[illegible]ტიშვილი.

1—1 ნ.—1287.

ამიერ-კავკასიის რკინის გზები

თბილისის კომერციული სააგენტო და ქალაქის სადგური:

ცენტრ. კანტორა—წერეთელის (ყოფ. განოვის) ქ. № 3 ტელ. 9—74
განყოფილებები: 1. თბილისის საბარგო სადგურთან „ 20—05
2 ნავთლუღის „ „ „ 17—22
3. მაიდანზე ბამბის რიგი № 6 „ 9—84

აწარმოებენ შემდეგ ოპერაციებს:

1) სამგზავრო ბილეთების გაყიდვა ყველა მიმართულების სამგზავრო მატარებლებზე, ყველა კლასებზე, შინ მიტანით.

შენიშვნა: ბილეთების გაყიდვა თვითეულ მატარებელზე იწყება 5 დღით ადრე მატარებლის გასვლამდე.

2) ყველა ხაზზე სამგზავრო და მცირე სისწრაფის ბარგების და ტვირთების მიღება და გაგება.

3) ტვირთების და ბარგების შენახვა საწყობებში—თბილისის საბარგო სადგურის ფარგლებში, ნავთლუღში და ქალაქში.

4) ბარგის და ტვირთების გადაზიდვა საკუთარ ავტო-ტრანსპორტით.

5) ბარგი და ტვირთების მიღება გასაგზავნად რკინის გზით და ზღვით.

6) მიზნობრივი სესხის გაცემა არსებულ სარკინიგზო წესების მიხედვით.

7) ტვირთების დაზღვევა.

8) საბაჟო და სააქციზო ვალდებულებათა შესრულება.

9) და აგრეთვე სხვა კომერციული ოპერაციები, რომლებიც გათვალისწინებულია რკინის გზის წესდებაში და წესებში.

ნ. 1286. 1—1

გამოვიდა და იყიდება მთელ საქართველოს გაზეთებისა და წიგნების კიოსკებში, რკინისგზებზე და წიგნის მაღაზიებში
(ხელის მოწერლებს დაურიგდებათ წიგნი ხუთ დღეში)

კონსტანტინე გამსახურდიას
ახალი რომანი
დიონისოს ღიმილი

რომანის ასპარეზი: **პარიზი, ნიცა, ვენეცია, მილანო, რომი, ალგანო, ბერლინი, აბასთუმანი.**

მომქმედნი: კონსტანტინე სავარსამიძე, კონსტანტინე არგვეთის მთავარი, მეგრელი გლეხები: ტაია შელია და მისი ოთხი შვილი, ჰინდუსტანის ბრაჰმინი აბსენ ტუნგ, ინდოელი რევოლიუციონერი ფატენპურ ფრანზი, გერმანელი, იტალიელი სალონის დამები, პოეტები, ესთეტები, მსოფლიო კაცები, ფაშისტები, სპარტაკისტები, ჟურნალისტები, ოფიცრები, მათხოვრები, ქუჩის ლოთები, კოკოტები, სპეკულიანტები.

წიგნი შეიცავს 572 გვერდს, ფასი—1 მანეთი 50 კაპ. გამოსაწერი მისამართი: წიგნის მაღაზია, „განათლება“, ლენინის ქ. № 6. ვინც მითუმად გამოიწერს 25 პროც. დაეთმობათ.

ეპოქალური მიჯნები: იტალიური ფაშიზმის კვირაძალი, ლიბკნეხტის რევოლიუცია გერმანიაში.

შინაარსი:

პრელიუდია.

1. კაცი, რომელიც ველარ იცინის, 2. ნისლი, 3. დიონისოს მეორედ მოსვლა, 4. კონსტანტინე სავარსამიძის ავტო-პორტრეტი, 5, ჩინგის ხანის შემოსევა, 6. პი[illegible] ქალაქი, 7. ამორძალის კოცნა, 8. სამარადმ[illegible], 9. ჰ[illegible] ვენისაში, 10. გაყიდული კბილების აპოლოგია, 11. [illegible] ფული, 12. თვალების დუელი, 13. ვეზახი, 14. კონსტანტინე სავარსამიძის ინდოეთს გამგზავრება, 15. არგვეთის მთავრის მოძველებული ნიღაბი, 16. დედალი ხოხობი, 17. ღმერთი მეველე, 18. მისტიური ჯვარისწერა, 19. ხარონის ნავში, 20. გზაჯვარედინზე, 21. ლარების საკურთხეველი, 22. რეტ-დასხმული კორდელი, 23. სიესტა, 24. ორძილი, 25. გაზაფხული, 26. უცნობი კაცის საფლავზე წართქმული 27. სადღეგრძელო, 28. აღსარება, 29 ლოცვა, 30 ასიზის მონასტერში სალაზოდ გამგზავრება კონსტანტინე სავარსამიძისა, 31. ცრუ ქრისტე, 32. ლუჩია, 33. ციკლოპის თვალი, 34. ტელეფონში, 35. დოკტორ ვიტენზონის ერთადერთი პაციენტი, 36. ჟამიანობა, 37. პერტინაქს, 38. თეთრი ტყეები, 39. პეპელა უნტერ დენ ლინდენზე, 40. ქადაგება თევზებისადმი, 41. დიონისო ჰომისპირიანი, 42. დოქტორ ფატენპურის შეგონება, 43. ფოლადის მუზარადი, 44. აბსენ ტუნგ, 45. ინგლისური ჩიბუხი, 46. წმინდა ქონდრის კაცი, 47. ჰამნები ხეებისადმი, 48. პაემანი, 49. აპოკალიფსური კურო, 50. დემონის ნატერფალზე, 51. ტაია შელიას უკუღმართ გზებზე, 52. ჯოჯოხეთად ჩასვლა კონსტანტინე სავარსამიძისა, ეპილოგი.

ყდა მარსელ გეიარისა.
წარწერა გ. ნათაძისა.

ნის. 1284. 1—1

განცხადებათა სახელმწიფო კანტორის ამიერ-კავკასიის განყოფილება „დვიგატელი“-საგან

ცხადდება ყველას საყურადღებოდ, რომ უძრავ ქონებათა თბილისის სამმართველოსთან დადებულ ხელშეკრულებით განცხადებათა სახელმწიფო კანტორას „დვიგატელს“ გაზეთ „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“-თა (შრომის და თავდაცვის საბჭოს ორგანო) ენიჭება სამონოპოლიო უფლება გამოიყენოს თბილისში ქუჩები, მოედნები ხიდები, ღობეები, სახლების გვერდითი კედლები, ბაზრები, ბაღები, [illegible] და სხვ. საზრაევები „ვივესკების“, პლაკატების და სხვ. რეკლამების გამოსაკიდებლათ და ეგრეთვე [illegible] ლამისათვის.

დაწესებულებები და კერძო პირები, რომელნიც გამოჰკიდებენ რაიმე რეკლამას „დვიგატელის“ ნებადაურთველად, უძრავ ქონებათა სამმართველოსთან დადებულ ხელშეკრულების და მანდატი № 8965 ძალით, მილიციის საშუალებით პასუხისგებაში იქნებიან მიცემული.

ყოველგვარი ცნობები ამ რეკლამების შესახებ ნებართვების გაცემა და რეკლამების გამოსაკიდებლად შეკვეთათა მიღება შეიძლება „დვიგატელის“ კანტორაში რუსთაველის პროსპ. № 10.

სახელმწიფო კანტორის „დვიგატელის“ ამიერ-კავკასიის განყოფილების გამგე—გ. ა. მაზურეკი.

ნ. 1289 1—1.

საზ-ბა „ტრანსპორტ“-ის თბილისის კანტორა

ამით აცხადებს, რომ მის მიერ საზოგადოების საწყობში № 2,
სიონის ქუჩა № 1, ხოჯაპარუხოვის ყოფ. ქარვასლა

1925 წლის 7 ივნისს, დილის 10 საათზე

დანიშნულია სააუქციონო საჯარო ვაჭრობა

გამოუთხოვი ტვირთების გასასყიდათ, რომლებიც მიღებული იქნენ საწყობში საქონ. დასალაგებელი და სატრანსპორტო ქვითარებით №№:

თბილისის კანტორის № 2475[illegible]—7 თ.—სალებავები.
„ „ № 24757—4 ბ.—სალებავი „მუმია“.
კერჩის კანტორის № 251470—75 ყ.—პიურე ბოსტნეულობისაგან
ქუთაისის „ № 93707—4 თ.—საგალანტერეიო საქონელი

საქონლის დათვალიერება შეიძლება ყოველ დღე საჯარო ვაჭრობამდი დილის 8 საათიდან დღის 3 საათამდე.

ის, ვინც შეიძენს საქონელს საჯარო ვაჭრობის დროს, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეიტანოს საწინდარი საქონლის სყიდვითი ღირებულების არა ნაკლებ 50 პროც., დანარჩენი თანხა კი გადახდილი უნდა იქნეს არა უგვიანეს მეორე დღის 12 საათისა.

იმ შემთხვევაში, თუ ფულის შეტანა დაგვიანებული იქნა, საწინდარი მოხმარდება საქონლის დავალიანების დაფარვას.

საზ-ბა „ტრანსპორტი“-ს თბილისის კანტორა.

ნ. 1285. 1—1

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკი
„როსკომბანკ“-ი

კეცხოველის ქ. № 5 (ყოფ. სათავადაზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სახლი, მე-2 სართული)

ყიდულობს ყოველგვარ ვერცხლს და ოქროს,

სხმულადებში (в слитках) და ნამტვრევებს, და აგრეთვე მეფის დროინდელ ოქროს და ვერცხლის ფულს.

3—2 ნ. № 1267

წყნეთის აგარაკი

პეტრე გრიგოლის ძე ბებუთოვის აგარაკში ქირავდება ოთახები საზაფხულო სეზონისათვის.

სრული სიმშვიდე და ყოველგვარი მოწყობილობა.

ბაღი, წყალი.

ცნობების მიღება შეიძლება იქვე ან ახალ-ბებუთოვის ქ. № 9. ვოიცევაიასთან. ნის. 1280. 2—1

ნ. ჰ. ხაზიაკინის
საწერ მანქანების
სახელოსნო
ვყიდულობ
მაღალ ფასებში სხვადასხვა
საწერ მანქანებს.
სასახლის ქ., № 6
5—2 ნ. 1268

ფოტოგრაფი მ. როზენუსი

ორი წლის პრაქტიკის მიღების შემდეგ დაბრუნდა პარიზიდან და 12 ივნისიდან ხსნის ფოტოგრაფიას კომინტერნის (ყოფ. სასახლის ქ.) ქუჩაზე № 4 პროფკავშირების წევრებს, სამხედრო პირებს და დაწესებულებებს ეძლევათ შეღავათი. განყოფილება არსად არ აქვს.

ნის. 1279. 2—2

არ არის უკეთესი კეფირი, ვიდრე ო. კორონასი

ლორის მელიქოვის ქ. № 6.

ცნობილია მრავალ სამედიცინო გამოკვლევების დროს ყველაზე საუკეთესო კეფირად, როგორც თავისი ღირსებებით, ისე დამზადებით, რაც მიღწეულია 45 წლის გამოცდილებისა და დაკვირვების შემდეგ. ამიტომ ვსთხოვ ყველას, შეადარონ ჩემს ლაბორატორიაში დამზადებული კეფირი სხვა კეფირს. მსურველთ შეიძლება სახლში მივაწოდოთ ნ 1106 25—24

მოქალაქეთა საყურადღებოთ:

ა. წ. 20 მაისიდან დაწყებულია

სამტრედიის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების წევრთა ჩაწერა.

მსურველთ შეუძლიანთ [illegible] ონ და შეიტანონ 10 პროც.-ული გადასახადი მოქალაქე დავით მიხელაშვილთან, გერასიმე ნაცვლიშვილთან და ტიტე სიხარულიძესთან ქ. სამტრედიაში.

№ 1573—1—1

ს.მ.უ.ს. ს.მ.უ.ს.

„ცენტროტრამბოტი“
საზაფხულო სახალხო მიმოსვლა
თბილისი—ვლადიკავკავი
„ კოჯორი
„ მანგლისი
და აგრეთვე ყველა მიმართულებით.

კანტორის მისამართი: პუშკინის ქუჩა № ტელ. 20—96. (ყოფილ თამამშოვის ქარვასლაში) კანტორა ღიაა დილის 7 საათ. საღ. 7 საათ.

0—4 ნ. 1249

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი ტიგრან ბაღდასაროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1566

დავკარგე პირადი წიგნაკი № 195 ფორმა № 4 და პირადობის მოწმობა მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დავით ილიას ძე გიორგობიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1569

დავკარგე პასპორტი სოფიო ახვლედიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1572

დავკარგე სამხედრო ს[illegible] ბარათი № [illegible] მიხეილის ძე ჩხეტიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1575

დავკარგე ხაზინის ქვითარი სახლის ქირისა ნოემბრის და დეკემბრის და პირადობის მოწმობა ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ამირეჯიბის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1571

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 1272 გიორგი [illegible] ზაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1563

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1403 ს. ევრიან ბეჟლაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1565

დავკარგე სამსახურის წიგნაკი წითელარმიელის გამოცემული სენაკის მაზრის ს. მხედრო კომისარიატის მიერ პავლე ელისეს ძე ქუმბიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1576 (ა)

დავკარგე დამზღვევის წიგნაკი № 17 და სატრანსპორტო კავშირის წიგნაკი № 2 მოცემული ლავრენტი სტეფანეს ძე აბშილავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1576

დავკარგე პირადობის მოწმობა გაცემული ზანის რაიონის აღმასკომის მიერ № 532, ანტონ უტუს ძე დანელიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1581

დავკარგე მიწა-ტყის კავშირის საწევრო წიგნაკი № 109 ოლღა გიორგის ასული ვეფხვაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1579

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული სიღნაღის მაზრის სოფ. ვაქირის თემისაგან ტიტიკო ქაიხოსროს ძე ხელაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1581

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის მოწმობა № 174 სამსონ ალექსანდრეს ძე ნატროშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1578

ტირაჟი—22.721

ხარია ვოსტო[illegible] სტამბა, საბა წულუკიძის ქ. № 4